

K10409
1

იპოლიტე ვართაგავა



XIX საეკანის
შართული
ქარცელ-გაზეთების
გამოწენილი
რედაქტორები



871
3 211

ივოლუგა ვართაგავა

XIX საუკანის ქართული ზერნალ-გაზეთების გამოჩენილი რედაქტორები

3
60ha



სტალინის სახელმგბის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის განოვანება

ତଥାର୍ଥବିଦୀ - 1957



නුදාශ්චෙරු ඩ. එම්බෙසේ

R. E. B.

რედაქტორის სახან

ქართულ პერიოდულ პრესას არც თუ ისეთი დიდი ხნის ისტორია აქვს, იგი თავისი არსებობის დაახლოებით თოთხმეტ ათეულ წელს ითვლის. მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდის არ მოგვეპოვება ქართული უურნალისტიკის ვრცელი და საფუძვლიანი ისტორია, ისტორია იმ პერიოდული პრესისა, რომელმაც XIX საუკუნეში დიდი როლი შეასრულა ეროვნული კულტურის დაცვისა, განვითარებისა და აღორძინების საქმეში. ჩვენ ძალიან ცოტა ვიცით პერიოდული პრესის იმ თავდადებულ მოღვაწეთა შესახებაც, რომელთაც ყოველივე პირადული საზოგადოებრივი ცხოვრების სამსხვერპლოზე დაუწვავთ და დაუფერფლავთ.

იმ. ვართაგავა პირადად იცნობდა გასული საუკუნის ჩვენი უურნალ-გაზეთების რედაქტორ-გამომცემლებისა და თანამშრომლების ერთ ნაწილს. თავისი მახვილი კალმით ეს დაუცხრომელი პუბლიცისტი და მაღალი ლიტერატურული გემოვნების მქონე კრიტიკოსი აქტიურიდ მონაწილეობდა ჩვენი პრესის ფურცლებზე. მას საკუთარი თვალით უნახავს ან გაუგონია საინტერესო ამბები და ეპიზოდები გამოჩენილი ქართველი რედაქტორების ცხოვრებიდან.

ეს პატარა ნაშრომი ძირითადად მემუარული ხასიათისაა. იგი მოგვითხრობს იმ თავდადებულ, დაუღალავ შრომასა და ლვაწლზე, რაც ჩვენს წინაპრებს ქართული პრესისათვის გაუწევიათ. ნაშრომში წარმოდგენილია საინტერესო მაგალითები ს. მესხის, გ. წერეთლის, ილ. ჭავჭავაძის და ივ. მაჩაბლის რედაქტორული მუშაობისა; აქ მოთხრობილი რამდენიმე ამბავი ავტორის „მოგონებებშიც“ შეხვდება მკითხველს.

ვიმედოვნებთ, რომ ნაშრომი გამოადგება არა მხოლოდ უურნალისტიკის განყოფილების სტუდენტობას, არამედ ყველა დაინტერესებულ პირს, ვისაც ქართული კულტურისა და საზოგადოებრივი აზროვნების შესწავლა განუზრახავს.

გიორგი ნახათელი

XIX ს. ქართველ მწერალ მოღვაწეთა შორის გ. წერეთელი ერთ-ერთ გამოჩენილ და დიდად ორიგინალურ ფიგურას წარმოადგენს. იგი ევროპულად განათლებული ინტილიგენტია; მოწინავე, პროგრესული იდეების მიმდევარი, სიმართლისა და ჭეშმარიტების დაულალავი მქადაგებელი, უტყუარი მხატვრული ნიჭის მქონე; იგი, ბიუხნერისა და მოლეშოტის მატერიალისტური მსოფლმხედველობის გამზიარებელი, საქართველოს პატრიოტია, მისი ისტორიის, არქეოლოგიის და ენის მკვლევარია. როგორც ბელეტრისტმა, მან ჩვენში საფუძველი ჩაუყარა ფართო სიუჟეტიან სლუციონურ რომანს („პირველი ნაბიჯი“), რომელშიაც დახატულია საქართველოს არა რომელიმე კუთხე, არამედ მთელი საქართველო. მისი გმირები სხვადასხვა წოდებათა წარმომადგენლები არიან: ქვის მტვრეველი მუშა, ბრწყინვალე ქართველი თავადი, რუსი მოხელე, ქალაქელი ვაჭარი და სხვ.

მრავალფეროვანი იყო გ. წერეთლის საქმიანობა, მძიმე და აუტანელი იყო მისი შრომა. თავდადებულმა მამულიშვილმა მთელი თავისი უნერგია და განუმეორე-

ბელი სიცოცხლე მშრომელ ხალხს და საყვარელ სამ-
შობლოს შესწირა.

გ. წერეთლის პიროვნებაში დიდმა შემოქმედმა და-
ჩრდილა ერთი, შედარებით პატარა, მაგრამ უაღრესად
მნიშვნელოვანი მხარე მისი შეგნებული მოღვაწეობისა,
სადაც მან უდავოდ გამოამჟღავნა ყველა დროის და
ეპოქის ქართველისათვის მისაბაძი თვისებები: კოლოსა-
ლური ენერგია, თავგანწირული და უანგარო შრო-
მა მშობლიური კულტურის, ლიტერატურის, მრეწ-
ველობისა და მეურნეობის ოლორძინებისათვის, ამასთან
მოგვდა: ეპოქის მნიშვნელოვანი საკითხების დროული
გაგება და შეფასება.

ამჟამად მე მხედველობაში მაქვს გ. წერეთელი, რო-
გორც ქართული უურნალ-გაზეთების თვალსაჩინო რე-
დაჭტორ-გამომცემელი და პერიოდული პრესის მგზნე-
ბარე თანამშრომელი.

გ. წერეთელი, პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუ-
ნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტი, თვის ამხანა-
გებში გამოირჩეოდა შრომისმოყვარეობით, მოწინავე,
პროგრესული შეხედულებებით, მებრძოლი სულით და
მტკიცე ხასიათით. მან სტუდენტობაშივე მიიღო მონა-
წილეობა „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლაში. „მამათა“
წინააღმდეგ წირმოებულ ბრძოლაში გ. წერეთელი უყო-
ყმანოდ დადგა იღ. ჭავჭავაძის მხარეზე და სერიოზული
წერილები მოათავსა ჯერ უურ. „ცისკარში“, ხოლო შემ-
დეგ „საქართველოს მოამბეში“.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მისი წერი-
ლი „ცისკარს“ რა აკაკანებდა?“. წერილიდან ნათლად
იგრძნობა. ოცნებულუციურ-დემოკრატიული მსოფლმხედ-
ველობის საფუძველზე ოზრდილი ახალგაზრდის ნათე-
ლი და ფხიზელი აზროვნება, რომლისთვისაც სავსებით

აშკარაა, რომ საზოგადოებრივი წყობილება პრ წარმო-
ადგენს გაყინულ მოვლენას, რომ იგი არ ჩერდება ერთ
წერტილზე, რომ იბადებიან ახალი მოთხოვნილებანი,
ძველთან შედარებით პროგრესულნი და სრულიად კა-
ნონიერად მოითხოვენ ძველის მოსპობას და ახალი ურ-
თიერთობის დამყარებას. ახალ ურთიერთობათა შექ-
მნა-ჩამოყალიბების საქმეში წამყვანი როლი ახალმა
თაობამ უნდა შეისრულოს და გადამწყვეტი სიტყვა
პერიოდულმა პრესამ უნდა თქვას.

წერილში „ცისკარს“ რა აკაკანებდა?“ მოცემულია
არა მხოლოდ უურნალი „ცისკრისა“ და საერთოდ მოძვე-
ლებული მსოფლმხედველობის მძაფრი კრიტიკა, არამედ
აქვე გვხვდება გ. წერეთლის შეხედულებანი მწერლობა-
ზე და პრესაზე.

პერიოდული პრესა, გ. წერეთლის მართებული შე-
ნიშნით, ხელს უნდა უწყობდეს საზოგადოებრივი ცხოვ-
რების განვითარებას და უნდა გამოხატავდეს ხალხის
ინტერესებს. „როდესაც ხალხის სიტყვა—წერს იგი—
რომლის გამომოქმედადაც უნდა იყოს ყოველი უურნა-
ლი, არ უბნობს იმას, რაც რომ სტანჯავს ხალხის ცხოვ-
რებას, არ მუსრავს იმ ნაკლულოვანებებს, რაც რომ
წინ უდგება ცხოვრების კეთილმდგომარეობას და იმ
აჩვენებს საზოგადოებას სწავლისაგან გამოსაკვლევს ჭეშ-
მარიტებებს და კანონებს, რომლების ძალითაც ისპობა
ეს ნაკლულოვანებები, მაშინ ყველაფერი უნაყოფოა“.
(გ. წერეთელი. ოთხულებანი, ტ. I, გვ. 6).

მოწინავე აზრებითა და იდეებით შეიარაღებული
გ. წერეთელი 1864 წ. თბილისში დაბრუნდა.

ამ დროს თბილისში შედგა ქართველ ინტელიგენტ-
თა ამხანაგობა. ამ ამხანაგობამ შეიძინა ტიპოგრაფია
და დაარსა გაზეთი „დროება“. ახლად დაარსებული

დროების რედაქტორობა ამხანაგობაში
გ. წერეთელს შესთავაზა.

გ. წერეთელმა დიდი პასუხისმგებლობითა და ახალ-
გაზრდული ენერგიით მოკიდა ხელი ამ დიდ კულტუ-
რულ საქმეს. ის არ შეუშინდა არც უსახსრობას, არც
ცენზორის სიმკაცრეს და შეგნებულად შეუდგა მძიმე
ჯვარის ზიდვას.

თუ რა აუტანელ პირობებში უხდებოდათ გ. წე-
რეთელს და ზოგიერთ მის ამხანაგს გაზ. „დროების“
გამოცემა, მუშაობა რედაქციაში და ტიპოგრაფიაში
(ფიზიკური თუ გონებრივი), ამას მოწმობს გ. წერეთ-
ლის სიტყვები, რომელიც მან სერგეი მესხის უდროვოდ
გარდაცვალების გამო წარმოსთვა.

„ვერცურთი ოქვენგანი იმ საშინელ ჯაფას და თავ-
განწირულებით ბრძოლას ვერ წარმოიდგენს; რაც მე
და ჩემს ამხანაგებს გვინახავს და გამოგვიცდია მესხთან
შრომაში. კვირის-კვირამდე, თვისოვეობამდის, დღე და
ღამ უძილობა, მუდამ რკინის მტვერში (სტამბაში) ყოფ-
ნა და მით სუნთქვა, ამ მძიმე ჰაერით ფილტვების
ლპობა“ („დროება“, 1883 წ., № 145).

ახალგაზრდული ენერგია გარკვეულ დრომდე უძლებ-
და ამ აუტანელ ჯაფას, მაგრამ საბოლოოდ მათი ორ-
განიზმი უდროოდ იფიტებოდა, ასაკით შუახნისა
ხანდაზმულ მოხუცს ემსგავსებოდნენ, ზოგი მათვანი კი
ახალგაზრდა შორდებოდა ცხოვრებას. ამის სამწუხარო
მაგალითი სერგეი მესხი გახლავთ.

განცხადებაში, რომელიც „ქართულის საპოლიტიკო
და სალიტერატურო გაზეთის „დროების“ გამოცემას
ეხებოდა და რომელიც გ. წერეთლის მიერ იყო შედგე-
ნილი, ნათლად ჩანდა ახალგაზრდა უურნალისტის მიზ-
ნები და ამოცანები, რომელსაც იგი პერიოდულ პრესას

უყენებდა. „განათლებულს ქვეყნებში, — ვკითხულობთ განცხადებაში, — თითქმის ყოველი კაცი საჭიროდ რაცხს, რომ დაწვრილებით შეიტყობდეს არა თუ თავისის მა- მულის გარემოებას, არამედ სხვა ქვეყნების მდგომარე- ობასაც. ამისთვის იქ იბეჭდება მრავალი უურნალი და გა- ზეთი, რომელნიც ავრცელებენ საზოგადოებაში სხვადა- სხვა ცნობებსა. — ჩვენი გარემოება, ნამეტნავათ ახლან- დელი. მოითხოვს, რომ ჩვენ ვტყობილობდეთ ჩვენი ქვეყნის ყოფა-ცხოვრებას და აგრეთვე მმართველობის განკარგულებებს. გარდა ამისა, რადგანაც ჩვენი წარმა- ტება დამოუკიდებელია განათლებულის ხალხებისაგან შეძინებულს სწავლაზედ და იმათ ცხოვრებაზედ, ამისა- თვის, თუ გვსურს საკუთარი კეთილდღეობა, უეჭველათ იმათ უნდა ვბაძავდეთ და იმათ სწავლას ვითვისებდეთ. ამ საქმეში პირველი შუამავლობა ეკუთვნის გაზეთებს და უურნალებს. ეს იყო მიზეზი, რომ ჩვენ ვიკისრეთ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთის გამოცემა ქართულს ენაზედ“.

გ. წერეთელს ღრმად სწამდა, რომ პერიოდული პრე- სა. უურნალი იქნებოდა იგი თუ გაზეთი, უნდა ყოფი- ლიყო ყოველდღიური ცხოვრების მაჯისცემის ამსახველი, უაღრესად პრინციპული, შეუპოვარი მებრძოლი სულით გაულენთილი, ძველის, უფარგისის უყოყმანოდ დამგმობი და ახლის, პროგრესულის მქადაგებელი. გაზეთი „დრო- ება“ უნდა ყოფილიყო ფართო მშრომელი საზოგადო- ების ნების გამომხატველი, საზოგადოების წინსვლისა და განვითარების ერთ-ერთი ორგანიზატორი. „ცხადია ყველასათვის, — წერდა გ. წერეთელი, — რომ დრო იცვლე- ბა. ბევრი რამ, რაც ჩვენის მამა-პაპებისათვის იყო სა- ჭირო, ახლა იმათის შთამომავლობისათვის გამოსადევი აღარ არის. ჩვენ თვითონ დამსწრენი ვართ, რომ ზო-

გიერთი რამ, რაც საჭიროდ მიგვაჩნდა, ის ჩვენ დროს უვარებისათ მიაჩნიათ და ჩვენც თავი დავანებეთ. ეს არის ბუნებითი კანონი კაცობრიობის მოძრაობისა და ამ კანონს ვერ წაუვა ვერც ერთი ხალხი. რომელზედაც კი შეიძლება ითქვას, რომ ნამდვილად სცხოვრობს.

ჩვენ უნდა ვეცადოთ დავტოვოთ ყოველგვარი უვარებისი ჩვენს ცხოვრებაში, რაც კი გვიშლის, რომ ნამდვილს განათლების გზას დავადგეთ და დაუახლოედეთ იმ ხალხს, რომელიც ჩვენზედ წინ არის და ვისგანაც გვმართებს მივიღოთ ბევრი სწავლა.

აი. ჩვენის ფიქრით, როგორი აზრი უნდა ჰქონდეს ყოველს გაზეთს და უურნალს. რომელიც კი დაიწყებს ამ დროს თავის შრომას. ამის გარდა ახლანდელ გაზეთს და უურნალს უნდა ჰქონდეს ის მნიშვნელობა, რომ ნათელის გარკვევით გაადვილონ ყველა ნამდვილი და კანონიერი სურვილი და საჭიროება. აგრეთვე იმათ უნდა უჩვენონ. საზოგადოებას უნდა, თუ არ არის საჭირო, ან როგორ და რა რიგათ მოიპოვონ და გამოიყენონ ეს საჭიროება, რომ საზოგადოება წავიდეს წინ და მიიღოს ის, რაც მნიშვნელობა აქვს საზოგადოებას ბუნებით დანიშნული“.

ამგვარი შეხედულებების მქონე ახალგაზრდა რედაქტორმა თავის თანამებრძოლებთან ერთად გაზეთის ვრცელი პროგრამაც შეადგინა და ენერგიის თუ საკუთარი სახსრების დაუზოგავად იგი ცდილობდა ამ პროგრამის სრულყოფილად განხორციელებას, მაგრამ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ზოგჯერ დანაპირების შესრულება ვერ ხერხდებოდა. გ. წერეთელი ფართო მკიოხველი საზოგადოების წინაშე არ მაღავდა მუშაობაში შემჩნეულ მთელ რიგ ნაკლოვან მხარეებს და საჯაროდ აცხადებდა: „ჩვენ თვითონვე ვალიარებთ,

რომ იქნება ბევრი რამ არ ავასრულეთ. რაც დავტირდით მკითხველებს, მაგრამ იმითი ვიმართლებთ თავს, რომ ამ წელიწადს (ლაპარაკია 1867 წელზე, ი. ვ.) ბევრი იმისთანა ცვლილებანი მოხდნენ. რომელთაც დაგვიშალეს ჩვენის პროგრამის სრულად ასრულება...

ამას კი ვიტყვით, რომ ჩვენ, ჩვენის მხრით მეცადინეობა არ მოგვიყლია; მაგრამ ამისი განსჯა თვითონ მკითხველებისათვის მიგვინდია“, ეს იყო ჭეშმარიტი მოქალაქის გულწრფელი ჩივილი, რომელსაც გარემო პირობები ფართო გასაქანს არ აძლევდა და უზღუდავდა სამოქმედო ასპარეზს.

სავსებით სამართლიანად შენიშნავდა განსვენებული სიმონ ხუნდაძე. რომ „გაზ. „დროების“ დაარსება ერთ უმნიშვნელოვანეს ეპოქის დასაწყისად უნდა ჩაითვალოს ჩვენი უურნალისტიკის ისტორიაში. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ „დროება“ იყო პირველი ევროპული ხასიათის გაზეთი ქართულ ენაზე, რომელსაც გარკვეული პოლიტიკური მსოფლმხედველობა ახასიათებდა და რომელიც ახალი თაობის დემოკრატიულ მისწრაფებებს ემსახურებოდა“ (გ. წერეთელი, „პუბლიცისტური წერილები“, ტ. I, გვ. 404. რედაქტორის შენიშვნები) ამ დიდი საქმის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზაციონი კი გ. წერეთელი იყო, განსაკუთრებით იმ პერიოდში, როდესაც იგი გაზეთს უშუალოდ რედაქტორობდა და მას შემდეგაც, როცა გაზეთის თანამშრომლად ითვლებოდა. ეს გარემოება ჯერ კიდევ ს. მესხმა შენიშნა და „დროების“ დაარსების ათი წლის თავზე წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა: „ეს შენიშვნა ისე არ უნდა გათავდეს, რომ ჩვენ არ მოვიხსენიოთ ერთი პირი. რომელსაც გაზეთის ბედში არა-მცირედი

მონაწილეობა მიუძღვის, რომელსაც ამ ჩვენი „დროებისათვის“ ცოტა ოფლი არ დაუღვრია: ეს პირი არის „დროების“ პირველი რედაქტორი—გიორგი წერეთელი. გიორგი წერეთლის მეცადინეობასა, ნიჭვა და სამშობლოს საქმის სიყვარულს უმაღლოდეთ, თუ დღეს ჩვენი გაზეთი ცოცხალია და თუ შემდეგში იმას დღეგრძელობა მოელის“.

გ. წერეთელმა შეძლო გაზეთის ირგვლივ შემოეკრიბა იმ დროინდელი ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი: ილ. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ნ. ნიკოლაძე, კ. ლორთქიფანიძე, ს. მესხი, დიმ. ბაქრაძე, ვ. პეტრიაშვილი. ალ. ცაგარელი, ა. ფურცელაძე, მ. გურიელი, გრ. თარხან-მოურავი, პ. უმიკაშვილი, რაფ. ერისთავი, ი. ჯანაშვილი, ნ. ინაშვილი, ნ. ლოლობერიძე, სტ. მელიქიშვილი, ვ. თულაშვილი და სხვანი მრავალნი.

ერთი მხრით, მატერიალური ხელმოკლეობა, ხოლო, მეორე მხრით, საცენზურო პირობების სიმკაცრე არ-თულებდა ისედაც მძიმე სამუშაო პირობებს. ეს იყო მიზეზი, რომ გ. წერეთელს ხშირად უხდებოდა თავისი თანამშრომლების გაფრთხილება. აი, რას სწერს იგი ქ. ლორთქიფანიძეს: „მაგრამ ამას კი ძალიან გეხვეწები, წერილებში აზრები დაფარო ისე, რომ ბევრ კაითმაზოვის თვალებს არ შეეჩიროს, თორებ უმჯველად ამოშლის და სტატიას ძალა დაეკარგებაო“.

მრავალი დღე დაპლამებია გ. წერეთელს გაზეთისათვის მატერიალური სახსრების ძებნაში და მრავალი ღამე დასთენებია მას რედაქტორის მაგიდასთან წერილების სწორებაში, რათა თითოეული სტატიისათვის თავიდან აეცილებინა ცენზორის სისტემისფერი მელანი.

რამდენიმე წლის დაძაბული ფიზიკური და გონიერი რივი მუშაობის შემდეგ გ. წერეთელმა გაზეთი თავის ნაცად, ლირსეულ თანამოკალმეს, ს. მესხს გადასცა იმისათვის კი არა, რომ შეუშინდა მძიმე მუშაობას, უძილო ღამეებს, მომშხამველ რკინის მტვერს და დააპირა მყუდრო, მატერიალურად უზრუნველყოფელი სამსახურის ძებნა. რა თქმა უნდა, არა. მას სურდა ძველებურ ნარეკლიანი გზით განეგრძო სიარული, უფრო მეტად დახლოვებოდა ხალხს, საზოგადოების ძირითად ფენას— მშრომელ გლეხობას და მისი გონიერივი და მატერიალური განვითარებისათვის ხელი შეეწყო.

ამ მიზნით 1868 წელს გ. წერეთელმა დაარსა პირველი პოპულარული ქართული გამოცემა გლეხებისათვის. ეს იყო „სასოფლო გაზეთი“.

აქ გვინდა სრულად მოვიტანოთ გ. წერეთლის მიერ შედგენილი „სასოფლო გაზეთის“ პროგრამა. იგი ნათელ წარმოდგენას გვაძლევს გ. წერეთლის, როგორც ახალგაზრდა უურნალისტის, ერუდიციაზე, მის მიზნებზე და ამოცანებზე.

„სასოფლო გაზეთში“ იქნება შემდეგი ნაწილები:

I ოფიციალური ნაწილი:

მთავრობის განკარგულება, რომელიც განსაკუთრებით შეეხება სასოფლო სამმართველოთა.

ა) განკარგულებანი რომელნიცა სასულიერო სამმართველოთა უნდა მოიყვანონ ასრულებაში.

ბ) განკარგულებანი, რომელნიცა უნდა ეუწყოს სასოფლო სამმართველოთა, რომ ისინი გახდნენ იმათ ხელმძღვანელათ.

II არა ოფიციალური ნაწილი:

1. სამეურნეო ცნობანი: ამ ნაწილში დაიბეჭდება იმისთანა სტატიები, რომელნიც შეეხება სხვა-და-სხვა-

სამეცნიერო ნაწილსა, მაგალითად: მიწის მუშაობას, ბოსტნის კეთებას, ღვინის მოყვანას, პირუტყვის შენებას და სხვა; სოფლის ვაჭრობას, აღებ-მიცემობას და ოჯახობის მაჩვენებელი სტატიები.

2. სახალხო მედიცინა (მკურნალობა): აქ დაიბეჭდება ისეთი სტატიები, რომელშიაც იქნება დარიგება, თუ როგორ უნდა იცხოვროს ხალხმა, რომ სიმრთელით იყოს, აგრეთვე იქნება ნაჩვენები ისეთი ექიმობა სხვა ავადმყოფობაზე, რომ თვითონ ხალხსაც უმკურნალოთ შეეძლოს ზოგიერთ ავადმყოფობის მორჩენა.

3. ამბავი სასოფლო ხალხის ცხოვრებაზე. აქ დაიბეჭდება ამბები თუ, როგორ მიდის სასოფლო გამგეობა ჩვენს ქვეყანაში, სახალხო შკოლებზე, პურის მაღაზიებზე, ბანკებზე, აგრეთვე კორრესპონდენციები და მოთხოვნების მომსახურების სოფლის ხალხის ცხოვრებიდან.

4. სხვა და სხვა ცნობა: წვრილმანნი ხალხის გასაგებნი სწავლანი, რომელსაც ექნება მთოლოდ ის განზრახვა, რომ ხალხს ამაოდმორწმუნება და ცუდი ჩვეულება მოაშლევინოს.

5. სახაზინო და კერძოობითი განცხადება..

„სასოფლო გაზეოთ“ გამოვა კვირაში ერთხელ და შეიცავს ერთს სტამბის თაბახს.

ოფიციალური ნაწილი იქნება რუსულად და ქართულად.

ფასი ერთი წლისა გაუგზავნელად 6 მან. გაგზანით 7 მანეთი.

რედაქტორ-გამომცემელი გ. წერეთელი.

როგორც მოტანილი პროგრამიდან ჩანს, გ. წერეთელს გულწრფელად და უანგაროდ სურდა დახმარებოდა სოფელს, აეწია გლეხობის კულტურული დონე,



ხელი შექმნილი მათი ეკონომიური ცხოვრების გრუმჯობე-
სებისათვის, ზრუნავდა მათ ჯანმრთელობაზე და სხვ.

წერილების დიდი უმრავლესობა, ორიგინალური იქნე-
ბოდა იგი თუ ნათარგმნი, რომელიც ხელმოუწერლად
იბეჭდებოდა „სასოფლო გაზეთში“, გიორგი წერეთელს
ეკუთვნოდა. მას იშვიათად თუ ვინმე ეხმარებოდა გა-
რედან.

ბედნიერ შემთხვევად ჩაითვლებოდა, პირველხანებში,
თუ რომელიმე ნომერში ორი-სამი წერილი გარეშე
ავტორისა დაისტამბებოდა.

მართალია, „სასოფლო გაზეთი“ დიდი პოპულარო-
ბით ვერ სარგებლობდა, იგი გავლენასაც ვერ ახდენდა
ჩვენ გლეხობაზე, მაგრამ ეს გარემოება უნდა აიხსნას
არა ამ გაზეთის მიზეზით, არამედ XIX საუკუნის 70-
იანი წლების ჩვენი გლეხობის ჩამორჩენილობით. წერა-
კითხვის უკოდინარ გლეხობაში ჯერ კიდევ არ იყო
მოთხოვნილება პერიოდულ პრესაზე, თვით ისეთ ორგა-
ნიზედაც კი, როგორიც „სასოფლო გაზეთი“ იყო,
რომელიც მეტად მარტივი, ადვილად გასაგები ენით
აწვდიდა გლეხობას მისი მეურნეობის უკეთ წარმართვი-
სათვის აუცილებელ და საგალდებულო ცნობებს.

ხუთი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა გ. წე-
რეთელი „სასოფლო გაზეთს“, შემდეგ კი, 1874 წელს,
იგი პ. უმიკაშვილს. გადასცა და თითონ საზღვარ-
გარეთ წავიდა. გ. წერეთლის საზღვარგარეთ წასვლის
მიზანი იყო არა დასვენება, ქონების შეძენა და სხვა,
არამედ ცოდნის შეძენა, გონების განვითარება და სა-
ზოგადოებრივი, კულტურული ცხოვრების ფორმების და
სახეების უფრო კარგად შესწავლა,

გ. წერეთელს წინდაწინ-გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ
თავისი ნიჭი, ენერგია, შრომა შეეწირა სახალხო საქმისა-

ოვის. ამ გადაწყვეტილებისათვის მას სიცოცხლის უკანა სკნელ წუთამდის არ უღალატნია.

გ. წერეთელს არასდროს აზრადაც არ მოსვლია ~~სახელმწიფო~~ სამსახურში შესვლა, ან რაიმე ისეთი კერძო საქმისათვის ხელის მოკიდება, რაც სიმდიდრეს და ქონებას შესძენდა.

საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ მან ისევე ლიტერატურულ მუშაობას მოჰკიდა ხელი: წერდა რომანებს, მოთხრობებს, თანამშრომლობდა ქართულ და რუსულ უურნალ-გაზეთებში, მაგრამ, ვინაიდან ლიტერატორის პროფესია მაშინ დიდად ავტორიტეტიან კალკ მოსანსაც კი არსებობისათვის მინიმალურ სახსრებს არ აძლევდა, გ. წერეთელი იძულებული გახდა (უკვე ცოლ-შვილით დატვირთული) რაიმე სამსახურში შესულიყო, მაგრამ მან არც ახლა უღალატა თავის რწმენას და პრინციპს, ხელი არ მოჰკიდა „ჩინოვნიკობას“, არ დახარბდა თავის ამხანაგების (ლოლუს, დ. აბდუშელიშვილის, ნ. ლოლობერიძის და სხვა) ბედს—უზრუნველყოფილ და ფუფუნებით მდგომარეობას—მან ცხოვრების ჩვეულებრივი გზა აირჩია და დაიწყო მისი მსოფლმხედველობისათვის შესაფერისი სამუშაო.

1890 წელს ქ. ბათუმში ქართველმა მუშებმა არტელი დაარსეს და მისი ხელმძღვანელობა გ. წერეთელს შესთავაზეს. გ. წერეთელმა თანხმობა განაცხადა, საქმესაც შეუდგა, მაგრამ არტელი უდღეური გამოდგა: იმავე წელს როტშილდის ქართანაში გაფიცვა მოაწყეს, რასაც მოჰკვა ადმინისტრაციის მხრით მწვავე რეპრესია. გ. წერეთლის მთელი სიმპათია მუშების მხარეზე იყო, რასაც ცხადად ამტკიცებს მისი წერილი ეგ. ნინოშვილის ორი მოთხრობის გამო (იხ. გ. ქიქმე, ქართული ლიტერატურის ისტორია).

უსამსახუროდ და უსახსროდ დარჩენილ გ. წერე-
თელს კვლავ ახალი სამუშაო უნდა ეძია.

1891 წელს, გიორგი წერეთელი ისევ თბილისში და-
ბრუნდა. ამ დროს მან ცოლად შეირთო ანასტასია თუ-
მანიშვილი, - ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მწერალი
ქალი. თუმანიშვილები სარწმუნოებით ქართველი კათო-
ლიკები იყვნენ, ისინი ყოველთვის მხურვალე მონაწი-
ლეობას იღებდნენ ქართულ მწერლობაში და კულტუ-
რულ საქმიანობაში (გავიხსენოთ მიხ. თუმანიშვილის და
სხვების მოღვაწეობა).

ამავე პერიოდში გ. წერეთელი აირჩიეს თბილისის
თვითმმართველობაში ხმოსნად. ამ შემთხვევაში გ. წე-
რეთელს ყოველგვარი საშუალება ჰქონდა უზრუნველეყო
თავის ცხოვრება, მაგრამ მან ეს არ ისურვა და ისევ
დროებით შეწყვეტილ მოღვაწეობას — კულტურულ მუ-
შაობას მოჰკიდა ხელი. თავის ხმოსნობას კი გ. წერე-
თელი ქალაქის დემოკრატიული წრეების ინტერესების
დაცვისა და ქართველ-სომეხთა ურთიერთდამოკიდებუ-
ლების გაუმჯობესებისათვის იყენებდა.

როგორც უურნალის რედაქტორი და უკვე ცნობილი
სახელმოხვეჭილი მწერალი, კვლავ თავდაუზოგველად,
უანგაროდ განაგრძობს მუშაობას. გარდა რომანისა და
მოთხრობებისა, ის წერს დრამებს, პუბლიცისტურ და
კრიტიკულ წერილებს, ბუნებისმეტყველებიდან პოპულა-
რულ გამოკლევებს, საბავშვო მოთხრობებს, ფილოსო-
ფიურ და არქეოლოგიურ ნარკვევებს.

1893 წლიდან გამოსვლა დაიწყო უურნალმა „კვალმა“.
დიდად ნაყოფიერი და მრავალფეროვანი იყო ამ პე-
რიოდში გ. წერეთლის მოღვაწეობა. მაგრამ ეს საქმია-
ნობა, უდავოდ მნიშვნელოვანი და დიდად საპატიო,
მაინც აუნაზღაურებელი და უფასო იყო.

უსახსრობა, უფულობა, პირადი ცხოვრების და ოე-
დაქციის მოუწყობლობა ძველებურად მაჯლაჯუნასავით
აწვა დამსახურებულ მოღვაწეს და გამოჩენილ მწე-
რალს.

თუ როგორ მოეწყო გ. წერეთლის პირადი, ოჯახუ-
რი ცხოვრება უკანასკნელ წლებში, მე ეს არ ვიცი, პი-
რადად არ მინახავს და სხვებისაგანაც არ გამიგონია,
წერილობითი მოგონებაც არ წამიკითხავს. მე მხოლოდ
ვიცი და პირადად მინახავს, თუ სად და რა პირობებში
მუშაობდა გ. წერეთელი, როგორც „კვალის“ რედაქ-
ტორი.

„კვალის“ რედაქტორის მუშაობა წარმოებდა თი-
თქმის იმ პირობებში, რა პირობებშიაც წარმოებდა
„დროების“ რედაქტორის მუშაობა ოცდა ათი წლის
წინათ (1864 წ.). განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ
„კვალის“ რედაქტორს ახლა, 30 წლის შემდეგ, საკუთა-
რი სტამბაც არ ჰქონდა („დროებას“ კი იგი გააჩნდა).

„კვალის“ რედაქტია მოთავსებული იყო ცნობილი
ექვთიმე ხელაძის სტამბაში (დღევანდელ კეცხოველის
ქუჩაზე, თბილის სასულიერო სემინარიის ახლოს).

1894 წელს მე მქონდა შემთხვევა რამდენიმეჯერ
ვყოფილიყვავი „კვალის“ რედაქტიაში. მისი რედაქტო-
რის გ. წერეთლის სურვილის თანახმად, გადამეცა მის-
თვის საჭირო ცნობები იმ გაფიცვის გამო, რომელიც
1893 წ. დეკემბერში მოაწყეს თბილისის სასულიერო
სემინარიის მოწაფეებმა და რაც სემინარის ერთი წლით
დახურვით და 83 მოწაფის „მგლის ბილეთით“ და-
თხოვნით დამთავრდა.

გ. წერეთლის, როგორც უურნალის რედაქტორის,
დასახასიათებლად საჭიროდ მიმაჩნია ამ ეპიზოდზე
დაწვრილებით შევჩერდე.



1893 წელს დეკემბერში ოუსეთის მთავრობის სამართლების კარგულებით თბილისის სემინარია დაიკეტა. მოწაფეები სამ კატეგორიად გაყვეს: პირველი კატეგორიის მოწაფეები (რიცხვით 83) ყოველივე უფლების ჩამორთმევით დაითხოვეს; მეორე კატეგორიის მოწაფეები დაითხოვეს, მაგრამ, თუ სემინარია ხელახლა გაიხსნებოდა, მომავალ სასწავლო წელს, მათ უფლება ჰქონდათ თხოვნა შეეტანათ ხელახალი მიღების შესახებ; მესამე კატეგორიის მოწაფეებს ნება დართეს და ხელიც შეუწყვეს რუსეთის სემინარიებში იმავე წელსვე შესულიყვნენ და კურსი დაემთავრებინათ. ისინი უდანაშაულოდ იყვნენ ცნობილნი.

ორ პირველ კატეგორიაში მოქცეულ მოწაფეებს ქალაქ თბილისში დარჩენა აეკრძალათ. მათ წინადადება მიეცა დაუყოვნებლივ წასულიყვნენ სოფლებში მშობლებთან. მე დედმამით ობოლი ვიყავი; ვიზრდებოდი დედით ბიძასთან დავით კობახიძის ოჯახში, ს. ხეთავი (სამეგრელო). განკარგულების თანახმად თბილისში აღარ მედგომებოდა და წავედი სოფელში, საღავ 1894 წლის აგვისტომდე ვცხოვრობდი.

ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ცარიზმა სამეგრელოში სამინისტროს ყველა სკოლიდან საბოლოოდ განდევნა ქართული ენის სწავლება. ამ სკოლებში დაამყარა სასტიკი რეუიმი: მეგრელ მოწაფეებს აკრძალული ჰქონდათ ქართული წიგნების კითხვა; ვისაც ქართულ წიგნს დაუნახავდნენ შეუბრალებლად სჯიდნენ.—რიცხავდნენ სკოლიდან.

ქართული ენის სწავლების მომხრე ან უბრალო თანამდებნობი მასწავლებლები თანდათან იღევნებოდნენ სკოლებიდან და მათ აღვილზე ინიშნებოდნენ უბრინციპო, მშიშარა, ხშირად პირდაპირ მოსყიდული და მოღალატე მასწავლებლები, რომელთაც რჩებოდათ ბურთი

და შოედანი. ისინი იყვნენ ცარიზმის შაგი ზოახვების გამტარებელნი, მათ შორის თავისი უსირცხვილობით, თავხედობით და ჯაშუშრბით გამოირჩეოდა. თადა აშორდია.

თ. აშორდია, თუმცა ცოცხალი, მარჯვე, მწევრმეტყველების ნიჭით დაჯილდოებული, მაგრამ სუსტი ნებისყოფის მქონე და უპრინციპო კაცი იყო. ასეთი ადამიანი გამოიყენა ადგილობრივმა მთავრობამ ქართული ენისა და კულტურის წინააღმდეგ მებრძოლად. ყველგან და ყოველთვის აშორდია გატაცებით „უმტკიცებდა“ მეგრელ მსმენელებს: რომ ქართველები ისტორიულად ჩაგრავდენ მათ. რომ ქართველებმა წაართვეს საკუთარი ენა. თავზე მოახვიეს თავისი ქართული; რომ მეგრელები ქართველები არ არიან, რაც მეცნიერებამ უდავოდ „დაამტკიცა“: რომ რუსეთის მთავრობამ დაინახა ქართველების ვერაგული პოლიტიკა და ვეხმარება ჩაგვრას თავი დავალწიოთ. ნებას გვაძლევს მეგრელებს, ნაცვლად ქართული ენისა, მშობლიური მეგრული ენა ვისწავლოთო და სხვადასხვა.

ზოგიერთ მეგრელზე გავლენას ახდენდა თ. აშორდიას ასეთი „ბრძნული“ მტკიცება. ამ ნიადაგზე წარმოიშვა სამეგრელოში, ეგრეთწოდებული აშორდიზმი, რომელიც ნამდვილ ეროვნულ ტკივილად და საშიშ ავადმყოფობად გადაიქცა.

ამ გამცემლურ, ავადმყოფურ და, რაც მთავარია, ყოველგვარ ჭეშმარიტებას მოკლებულ ბოდვას აღმოშჩნდნენ მიმდევრები მასწავლებლობაში და ინტელიგენტთა ერთ ნაწილშიც. საერთოდ კი, მეგრელების დიდი უმრავლესობა, მთელი სამეგრელო წინააღმდეგი იყო იმისა, რომ სამეგრელოს სკოლებიდან მთავრობამ ქარ-

თული ენა განდევნა და სკოლებში თადა აშორდია და „ძმანი-მისნი“ გააბატონა.

ამ საკითხით სერიოზულად დაინტერესდა მაშინ-დელი მოწინავე ქართველი საზოგადოება, ქართული პრესა. კერძოდ დიდი ქართველები — ილია, აკაკი, ი. გოგებაშვილი და სხვ.

გაჩაღდა ბრძოლა.

აშორდიას მე პირადად ვიცნობდი; რამდენჯერმე ყოფილა ბიძაჩემის — დავით კობახიძის სახლში. ჩემი ბიძაშვილი — ალექსანდრე მისი მოწაფე იყო ზუგდიდის სამოქალაქო სასწავლებელში. პირველ ხანებში თადა აშორდია ცაიშის ორკლასიან სასწავლებელში მასწავლებლობდა. შემდეგში „სასარგებლო და ერთგული მოღვაწეობისათვის“, ე. ი. ქართული, ეროვნული საქმის ღალატისათვის. წარმატება მისცეს: მასწავლებლად დანიშნეს ზუგდიდის სამოქალაქო სასწავლებელში. თუმცა მას, როგორც საოსტატო სემინარიის კურს დამთავრებულს, ამისი უფლება არ ჰქონდა.

თადა ყოველთვის მუნიციპი იყო გამოწყობილი, დიდად მოჰკონდა თავი თავისი „მოღვაწეობით“. მე მასთან პირადად საუბარი ან კამათი არ მქონია. მაგრამ საერთოდ ეტყობოდა ქარაფშუტა, თავქარიანი კაცი იყო. ამბობდნენ, რომ წიგნს სრულებით არ კითხულობდა. არც რუსულად და, მით უმეტეს, არც ქართულად. მთელ თავისუფალ დროს ნარდისა და ქალალდის თამაშს ანდომებდა.

თუმცა პირადად ჩემთვის არაფერი დაუშავებია, მაგრამ, უნდა გამოვტყდე, რომ მძულდა ეს კაცი და ზიზლს მგვრიდა მისი სამარცხვინო მოლალატური მოღვაწეობა.

და, აი, ერთ დღეს (1894 წელს), როდესაც მე სემინარიიდან დათხოვნილი სოფ. ხეთაში ვცხოვრობდი,

აზრად მომივიდა დამეწერა კორესპონდენცია აშორდიზმისა და „აშორდიზმის“ შესახებ და გამეგზავნა მაშინ ახლად-დაარსებულ გ. წერეთლის უურნალ „კვალში“.

მე, როგორც ყველა ჩემი ამბანაგი (სემინარიელები), ილიას „ივერიის“ იდეებზე ვიყავით აღზრდილი. ულრმეს პატივსა ვცემდი ილიას პიროვნებას. „ივერიის“ რედაქტურაში გულკეთილობა გამოიჩინა ჩემდამი და 1894 წლის მარტისა და აპრილის განმავლობაში ჩემი რამდენიმე კორესპონდენცია მოათავსა ზუგდიდის მაზრისა და მისი უფროსის ჯამსუხ დადიშქელიანის შესახებ. მიუხედვად ამისა, ახლაც არ მახსოვს რა მოსაზრებით, გადავწყიტე, რომ ეს კორესპონდენცია „კვალში“ გამეგზავნა. კორესპონდენცია დიდი გამოვიდა, მაგრამ არ შევამოკლე. ვითიქრე: რედაქტურა თითონ შეამოკლებს, საურადღებო ფაქტს და ადგილებს მაინც დატოვებს-მეთქი. წერილს ჰქონდა ასეთი სათაური: „კორესპონდენცია სოფ. ხეთიდან, ვაწერდი თხევდონიშს „იპო ხე-თელი“.

ბიძაჩემის ოჯახს გაზეთები არ ჰქონდა გამოწერილი, მე კი თითქმის ყოველდღე მივდიოდი ახლობელ სამრევლო სკოლაში და აქ ვკითხულობდი უურნალ-გაზეთებს (ამ სკოლაში მასწავლებლობდა ესტატე შუშანია, გულწრფელი და უანგარო მებრძოლი ქართული ენის სწავლებისათვის სამეცნიერო სკოლებში). ჩემს „მოგონებებში“ მე დაწვრილებით მაქვს დახასიათებული მისი პიროვნება და მოღვაწეობა).

„კვალი“ კვირეული უურნალი იყო. ორი კვირა გულის ფანცქალით ველოდი და ხელის კანკალით ვფურცლავდი „კვალის“ ნომერს. მის უკანასკნელ ფურცლებს, სადაც ჩვეულებრივ, იბეჭდებოდა კორესპონდენციები.

წერილის გავზავნიდან მესამე კვირა იყო, როდესაც მე ესტატე შუშანიას სკოლაში მივედი. ცოტა ხნის შემდეგ მოწაფემ მოიტანა „ივერიის“ და „კვალის“ ახალი ნომრები. უნდა გამოვტყდე, სული წამივიდა და ხელი ვტაცე პირველად „კვალს“ და დაქარებით თითოთ გავხიერ მისი უკანასკნელი ფურცლები და..., საშინლად დავლონდი, რადგან ჩემი კორესპონდენცია ვერ ვნახე... ნომერი ესტატეს გადავეცი. მან დინჯად დაუწყო თვალი-ერება. წაიკითხა ხმამალლა მოწინავე წერილის სათაური: „სამეგრელოს ვითარება“. გადაფურცლა გაკვირვებით, შემომხედა და მკითხა: „იპო, შენ ხომ რაიმე წერილი არ გაგიზავნია „კვალის“ რედაქციაში? „გავგზავნე ერთი კორესპონდენცია, ეტყობა არ მოწონებიათ და არ ბეჭდავენ“, ვუპასუხე.

„არ გიბეჭდავენ? აი, შენი წერილი“ სამეგრელოს ვითარება“ და, აი, შენი ფსევდონიმიც—იპო ხეთელი“.

ამ სიტყვებით ესტატემ გადმომცა „კვალის“ ნომერი.

წერილის სათაური ჩემი არ იყო. დავიწყე წერილის კითხვა და აღმოჩნდა. რომ წერილი მთლიანად ჩემია; არც შემოკლება, არც რაიმეს ჩამატება—პირდაპირ უცვლელად იყო დაბეჭდილი ჩემი კორესპონდენცია მოწინავე წერილად.

დიდად გამახარა. ამაღლვა და თანაც გამაკვირვა ასეთმა მოულოდნელმა ამბავმა. საშუალო სკოლის მოწაფის უბრალო კორესპონდენცია სოფ. ხეთიდან სახელმოხვეჭილ მწერალს და რედაქტორს გ. წერეთელს ურნალის პასუხსაგებ მოწინავე წერილად გადაუქცევია. პირდაპირ ვალიარებ: „კვალის“ რედაქტორის გ. წერეთლის ასეთმა გულისხმიერმა, სათუთმა და ყურადღებიანმა მოპყრობამ წამახალისა და წამაქეზა საშუა-

ლო სკოლის მოსწავლე და მან გადაწყვიტა ჩემი ცხოვ-
რების შემდგომი გზა.

1894 წლის ივნისიდან დღემდის, ე. ი. 63 წლის
განმავლობაში. კალამი ხელიდან არ გამიგდია და, შეძ-
ლებისა და გვარად, მიშრომია. მიწერია.

თუ არა ეს ეროვნული გრძნობით და ახალგაზრდო-
ბისადმი სიყვარულით გამსჭვალული ერთგვარი წაქეზება,
შეიძლება მეც, როგორც ბევრი ჩემი დროის ახალ-
გაზრდას, გული გამტეხოდა და მწერლობას სამუდამოდ
ჩამოვშორებოდი.

ეს პირველი პუბლიცისტური დებიუტი ჩემთვის დი-
დად სასიამოვნო იყო, მაგრამ მან სწორედ ერთი წლის
შემდეგ დიდი მწუხარებაც განმაცდევინა. ამ წერილის
გამო მე წამერთვა უფლება სახელმწიფო ხარჯზე შევ-
სულიყავი სასულიერო აკადემიაში.

დაინტერესებულმა პირებმა მალე გამონახეს ფსევ-
დონიმი. ოუმცა „კვალის“ რედაქციას შეცდომით დაე-
ბეჭდა: „აპო ხეთელი“ ნაცვლად „იპო ხეთელისა“, მაგ-
რამ ყველამ გაიგო, რომ ამ ფსევდონიმს მე ამო-
ვეფარე.

ზაფხულში რამდენიმეჯერ შევხვდი ხეთის სამინის-
ტრო სკოლის ზოგიერთ მასწავლებელს, შევამჩნიე, რომ
იბლვირებოდნენ, მაგრამ წერილის შესახებ არავის არა-
ფერი უთქვამს.

მოახლოვდა ჩემი თბილისში წასვლის დრო. აგვის-
ტოს ათამდის სემინარიიდან გამორიცხულებს უნდა შე-
გვეტანა ალდგენილ პედაგოგიურ საბჭოში თხოვნა მი-
ღების შესახებ.

მომბეჭრდა სოფელში ყოფნა და მომენატრა თბი-
ლისში გავლა. განზრახვა მქონდა: თხოვნას შევიტან,
ერთ კვირას დავრჩები და ისევ დავბრუნდები სოფელში

სწავლის დაწყებამდის-მეთქი. გავემგზავრე თბილისში. გზად ერთი დღით დავრჩი ახალსენაკში. აქ შემხვდა ჩემი ყოფილი ამხანაგი (სემინარიდან) ნესტორ გაბუნია. ის სენაკში პრისტავის თანაშემწედ მსახურობდა. ნესტორი კეთილი და მოყვარული ამხანაგი იყო. ერთ დროს ისიც გამსჭვალული იყო ეროვნული გრძნობით და სძულდა გაბატონებული რეჟიმი, მაგრამ სემინარიდან გამოსვლის შემდეგ, ნაცვლად იმისა, რომ მედავითნედ ან დიაკვნად წასულიყო. შევიდა მაზრის უფროსის სამართველოში და, როგორც, შედარებით, ქართულ-რუსულის კარგად მცოდნებ. მალე პრისტავის თანაშემწეობას მიაღწია.

ნესტორს გაუხარდა ჩემი ნახვა და რესტორანში დამპატიუ ვახშმად. ვახშმობის დროს მან გადმომცა, რომ თურმე ჩემს წერილს ძლიერ აუღელვებია აშორდიას მომხრე, ეროვნული საქმის მოღალატე მასწავლებლები, განსაკუთრებით ქუთაისის დირექციაში მიღებული და ავტორიტეტიანი მასწავლებელი სალაყაია (შემდეგში მალე ამ მოღალატეს „სასარგებლო“ მოღვაწეობისათვის ფოთის პოლიცმეისტრობა შესთავაზეს). სალაყაიას მოუწვევია „შეურაცხყოფილი“ მასწავლებლების თათბირი. თათბირისათვის მიუკიათ ოფიციალური ხასიათი და ერთხმად დაუდგენიათ: ჩემი წერილი გადაეთარგმნათ რუსულად და მომხდარი თათბირის ოქმთან ერთად გადაეგზავნათ ქუთაისის სახალხო სკოლების დირექციაში. დირექტორს აუწყებდნენ თურმე. რომ აღმაშფოთებელი სტატიის დამწერი არის სოფ. ხეთის მცხოვრები, თბილისის სემინარიიდან გამორიცხული იპოლიტე პეტრეს-ძე ვართაგავა. და მოითხოვდნენ ჩემს სასტიკად დასჯას – საზიზლარი ცილისწამებისათვის სასამართლოში გადაცემას. *

„პირდაპირ გულახდილად გეტყვი იპო, უსტურებულებული მოსფერო იყო შექმნილი, რომ შენი დაცვა ვერ მოვახერხე, თუმცა ბევრი მოხოვეს, მაგრამ ოქმზე ხელი მაინც არ მოვაწერე“, — დაასრულა თავისი მოთხოვა ნესტორმა.

გასაგებია. რომ დიდად მეწყინა ეს ამბავი. საფრთხე მომელოდა, რადგან ამ ოქმის გამო ჩემ თხოვნაზე, სემინარიაში მიღების შესახებ, შეეძლოთ უარი ეთქვათ და სასწავლებლის გარეშე დავრჩენილიყავი. მაგრამ დაბრუნებისას ერთმა თბილისელმა მოწაფემ წერილით შემატყობინა, რომ სემინარიაში გაკრული სის თანახმად მეც ვითვლებოდი მიღებულად. დაშოშმინებული ჩავედი თბილისში. მესიამოვნა იმის შეტყობაც, რომ აღდგენილი მოწაფეები, კვლავ დაეტოვებინათ სახელმწიფო ხარჯზე.

ერთმა ჩემმა ამხანაგმა გადმომცა: გ. წერეთელი შემხვდა პუშკინის ბალში და მკითხა: სემინარიის მექვეს კლასის მოწაფე ვართაგავა ხომ არ ჩამოსულა სოფლიდან?

ჯერ არ ჩამოსულა-მეთქი. — ვუპასუხე.

მაშ. როდესაც ჩამოვიდეს, გადაეცით, რომ ვიორგი წერეთელი გთხოვს „კვალის“ რედაქციაში შემოდითქო.

ძლიერ გამიხარდა ეს ამბავი. ვიორგი წერეთლის პირადად გაცნობა საამო და სასურველი იყო ჩემთვის — საშუალო სკოლის მოწაფისაოვის. რასაკვირველია, გადავწყვიტე მისვლა. მაგრამ ორი დღის განმავლობაში ვდელავდი: როგორ მიმიღებს, რას მეტყვის, მის შეკითხვაზე როგორ ვუპასუხო? ასეთი კითხვები მოსცენებას არ მაძლევდნენ.

მაგრამ ჩენი თაობის ახალგაზრდობა სახელმოხვევილი საზოგადო მოღვაწეებს და მწერლებს ისე ვაფასებდით, მათდამი იმდენი პატივისცემა გვქონდა. მათ ავტო-

რიტეტს ისე მაღლა ვაყენებდით, რომ მათთან შეხვედრა და გასაუბრება განსაკუთრებულ მოკრძალებას იწვევდა ჩვენში...

როგორც იყო მივედი გიორგისთან.

„კვალის“ რედაქცია მაშინ მოთავსებული იყო ხელაძის სტამბის ერთ-ერთ პატარა ოთახში. უურნალსაც აქ ბეჭდავდნენ.

ჩემი გვარი რომ ვუთხარი, გიორგიმ საოვალეებიდან ამოიხედა. გამილიმა. ხელი ჩამომართვა და ტკბილად მითხრა:

— ვაუო ხომ არ გეწყინა. რომ შენს წერილს სხვა სათაური „სამეგრელოს ვითარება“, — გავუკეთე არა, ბატონო, ახალმა სათაურმა თავის თავად გააძლიერა ჩემი სუსტი წერილი — მეოქი მივუგე. „ნუ მორცხვობ, შენი წერილი სუსტი კი არა, ძლიერი წერილია, ხალხის მტრებს გულში ისარივით ჩაესო, აკი ამისათვის მოვათავსე. ის მოწინავე წერილად, — მიპასუხა გიორგიმ.

მე რა მეოქმოდა, გავჩერდი.

დიდი მწერლის და საზოგადო მოღვაწის მიერ ჩემი წერილის ასეთი დაფასება გულში მაღამოდ მომეცხო და ნესტორ გაბუნიას მიერ გადმოცემული ამბის სიმწვავი გამინელა.

შემდეგ გიორგიმ გამომკითხა. საერთოდ, სემინარიისა და კერძოდ, 1893 წ. დეკემბერში მომხდარი გაფიცვის შესახებ. ეტყობოდა. რომ ძლიერ დაინტერესებული იყო სემინარიის ამბებით. მე დაწვრილებით ვუამბე სუყველათერი. გავაცანი ჩვენი პეტიციის მთავარი მოთხოვნილებები: სემინარიაში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების შემოლება. ზოგიერთი. ქართველისათვის, სრულებით გამოუსადეგარი. საგნის მოხსნა და სხვა...

გიორგიმ განსაკუთრებული ინტერესით შეასრულა, თუ როგორ ისწავლებოდა ეგრეთწოდებული „ქართული ენა“ სემინარიაში. მეც დაწვრილებით ვუამბე. „— ამას ეძახიან ქართული ენის სწავლებას? ეს ხომ საშინელი დაცინვაა ქართული ენისა? მერე ასე ასწავლის თედო ქორდანია ქართულ ენას? უკეთესი არ იქნებოდა რომ სულ უარი ეთქვა ასეთ სწავლებაზე?“ — გიორგის სიტყვებში, მის ტონში აშკარად შევამჩნიე თედო ქორდანიასადმი უკმაყოფილება.

მაშინვე გამახსენდა მათ შორის გამართული პოლე-მიკა ისტორიული საკითხების გამო, გამახსენდა თედო ქორდანიას პირდაპირ გამანადგურებელი პოლემიკური წერილი: „ბ-ნი გ. წერეთელი და მისი ისტორიული ოფოფები“ და ცოტა ხანს შევჩერდი, არ ვიცოდი, რა მეთქვა. მალე გონი მოვიკრიბე და ვუთხარი.

„— ბ-ნი გიორგი, ქართულის ამგვარი სწავლება სინოდისაგან არის დამტკიცებული. სავალდებულო პროგრამა - არსებობს. მასწავლებელი ამ პროგრამას ვერ შეცვლის. ქორდანიამ თავიც რომ დაანებოს მასწავლებლობას, სხვა მოვა და იმანაც ისე უნდა ასწავლოს. ჩვენ ორი გაფიცვა მოვახდინეთ ამ საკითხის გამო, სემინარიაც დახურეს, ოთხმოცდა სამი მოწაფე დაითხოვეს უფლების აყრით, და მაინც არ უნდათ შემოიღონ ნორმალურად ქართული ენის და ლიტერატურის სწავლება. ამ პირობებში ქორდანიას პროტესტი და წასვლა უაზრო იქნებოდა“.

„— ესეც მართალია“, — დინჯად ჩაილაპარაკა გორგიმ.

წამოსვლისას მითხრა: „ნუ დაივიწყებ ჩვენს რედაქციას; გამოგვიგზავნე ან შემოგვიტანე წერილები და

უსათუოდ დაგიბეჭდამთ. პუბლიცისტის ტექსტების გეტყობა; მეტი ცოდნა შეიძინე, წიგნები იკითხე და შენგან უძველად სასარგებლო უურნალისტი გამოვაო“.

დიდი ქართველის ამ სიტყვებმა სიამოვნებით აავსეს ჩემი გული. გიორგიმ დაპირება შეასრულა: 1894 წელს ჩემი კიდევ სამი დიდი წერილი დაიბეჭდა „კვალში“ „სამეგრელოს ვითარების“ სათაურით.

ერთი შენიშვნა: როდესაც მე გიორგის სემინარიის ამბებს დაწვრილებით უჟამბობდი, განსაკუთრებით კი სალვოსმეტყველო საგნებისა და ქართული ენის სწავლების შესახებ, ის რაღაცებს თავის უბის წიგნაკში იწერდა.

ერთი კვირის შემდეგ „კვალში“ დაიბეჭდა გ. წერეთლის მოწინავე წერილი, რომელიც შეეხებოდა ქუთაისში ახლად გახსნილ და ობილისში აღდგენილ სემინარიებს და მათში სალვოსმეტყველო და სხვა საგნების სწავლების საკითხებს.

ნათლად იგრძნობოდა. რომ გიორგის უსარგებლია ჩემ მიერ მიწოდებული ზოგიერთი ცნობით. ლრმად შეუსწავლია ისინი და სერიოზული ზოგადი დასკვნები გაუკეთებია. წერილის სათაური იყო — „საკვირველი გაუტვრეტელობა“.

გ. წერეთელი, როგორც „კვალის“ რედაქტორი, დიდ ყურადღებას აქცევდა ახალგაზრდობის ლიტერატურულ-პუბლიცისტურ ცდებს, მათ პრესაში გამოსვლას. და როგორც ჩემი პირადი მაგალითი ამტკიცებს. ამხნევებდა, გზას უხსნიდა, უბეჭდავდა წერილებს. ახალგაზრდობაც გრძნობდა ამას და „კვალისა“ და მისი რედაქტორისადმი სიმპათიას ამჟღავნებდა. ასე გრძელდებოდა მანამდის, სანამ გ. წერეთელმა „კვალის“ ხელმძღვანე-

ლობა ნ. უორდანიას არ გადასცა და სახელმწიფო უსამართლო და დაუსაბუთებელი ბრძოლა არ გამოუცხადა ილია ჭავჭავაძეს.

ჩემის აზრით, საჭიროა გ. წერეთლის. ორგორც რედაქტორის დასახასიათებლად ჩვენი კულტურული ცხოვრების ამ საინტერესო ეპიზოდის მოკლედ მაინც მოგონება.

1894 წ. ორგორც ვიცით. „კვალმა“ ბრძოლა გამართა ძველი თაობის (თერგდალეულების) წინააღმდეგ, განსაკუთრებით ნიშანში ამოილო ილია ჭავჭავაძე და გაზ. „ივერია“, „კვალსა“ და „ივერიას“ შორის ეს ბრძოლა და კამათი ჩაისახა და გაძლიერდა მას შემდეგ, რაც ეგ. ნინოშვილის დასაფლავების დღეს ახალგაზრდების ერთმა ჯგუფმა ფიცი დასდო. ორმ განაგრძობდა განსვენებული მწერლის იდეურ მიმართულებას და შემოქმედებით ტრადიციას.

ორგორც ვიცით, გ. წერეთელმა ამ ჯგუფს „მესამე დასი“ უწოდა და იგი „მეორე დასს“ დაუპირისპირა.

ამ შემთხვევაში გ. წერეთელმა, მართლაც, იდეურ მიმართულებათა ჩასახვა-დაბადების შეგრძნობის უნარი გამოიჩინა.

ამ დროს ჩვენში ეს-ეს იყო კანტი-კუნტად, ბუნდოვნად. თითქმის უსისტემოდ ვრცელდებოდა მარქს-ენგელსის იდეები.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას. ორმ ჩვენს მწერლებს შორის ამ ახალი იდეების ჩასახვა ყველაზე აღრეგ. გ. წერეთელმა იგრძნო. ეს უეჭველად მას პლიუსად ჩაეთვლება.

გ. წერეთელი აშკარად თანაუგრძნობდა ახალი იდეების მომხრეებს, რაც უდავოდ მისი დამსახურებაა, მაგრამ მის დანაშაულს ის წარმოადგენს. ორმ ახალგაზრდობის კრიტიკული გამოსვლები კალაპოტში ვერ ჩაიყენდა.

ნა, მათ ნიღილიზე აღვირი არ ამოსდო და შემარიტება გაათელინა.

ამას ადასტურებს ფაქტი, რაც მოხდა ეგ. ნინოშვილის დასაფლავების დღეს გურიაში.

მოვიყვანთ ერთ დიდად დამახასიათებელ ადგილს „კვალიდან“: „ერთი რამ შესანიშნავი მოვლენა აღმოჩნდა ნინოშვილის დასაფლავებაზე. მის კუბოს გარს შემოკრძენ, ასე ვთქვათ, მესამე დასი ახალგაზრდობისა... ნამდვილი მათი მოთავე, ამათი სახელი და ამათი იმედი ყოფილა ნინოშვილი, რომლის ნაწერებშიაც ბრჭყვინავს ამ მესამე დასის ახალგაზრდობის სულის მისწრაფება და მათი მოქმედების პროგრამა შომავალში. ისინი უარყოფენ ჩვენ ძველ ინტელიგენტებს — მეთაურებს — და მათი მოქმედება უკვე მავნებლად მიაჩნდათ ჩვენი საზოგადოების წარმატებისათვის, რადგან ისინი განხეთქილან და გაუყვიათ მოელი საზოგადოება პირადი ინტერესის გულისთვის ებრძვიან ერთმანეთს უწმინდეურის საშუალებით... საგანი მათი მისწრაფებისა არის სიმდიდრის მოხვეჭა, პირადი სარგებლობა.

ამ სახით ეს მესამე დასი ხდება დაუძინებელ მტრად ახლანდელი ჩვენი ინტელიგენტ-მეთაურებისა და მათი მოქმედება მიაჩნიათ მავნებლად ჩვენი ქვეყნისათვის“... (იბ. წერილი „ეგ. ნინოშვილის დასაფლავება“, „კვალი“, 1894 წ., № 21).

ასეთი ხასიათის წერილი „კვალმა“ მოწინავე წერილად დაბეჭდა. ჩანს, რომ ეურნალი მთლიანად იზიარებდა წერილში გამოთქმულ აზრ-შეხედულებას.

როგორც ვიცით, ისტორიამ არ გაამართლა ასეთი ნიღილისტური შეხედულება ძველ მოღვაწეებზე, კერძოდ, ილია ჭავჭავაძეზე.

ყოველ შემთხვევაში, ერთი უდაცოა: გ. წერეთელი, როგორც რედაქტორი, მიესალმა ახალი იდეების ჩასახვას საქართველოში, მის აკვანთან იდგა და პირველ-მა დაარწი იგი.

გ. წერეთელი, საერთოდ, ყოველთვის ერთ-ერთი პირველთაგანი ამჩნევდა ყოველივე მოწინავეს, ახალს, პროგრესულს. მათი ათვისების და პროპაგანდის ნიჭი და უნარიც ჰქონდა, ეს კი უძვირთასესი თვისებაა რე-დაქტორისათვის.

როგორც ცნობილია, ფილოსოფიური აზროვნების უკანასკნელ სიტყვად გ. წერეთელი თვლიდა მოლეშოტის, ფოხტის და ბიუხნერის მატერიალიზმს. 1893 წელს ის „კვალში“ წერდა: „მოლეშოტი ისეთი მეცნიერია, რომლის წიგნებზე აღიზარდა რუსეთის საზოგადოების ახლად გაღვიძებული აზროვნება და ჩვენი სამოციანი და სამოცდაათიანი წლების მოლვაწეთა მოდგმა. მას ევროპულ განათლებაში ისეთივე მნიშვნელობა იქვს, როგორც ფილოსოფიაში და ანტროპოლოგიაში ბიუხნერს და ფოხტს... ბიუხნერის და ფოხტის შეხედულებით უკვდავია ორი საგანი: უკვდავია მატერია და მასთან დაკავშირებული ძალა. რომლებიც ურთიერთ და-მოკიდებულების ნიადაგზე წარმოშობენ სიცოცხლეს და ყველა სულიერ და უსულო საგნების სხეულს. ცხოვრება – ეს სიცოცხლის და სიკვდილის შეუწყვეტელი ცვლაა. ამისათვის ყოველივე ცალკე არსებობა ცვალებადია, მაგრამ ის ძალა, რომელიც ქმნის ამ ცვალებადობას უკვდავი და მარადიულია“.

ასე მსჯელობდა გ. წერეთელი, ღრმად განათლებული, ევროპულად მომზადებული, მოწინავე იდეების მატარებელი ადამიანი, რომელიც სათავეში უდგა ერთ ღარიბ ქართულ უურნალს და უანგაროდ. უსასყიდლოდ მუშაობდა სახალხო საქმისათვის.

უფრო უკეთეს, უფრო დადებით და მისამართებირს იძოვის განა საღმე ქართველი მწერალი მხატვრული ნაწარმოებისათვის?

ჩვენ ვეძებთ სანიმუშო და მისაბაძ ადამიანებს სხვა-
გან, იმ დროს როდესაც ასეთი ადამიანები ჩვენ ბევრი
გვყავდა და მათი ლვაწლი შესაფერისად ვერ დაგვიფა-
სებია.

* როდესაც მე, გ. წერეთელს, როგორც მწერალს, სა-
ზოგადო მოღვაწეს, რედაქტორს და ადამიანს სანიმუ-
შოდ, სამაგალითოდ და მისაბაძად ვთვლი ჩვენი დღე-
განდელი ახალგაზრდობისათვისაც კი, ეს იმას როდი
ნიშნავს, რომ ის უცოდველი, უნაკლო, სახატე და სა-
ლოცავი პიროვნება იყო, რომ მის საზოგადოებრივ,
კულტურულ და სამწერლო მოღვაწეობას შესამჩევი ნაკ-
ლი არ გააჩნდა. არა, გააჩნდა და ზოგ შემთხვევაში
აშკარად დასაგმობი.

რამდენიმე ამის მაგალითს მე თითონ მივაწვდი
მკითხველს. პირველ და დიდად დამახასიათებელ მაგა-
ლითად მე მოვიყვან „კვალში“ დაბეჭდილ „მესამე დასე-
ლების“ მანიფესტი-დეკლარაციის ერთ ადგილს:

„კაერემენის ბოდვამ სავსებით გამოამულავნა „ივე-
რიის“ მთელი შინაარსი, მისი სიბერია, მისი სითახსი-
რე. „ივერიის“ დროშაზე შემდეგი დევიზია წარწერილი:
„პატრიარქალური კარხაკეტილობა, ახალი ფორმის ბა-
ტონების აღდგენა, მისი დამკვიდრება. მისი მიმარ-
თულება ჩვენს ლიტერატურაში უნდა აღინიშნოს სიტყ-
ვით: „რეაქცია“. ამ ორგანიზაციაში საოცარი, თავდ-
რუდამხვევი ქაოსია, დომხალივით არევ-დარევაა, ვინაი-
დან მას ხელმძღვანელობს რედაქტორი, ლუარსაბის ახ-
ლო ნათესავი (იგულისხმება ილია). ტახტზე წამოწოლი-

ლა ლუარსაბი და მის გარშემო მისი ახალგაზრდა და-
რეჯანი“... („კვალი“, 1894 წ., № 21).

„მესამე დასი“ მხოლოდ გიორგი წერეთელს აყენებ-
და თავის საფარქვეშ. ძველი ინტელიგენციიდან მხო-
ლოდ მას თვლიდა სასარგებლო მოღვაწედ. აკი „დამს-
წრებ“ (ფსევდონიმია—ი. ვ.) ნინოშვილის საფლავზე
წარმოთქმული სიტყვებიდან მხოლოდ გ. წერეთლის სი-
ტყვა მოიყვანა შემდეგი შენიშვნით: „არც ერთი მუხლი
„მესამე დასის“ პროგრამისა არ ეწინააღმდეგებოდა იმ
აზრებს, რომელიც გამოარკვია გ. წერეთელმა ნინოშვი-
ლის კუბოს წინაშე წარმოთქმულ სიტყვებში“—ო.

მაშასადამე, „მესამე დასი“ დარწმუნებული იყო,
რომ გ. წერეთელსაც „მავნებლად“ მიაჩნდა ძველი ინტე-
ლიგენციის მოღვაწეობა, რომ ისიც თავის დიდიხნის
ამხანაგებს (ილიას, აკაკის, ნ. ნიკოლაძეს და სხვ.)
თვლიდა ფარისევლებად, მშიშრებად, ეგოისტებად, სა-
ზოგადოებაში განხეთქილების შემტანად, რეაქციონერე-
ბად, ლუარსაბ თაოქარიძის მემკვიდრეებად.

მართალია, პირადად თავის სიტყვაში გ. წერეთელს
ეს არ უთქვამს და რომ ეთქვა, ეს იქნებოდა საკუთარი
თავის გაწევვლა, მაგრამ აირჩია სხვა ხერხი: იგი გულ-
მოდგინებით ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ქართულ
ლიტერატურაში ნინოშვილმა პირველმა ნათელყო:
„ერის კეთილდღეობა მშრომელ, დაბალწოდებაზეა და-
მყარებული, ის ასაზროებს მთელი ერის ტანს“.

ამბობდა რა ამას, გ. წერეთელი შეგნებულად ივი-
წყებდა იმ უდავო ფაქტს, რომ მეცხრამეტე საუკუნის
ქართული მწერლობის ძირითად ამოცანას წარმოადგენ-
და, ერთი მხრით, ეროვნულ-განმათვისუფლებელი
მოძრაობის მომზადება, ხოლო, მეორე მხრით, დაბალი,

მშრომელი ხალხის ქომაგობა, მისი ინტერესების დაცვა. გ. წერეთელმა დაივიწყა „სურამის ციხე“, „კაკო ყაჩალი“, „გლახის ნაამბობი“, „ყოველი მხრიდან“, „ვაი უბედურთა“, „ლამის მეხრე ცეცო“, „ბნელო“; დავიწყებას მისცა თავისი „პირველი ნაბიჯი“, „რუხი მგელი“ და სხვ.

მომხდარმა ფაქტებმა დიდი აღშფოთება გამოიწვია საზოგადოებაში. განსაკუთრებით ახალგაზრდობა ღელავდა. ასეთი დაუმსახურებელი უარყოფა სახელმოხვეჭილი ძველი ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლებისა გ. წერეთლის უურნალში გაუგებარ და უცნაურ მოვლენად მიაჩნდა ყველას.

მახსოვეს, თუ როგორი აღშფოთება გამოიწვია სემინარიელების უმრავლესობაში „მესამე დასის“ დეკლარაციაში. მეც. გ. წერეთლის მიერ დიდად წაქეზებულმა და გამინევებულმა, მისი წყალობით ამხანაგებში „სახელმოხვეჭილმა“ „კვალის“ თანამშრომელმა, პირდაპირ შევიძულე ეს უურნალი.

შემდეგში, სტუდენტობის დროს, როდესაც უურნალ „კვალს“ უკვე ნ. ეორდანია ხელმძღვანელობდა, მე „კვალისა“ და „კვალელების“ წინააღმდეგ „ივერიაში“ დავბეჭდე პოლემიკური ხასიათის წერილები „ვარ“-ის ფსევდონიმით. ამ წერილებით სასტიკად ვამათრახებდი „კვალის“ პუბლიცისტებს, მაგრამ გ. წერეთლის პატივისცემა იმთავიოვე იმდენად ლრმად ჩაიჭრა ჩემს არსებაში. რომ მისი სახელი არც ერთხელ აუგად არ მიხსენებია, თუმცა კი მას დამნაშავედ ვთვლიდი დიდი ილიას აუგად სსენებისათვის.

ცხადია, რომ გ. წერეთელმა თავისი ყოფილი ამანაგებისადმი, განსაკუთრებით ილიასადმი, ვერ გამოიჩინა ობიექტურობა, მიუდგომლობა, სამართლიანობა;

გ. წერეთელმავე თავის უურნალის თანამშრომელს—ხომლელს (რომანოზ ფანცხავას ფსევდონიმი იყო) საშუალება მისცა ისეთი კრიტიკული წერილი დაებეჭდა „კვალში“, რომელშიც „განდეგილი“ და მისი მხატვრული ღირსება აუგად იყო მოხსენებული, მყინვარის დიდებული აღწერა კი სამასხარაოდ აგდებული; ამავე წერილში ხომლელმა ქართლ-კახეთის ბელეტრისტთა შორის მნილოდ „ბნელოს“ ავტორი მელანია (ნათაძე) აღიარა ნამდვილ მწერლად, იმერლებს შორის კი—გ. წერეთელი.

რა თქმა უნდა, ეს ხომლელის უდიდესი შეცდომა იყო, მაგრამ შეცდომა იყო გ. წერეთლის მხრივაც. რომელმაც ამგვარ წერილს „კვალში“ აღგილი დაუთმო.

მიუხედავად ყოველივე ამისა, გ. წერეთელი მაინც სამაგალითო, მისაბაძ დადებით გმირად გვევლინება, როგორც მწერალი, რედაქტორი. თავდადებული და უანგრო საზოგადო მოღვაწე, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ქართული უურნალისტიკის და საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების ისტორიაში.

გაზ „ივერია“ გ. წერეთლის ამ დიდი დამსახურების შესახებ წერდა: „ძნელად წარმოსადგენია ქართველი კაცი, მცოდნე ქართულის წერა-კიოხვისა, რომ გ. წერეთლის სახელი არ გაეგონოს, სახელი იმ კაცისა. რომელმაც ამ ორმოცი წლის (1862 წ.) წინათ აღიპყრა ხელთ თავისი ნიჭიერი კალამი და სიკვდილამდე თავი არ დაუნებებია მწერლობისათვის. არც ერთი უურნალი და გაზეთი არ დაბადებულა ქართულს ენაზედ, რომ მას თავისი მჭრელისა, მახვილისა და მადლიანის კალმით დახმარება და შემწეობა არ აღმოეჩინოს“ („ივერია“, 1900 წ., № 9).

დიდება და მარდიული ხსოვნა ასეთ ქართველს.

სერგეი მესხი

ს. მესხი ლარიბი აზნაურის შვილი იყო. მან ბრწყინვალედ დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია, ხოლო შემდეგ— პეტერბურგის უნივერსიტეტის სრული კურსი. დაბრუნდა თუ არა სამშობლოში, მას ბევრი თბილი ადგილი შეაძლიეს, მაგრამ სერგეიმ მოხელეობა არ ისურვა, რადგან გადაწყვეტილი ჰქონდა მთელი თავისი ძალ-ლონე, ენერგია, ცოდნა და **ნიჭი** საზოგადო, სახალხო საქმისათვის, კერძოდ, ლიტერატურისათვის შეეწირა.

21—22 წლის ვაჟკაცს ქართველმა მოწინავე საზოგადოებამ გაზეთ „დროების“ რედაქტორობა მიუღლოცა, რედაქტორობა იმ გაზეთისა, რომელიც კვირაში ერთხელ გამოიციდა და რომელსაც მხოლოდ ორასი ხელის მომწერი ჰყავდა.

ს. მესხი სიამოვნებით დასთანხმდა ამ მძიმე სამუშაოზე, თუმცა მან მშვენიერად იცოდა, თუ რა ჭაპანუვეტა და აუტანელი შრომა დასჭირდებოდა.

ს. მესხის „დროების“ რედაქტორობა 1869 წელს 11 აპრილს ჩააბარეს. ამ დღიდან მოწინავე საზოგადოების ნდობით აღჭურვილი პხალგაზრდა ს. მესხი „დროებას“ 1873 წლამდე რედაქტორობდა. 1874 წლის ოქ-

ტომბრამდე, ს. მესხის საფრანგეთში ყოფნის გამო, „დროებას“ კ. ლორთქითანიდე ხელმძღვანელობდა. საფრანგეთიდან დაბრუნების შემდეგ ს. მესხი კვლავ ჩაუდგა გაზეთს სათავეში და რედაქტორობდა 1880 წლამდე. 1880—1881 წლებში „დროება“ გამოდიოდა ს. მესხისა და ილ. ჭავჭავაძის რედაქტორობით. 1883 წლიდან ს. მესხი კვლავ მარტო ხელმძღვანელობდა გაზეთს. 1883 წ. მძიმე ავადმყოფობის გამო ს. მესხმა სამუდამოდ დასტოა „დროება“ და რედაქტორობა ივანე მაჩაბელს გადააბარა (იხ. სერგეი მესხის „წერილები“, ი. ბოცვაძის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით, გვ. 227).

ს. მესხი თავს ევლებოდა გაზ. „დროებას“. დღე და ღამე მასზე ფიქრობდა, პირადი ცხოვრება ავიწყდებოდა; თოთხმეტი წლის განმავლობაში ძიძობდა გაზეთს და ყოველკვირეული ორგანო მალე ყოველდღიურ გაზეთად აქვიდა.

პირველ ხანებში, როცა გაზეთი კვირაში ერთხელ, ხოლო შემდეგ სამჯერ გამოდიოდა, სერგეის რედაქციაში დამხმარე არავინ ჰყავდა, ის იყო მთელი რედაქცია: მასალების შემსწორებელი, რედაქტორი, კორექტორი და ზოგჯერ ასრთამწყობიც.

„რათა განუკითხველი საზოგადოების წინაშე პასუხისმგების გრძნობა არ შეეფერხებინა, უშემწეოდ მივიწყებული რედაქტორი თავს არ იზოგავდა, აწვდიდა ქართველ საზოგადოებას ყოველ მარად დღეს სისხლით და ცრემლით დანამულ გაზეთს და ბოლოს... აუტანელ-მა ჯაფამ მოსტეხა სერგეი და 38 წლისა იყო. რომ გარდაიცვალა“ (იხ. დ. მესხი, „მოგონებანი“, გვ. 26).

აი, ამ სამაგალითო, თავდადებული და უანგარო მამულიშვილის საყვარელი სახე მინდა მოვხაზო და

ბევრ რამეში მისაბად მაგალითად დავუსახო ჩვენ თაობას.

უთუოდ დიდად ნიჭიერი ახალგაზრდა—ს. მესხი უბრალო მომაკვდავად თვლიდა თავის თავს, მისთვის უცხო იყო განდიდების მანია. „მეც სხვებსავით უბრალო კაცი ვარ,—ამბობს იგი ერთ თავის წერილში—, და თუ რამე ღირსება მაქვს, ეს ღირსება ჩემს სამშობლოსადმი მტკიცე და თავ-განწირულ სიყვარულში მდგომარეობს. ნუ ამბობ, რომ ჩემზე უკეთ „მაგალითად“ გაზრდის ვერავინ ვერ წაიყვანს. რატომ? ძალიან ადვილად შეიძლება, რომ ბევრად უკეთ წაიყვანოს ჩემზე ვინმემ, თუ უკეთ მომზადებული იქნება ამ საქმისათვის და გულმოდგინედ მოკიდებს ხელს. მე ეს კი შემიძლია გამოიწვიოთ ვსთქვა, რომ არავისჩე ნაკლები სიყვარული და მტკიცე სურვილი არა მაქვს, რომ ჩემს ქვეყანას რამე სარგებლობა მოუტანო, მაგრამ ყველაზე უკეთ მესმის ყველაფერი მეთქი, ამის თქმა ზოგიერთი სხვა პირების ტრაბახს ემსგავსებოდა“ (იხ. „წერილები“, გვ. 48) რა გულშრფელად ნათქვამი, შესანიშნავი სიტყვებია!

თავდავიწყებამდე მოყვარული თავისი ქვეყნისა, საქმისათვის თავდადებული კაცი, რომელსაც „სიყვარული, სიცოცხლე და ბრძოლა ჰსურდა“—აი, ასეთი იყო ცერგეი მესხი. ერთ-ერთ წერილში თავის საცოლეს ეკატერინე მელიქიშვილის ს. მესხი წერდა: „ძალიან კარგი აზრი მომივიდა, რომ შენი და თამარ-დედოფლის კარტოჩები ჩავსვი რამკაში და სტოლზე დავდგი; როდესაც შენ გიყურებ მე ვტკბები იტკბილი დროების მოგონებით, რომელიც შენთან გამიტარებია; მე ვტკბები შენი სიყვარულით, ერთი სიტყვით, მაშინ მე კაცად ვხდები, ისეთ კაცად, რომელსაც სიყვარული,

სიცოცხლე და ბრძოლა ჰსურს. როდესაც თამარ დედოფალს შევჩერებივარ, მე მახსენდება უნებლიერ ჩემი საყვარელი, მშვენიერი, მაგრამ ტანჯული სამშობლო; ჩემი ბუნებით მდიდარი, მაგრამ კაცისაგან დაღარიბებული და აოხრებული საქართველო! და ეს მხოლოდ ერთი შეხედვა თამარ დედოფლისა მე მაგონებს, რომ ამ ჩემ სამშობლოს დახმარება, ხელები მშველეული და კაცები სჭირია. მე მაგონდება ძველი დრო, თამარ მეფისას დრო, როდესაც ეს ჩემი ქვეყანა აყვავებული, თავისუფალი, დამოუკიდებელი და შემძლებელი იყო. მე მაგონდება, რომ „ებლანდელი“ ქართველი უნდა ებრძოდეს მტერს ამ ჩვენი ქვეყნის აღდგინებისათვის. და შენი დანახვა ჯანს მიმატებს, ენერგიასა და იმედს მაძლევს, რომ ამ ბრძოლას ვიყისრებ, და შეძლებისა და გვარათ, ორივენი ვემსახურებით იმ იდეალს, რომელიც ჩვენ მუდამ ფანარსა ვით უნდა გვინათებდეს ჩვენი ცხოვრების გზასა. დიახ, ჩემო კეკე, მე ჩემს თავს ბედნიერათ ვგრძნობ, მე შენ მიყვარხარ, შენც მე გიყვარვარ, მაგრამ ამაზედ უფრო ბედნიერებათ ის მიმაჩნია, რომ მე მაქვს შემთხვევა ჩემს ქვეყანას ვემსახურო“ („წერილები“, გვ. 69). ეს სტრიქონები ნამდვილი ეროვნული ჰიმნია სამშობლოს სიყვარულის გრძნობით მთერალი სპეტაკი მოქალაქის გულიდან ამონახეთქი.

ს. მესხის პირადი წერილები საცოლისადმი უძვირფასესი მასალაა არა მხოლოდ ს. მესხის, არამედ მთელი იმ ეპოქის დასახასიათებლად. ამ წერილებში ს. მესხის ცენტორის რიდი და შიში არა აქვს, მისი სიტყვები დაზღვეულია ავი თვალისაგან.

სრულიად სამართლიანად ამბობს სერგეი მესხის წერილების გამომცემელი და კომენტატორი იოსებ ბოცვაძე, რომ „ეს წერილები უშუალონი, შეუფერავნი

არიან და ხშირად უფრო მეტის მოქმედნი. ვიდრე ს. მესხის ხელითვე დაწერილი „დროების“ მოწინავე ან რომელიმე პუბლიცისტური სტატია“.

„გარდა ამისა, ს. მესხის წერილები მკაფიოდ წარმოგვიზგენენ ნამდვილი პირველი ქართული გაზეთის „დროების“ ისტორიას, იმ გაზეთისას, რომელმაც „საშვილიშვილო საქმე“ გააკეთა, „დაამკვიდრა წარმატება და ააღორძინა ის ძლიერი ჭახაძი კაცობრიობის ისტორიას, რომელსაც საზოგადო ოების აზრს ეძახიან“ („წერილები“, გვ. 11).

ს. მესხმა საქმითაც დაუმტკიცა თანამემამულეთ სანიმუშო ერთგულება და სიყვარული ხალხისა და თავისი ქვეყნისა; მან სამშობლოს სამსხვერპლოზე შეგნებულად და უყოყმანოდ დასწევა თავისი ახალგაზრდა სიცოცხლე.

ს. მესხის დაკრძალვისას წარმოთქმულ გამოსათხოვარ სიტყვაში, სხვათა შორის, გ. წერეთელმა სთქა: „როცა შენ ამ თუთხმეტი წლის წინათ გაზეთი („დროება“) ჩაგაბარეთ, მაშინ ჩვენგანი ვინ წარმოიდგენდა, თუ შენი თურაშაული ვაშლივით წითელი ლოყები ასე მალე დასჭირებოდა“. დიახ, უდროოდ დასჭირა სერგეი მესხის სიცოცხლე სწორედ იმისათვის, რომ თავდაუზოგველად და იმავე დროს უანგაროდ ემსახურებოდა სახალხო, საზოგადოებრივ საქმეს.

როგორც ვიცით, მეფის ცენზურა მაჯლაჯუნასავით აწვა ერთადერთ ქართულ გაზეთ „დროებას“ და ახრჩობდა მას. გაზეთის რედაქტორი, ს. მესხი, იძულებული იყო უღვეველგვარი საშუალება და ხერხი ეხმარა, რომ ერთადერთ ორგანოს, რომელშიაც ქართული სიტყვა გაისმოდა, ხალხისათვის სასარგებლო, მოწინავე აზრი გამოეთქვა. „დროების“ რედაქტორი არ მალავს,

რომ იგი ზოგჯერ, უკიდურეს გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი, მტრის მოტიუებასაც მიმართავდა, და მეგობრად აჩვენებდა თავს მათ, ვინც ჭირივით სძულდა.

ერთ-ერთ წერილში თავის საცოლეს იგი სწერდა: „მე ეხლა ძალიან მეგობრათა ვარ მაქსიმოვიჩან, ორლოვსკისთან (ცენზორები იყვნენ ი. ვ.) და სხვა ტუზებთანაც, მათი ყურმოვრილი ყმა და ყველაფრის კმაყოფილი ვგონივარ. დაე, ეს აზრი პეონდესთ ჩემზე, სასაჩვებლოა.—და ეხლა რომ ცოტა რამ მიზეზი ნახონ, უმისოდაც მიზეზს ეძებენ და სულ დავილუპებით. ჩემი თავის მე ისე არ მეშინიან, როგორც გაზეთისა. ამას-წინათ რომ აქ სემინარიელების თაობაზე რაღაც გამოძიება იყო და შემდეგაც ყოველთვის, როდესაც რაიმდე გამოძიებაა, ყოველთვის პირველად იმას ჰკითხავენ ხოლმე: თქვენ „დროების“ რედაქტორთან ხომ არა კავშირი გაქვთო. ამისთანა დროში წინდახედულობით და სიფრთხილით უფრო ბევრი რამ გაკეთდება, ვიდრე თავხედობით“ („წერილები“, გვ. 172).

„ჩემი თავის მე ისე არ მეშინია, როგორც გაზეთისა“—თ წერდა ს. მესხი. ისმის კითხვა: რას აძლევდა გაზეთი „დროება“ მის რედაქტორს, რომ თავის საკუთარ თავს ერჩია იგი? დიდ ხელფასს? დიდ ჰონორარს? კომფორტაბელურ ლამაზ და ფართო კაბინეტს? გაზეთის განყოფილებათა გამგეების, თანამშრომლების, კორესპონდენტების დიდ შტატს? ან მდიდრულად, ტექნიკის უკანასკნელ მიღწევებზე გამართულ სტაბბას?—არა, არაფერი ამის მსგავსი არ გააჩნდა ლარიბ-ლატა „დროებას“ და მის რედაქტორს.

ამას ადასტურებს თვით ს. მესხის სიტყვები: „ყველაფრენ საქმეს ფული ესაჭიროება; განსაკუთრებით

ისეთ საქმეს, რომელსაც გასავალი ბლობად ექნება, მაგრამ შემოსავალი კი ცოტა... აი, მოკლეთ ჩემი ანგარიშები: წელიწადში გაზეთი ელირება 8 მანეთი. ერთი ნომრის გამოცემა კვირაში, დაახლოებით 1000 მანეთი ჯდება წელიწადში (ეხლა). როცა სამ ნომერს გამოცემ კვირაში..., მაშინ წელიწადში გამოცემა, ფოჩტის ფასი, ქაღალდი და სხვა ხარჯი 2000 ან 2200 მანეთი იქნება..., ე. ი. რედაქციას ხელისმომწერლებისაგან უკანასკნელი 1800 – 1600 მანეთი დარჩება... ვსოდეთ ორი ათასი იყოს... განა ეს საკმაო არ იქნება პირველ ხანებში? შენ ამბობ, რომ ილ. ჭავჭავაძე და აკაკი წერეთლი, რასაკვირველია, მიიღებენ გაზეთში მონაწილეობას, თუ რამე საშუალება მიეცემათო, საუბედუროთ რედაქცია ჯერ-ჯერობით ვერავის ვერ მისცემს გონირარს (შრომის ფასს), რადგან იმდენი შეძლება თუ ეძნა, რომ მისი რედაქცია (ე. ი. მე და მიქელაძე) თუ გვარჩინა, ისიც საკმაო იქნება“ („წერილები“, გვ. 99).

„დროების“ რედაქტორის უკიდურეს გაჭირვებაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ მას ხშირად გინის გათბობის საშუალებაც კი არ ჰქონდა, რომ ნორმალურად ემუშავა.

„ეს სამი ოთხი დღე ისეთი სიცივეები დადგა, — წერს ს. მესხი, — სწორეთ პეტერბურლის ყინვები მომავარნა. დავჯდები თუ არა სტოლთან ან წიგნის საწერად, ან რომელიმე სტატიისა, იმ წამსვე ხელები მომეკრუნჩება და ძალაუნებურად უნდა დავანებო წერას თავი, რადგან, ამ სიცივის გამო, თითქო ტვინიც აღარ მუშაობს. ასე რომ თუმცა ჩემს თავს პირობა მივეცი, რომ ცეცხლი აღარ დამენთო ჩემს ოთახში (რადგან ერთობ ძვირი ჯდება), მაგრამ ბოლოს ვეღარ მოვთმინე, მოვითხოვე შეშაც და ნახშირიც და ეხლა,

როგორც არის ცოტათი გაუთბი, ამიტომაც გავიძელე
სტოლთან დაჯდომა“ („წერილები“, გვ. 105). ასეთ
პირობებში მუშაობა პირდაპირ გმირობაა! მხოლოდ სა-
ხალხო, საზოგადო საქმისათვის თავგანწირულ პიროვ-
ნებას შეუძლიან ეს.

ს. მესხის, როგორც რედაქტორის, უანგარო შრომა
თოთხმეტი წლის განმავლობაში გრძელდებოდა. რამდე-
ნი შეურაცხყოფა, მატერიალური გაჭირვება, შიმშილი
და სიცივე აუტანია და გადაუტანია ს. მესხს, მთელს
საქართველოში ცნობილ და სახელმოხვეჭილ რედაქ-
ტორს, მაგრამ ყოველივე ამან და თვით „ქრონიკულმა
იმფლენციამაც“ (აკაკის სიტყვებია) ვერ გასტეხა შეგნე-
ბული მამულიშვილის ნებისყოფა. „ოქროს ვერძის“
თაყვანისმცემელი არ გახდა იგი; თუმცა ქართული კულ-
ტურის მტრებმა სცადეს მისი შეცდენა და ჩამოშორება
საზოგადო საქმიანობისაგან ერთხელ ერთმა დიდად
გავლენიანმა რუსმა მოხელემ ორლოვსკიმ ს. მესხის გა-
დაბირება დააპირა. უნდოდა კარგი, უზრუნველყოფე-
ლი სამსახურის დაპირებით, ჩამოშორებინა იგი „დრო-
უბისათვის“ ორლოვსკიმ პირდაპირ აგრძნობინა, რომ
რედაქტორობა სახეირო საქმე არ არისო.

მოვუსმინოთ თვითონ ს. მესხს: „ორლოვსკიმ გადაკვ-
რით ადგილი შემომაძლია; დაანებე თავი მაგ გაზეთს,
ისეთს რამეს მოკიდე ხელი, რომელმაც ფულები მოგ-
ცეს. მეც უთხარი, რასაკვირველია, რომ მხოლოდ მა-
ტერიალური სარგებლობისათვის ვცემ გაზეთსა. აბა
რას ვიტუოდი!“... („წერილები“, გვ. 200).

1876 წ. მარტში, ქუთაისში, ბანკის დირექტორის
არჩევნები იყო. დიდი ბრძოლა გაჩაღდა დირექტორის
კანულატურის გარშემო. ამომრჩევლები ჯგუფებად

გაიყვნენ. თითოეულ ჯგუფს თავისი კანდიდატთაშემცირდა— გაზეთმა „დროებამაც“ წამოაყენა თავისი კანდიდატი (ბ. ლოლობერიძე) და რეკომენდაცია მისცა მას. ს. მესხის სიტყვით, „ეუცხოვათ ყველას ამგვარი რეკომენდაცია და რჩევა გაზეთის მხრით, ისინიც გაოცებულნი არიან, ვინც ევროპის გაზეთების ჩვეულება იცის ამ მხრით. წარმოიდგინე, მეც კი მთხოვეს იმერლებმა ბანკის ღირებულება. კაცებიც გამომიგზავნეს; მაგრამ რასაკვირველია, უარი გაუცხადე არამცდა-არამც გაზეთს თავს არ დავანებებ-შეთქი“ („წერილები“, გვ. 214).

მისმა საყვარელმა გაზეთმა „დროებამ“, რომელსაც „არამც და არამც თავს არ ანებებდა“, ერთგული რედაქტორი ვალებში ჩააგდო. მაგრამ დავალიანდა არა მხოლოდ პირადად ს. მესხი, არამედ ვალებში ჩავარდა მისი, არც ისე შეძლებული, მრავალწევრიანი ოჯახიც. ს. მესხის მამამ სოფელი რიონის მამული „დროების“ ვალებისათვის დააგირავა ქუთაისის სააღვილ მამულობანქში. ვალის განალდებას რედაქტირა კისრულობდა. მაგრამ, როდესაც ს. მესხი გარდაიცვალა, ოჯახს ბანკის ვალი მძიმედ დააწვა კისრად. ზუსტად ვერ შექონდათ ბანკში სარგებელი. იზრდებოდა მამულის დავალიანება, ს. მესხის მამა იძულებული გახდა მიწის ორი-სამი ნაკვეთი გაეყიდა და ბანკის ვალი დაეფარა, მაგრამ ხუთასი მანეთი მაინც დარჩა გადასახდელი.

ს. მესხის ძმა—დავით მესხი ამ ფაქტის შესახებ მოგვითხრობს: „მირჩიეს, ბანკის ყრილობას განცხადება მიეცი, რომ ბანკიდან ალებული თანხა ჩვენს ოჯახს ფუქსავატურად კი არ გაუფლანგავს გასირმულ ჩოხა. ახალუხისა, ცხენ-უნაგირისა და ქეითში, როგორც იმ დროს ჩვეოდათ თავზე ხელალებულ ჩვენებულს თავად-აზნაურებს, არამედ უგი მთლიანად საზოგადო-საქვეყნო-

„საქმეს მოხმარდაო“ დ. მესხის ამ თხოვნას აკაკიძ ჰა-
უმატა თავისი შესანიშნავი სიტყვა.

„ბატონებო! იყო დრო შავგნელი, როდესაც ჩვენში
გარდა კუჭისა არავინ არაფერზე ფიქრობდა. ამისთანა
დროს ორი თუ სამი ახალგაზრდა გამოვიდა საზოგადო
სარბიელზე საერთოვნო პროგრამით; მათ რიცხვში სერ-
გი მესხიც იყო, დაამთავრა თუ არა სწავლა, ის მიადგა
ორკაპ გზას, ერთი იყო ია-ვარდით მოფენილი, საპირა-
დო, საფუნდრიუკო, მაგრამ ქვეყნისათვის კი საუკულმარ-
თო. მეორე—ეკლიანი, სახიფათო, მაგრამ საზოგადო.
იმან ეს მეორე აირჩია. დაუდვა თავი და საზოგადო-
ებას მსხვერპლად შეეწირა. დიდხანს იტანჯა, და რომ
ვეღარ იტანა, თან გადაყვა გულს. დარჩა ვალი,
ვალი საზოგადო საქმისათვის აღებული, და არა საპი-
რადოდ, რომელიც მისმა მცირე ადგილ მამულმა გადა-
იხადა გარდა ხუთასი მანეთისა, რომლის სახსარი
აღარსად იყო. ამ გვარი კაცის დავიწყება ჩვენის მხრივ
უსამართლობა და დიდი უბედურება იქნება. ვალდებუ-
ლი ვართ ეს დარჩენილი ვალი თავზე მივიღოთ და
მის საფლავზე, სადღაც სოფლად მივარდნილზე, ნიში-
დავდვათ. პირადად მისთვის ეს ყველაფერი უსარგებ-
ლოა, მაგრამ დე, იცოდეს ყველამ, რომ ქართველი,
შეძლებისდაგვარად არასოდეს არ ივიწყებს მის საზოგა-
დო გულწრფელ მოღვაწეს“.

კრება ვაშას ძახილით მიეგება აკაკის სიტყვას, ხუ-
თასი შანეთი მოხსნეს და დაადგინეს: ს. მესხის საფ-
ლავზე ნიში აეგოთ, მაგრამ ეს დადგენილება შეუსრუ-
ლებელი დარჩა. ერთ დროს უნდოდათ მისი ნეშტი გა-
დაეტანათ ქუთაისში და დაეკრძალათ იქ, სადაც ჩვენი
საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის ღვაწლდებულთათვის
პანთეონის მაგვარი ადგილია შერჩეული, არქიელის

ვორაზე ბაგრატის ტაძრის გვერდით, მაგრამ იმ მარტო კი უკავშირობის სურვილად დარჩა. რა კარგი იქნებოდა, რომ მწერალთა კავშირმა ითაოს და გამოასწოროს წინა თაობების დანაშაული და, თუ თბილისში არა, ქუთაისში მაინც გადმოიტანოს ს. მესხის ნეშტი და შესაფერისი ნიშიც დაუდგას.

დღეს კი მისი საფლავი სოფელშია მივიწყებული. შეიძლება ის უბრალო რკინის მოაჯარი და უშნო ქვაც, რომელიც აძევს საფლავს, დაიკარგოს და დათიკო მესხთან ერთად, მეც ვკითხულობ „რად ხვდა წილად ს; მესხს: ასეთი ილბალი?“ ამ კითხვას დ. მესხის სრულიად სამართლიანი სიტყვებით ვუპასუხებ: იმისათვის, რომ, „ცივია ჩვენი გული, ცივდება, როცა ცივი მიწა შეივრდომებს ჩვენი ქვეყნის მოღვაწეთ. ვივიწყებთ და ღირსეულად, თვალსაჩინოდ ბევრს ამათგანს არ ვუწყობთ რიგიანად უკანასკნელი განსვენების ადგილს, რომ შემდგომი თაობისათვის საცნაური დარჩეს ჩვენი მოეალეობა და მშრომელი აღამიანების ღვაწლის დაფასება“ (დ. მესხი. „მოგონებანი“, გვ. 34.)¹

¹ ს მესხის საფლავი დღეს სრულიად უპატრონოდ არის მიგდებული სოფ. რიონში. ამ წმინდა სამარეს ერთადერთი მომვლელი და პატრონი დავით მესხი (სერგის ძმა) კარგა ხანია გარდაიცვალა. ადგილობრივი სოფლის საბჭო კი საფლავს არავითარ ყურადღებას არ აქცევს. მანქანებმა გადაამტვრიეს უკვე დაუანგებული რკინის მოაჯირი და ეკალ-ბარდმა და სურომ დაჭთარა უშიოდ გათლილი ქვა აკაიის ლექსით, რომელიც საფლავზე იდგა. სავსებით სწორი იყო დავით მესხი, როცა გულისტკივილით აღნიშნავდა: „ცივია ჩვენი გული, ცივდება, როცა ცივი მიწა შეივრდომებს ჩვენი ქვეყნის მოღვაწეთ. ვივიწყებთ და ღირსეულად... არ ვუწყობთ უკანასკნელი განსვენების ადგილს“.

აქვე ვსარგებლობთ შემთხვევით და ერთ გარემოებაზე მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას. ტისაც გაუვლია ოპერის თეატრის წინ,

ხალხისა და სამშობლოს სამსახურისათვის ცეკვარი-
სი როდია მგზნებარე პატრიოტიზმი, უანგარობა, მომ-
ზადება და ნიჭი, — ამასთან ერთაც საჭიროა მტკიცე
ნებისყოფა, ბრძოლის უნარი, „ქირსა შიგან გამაგრე-
ბა“, როგორც დიდი პოეტი ამბობდა. ეს ოვისებები
უსათუოდ ეჭირვებოდა ძველ ქართველ მოლვაშეებს და
განსაკუთრებით კი ქართული უურნალ-გაზეობის ოე-
დაქტორებს.

საინტერესო ფაქტებს იძლევა ამ მხრივ XIX საუკუნე-ნის ქართული უურნალ-გაზეთების ისტორია. XIX სა-უკუნეში უურნალ-გაზეთების რედაქტორობას ხელს ჰკი-დებდნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ახალგაზრდო-ბაშივე გამოიჩინდნენ საზოგადო საქმისათვის სიყვა-რულით, საერთო მომზადებით, შრომის მოყვარეობით, ხასიათის სიმტკიცით, გაჭირვების ამტანობით და უან-გარობით. დიდად საინტერესოა, რომ ისეთი ყოველმხ-რივ რჩეული ადამიანი, დიდებული პოეტი და ნიჭიერი პეტრიცესტი, როგორიც აკაკი წერეთელი იყო, არასო-დეს არ ყოფილა პოლიტიკურ-საზოგადოებრივი გაზე-თის რედაქტორად. აკაკი უბადლო უურნალისტი იყო. არ ყოფილა ისეთი გაზეთი ან უურნალი, რომლის

დაიდი დაკვირვების შემდეგ ალბათ შეუტჩნდებია ბალში ბჭის ბუჩქებით ოთხეუთხედად შემორკალული ორი საფლავის მგავსი აღდგილი და უშნოდ შელესილი ორ მეტრიანი კვარცლბერი, რომელიც მთლიანად სუროს დაუფარავს. აქ განისვენებენ ქართული ხელოვნების ტიტანები ვანო სარაჯიშვილი და ზაქარია ფალიაშვილი, აქვე ურნა კ. მარჯვანიშვილის ფერფლით. ნუთუ მათ იმდენი დამსახურება არ მიუძღვით ჩვენი ქვეყნის წინაშე, რომ დაედგათ ძეგლი, მათი საბოლოო ადგილ-სამყოფელის აღმნიშვნელნი. რატომ არ უნდა იცოდეს ახალმა თაობამ და ჩვენმა მომავალმა შთამომავლობამ. თუ სად განისვენებენ ეს ხელოვნების გოლიიათები?

၁၂၈

ფურცლები არ დაემშვენებინოს მის მომხიბლავ ლექ-
სებს და ფელეტონებს. აკაკის ნიჭის, როგორც უებრო
პუბლიცისტისას ყველა გრძნობდა, მაგრამ განსაკუთ-
რებით აშკარად აღიარებდა ამ ფაქტს ს. მესხი. „თამა-
მად შემიძლია ვსთქვა,—წერდა იგი,—რომ ყველა ეხლან-
დელ ჩვენ მწერლებში აკაკი ყველაზე უფრო ნიჭიერია და
ყველაზე უფრო გამოსადეგია განეთისათვის. იმისთანა
ცოცხალი კალამი, მარჯვე, მკვირცხლი სიტყვა, ირონია
და ადვილი წერის ნიჭი, არც ერთ ჩვენ მწერალს არა
აქვს. ამიტომ ძვირფასად მიმაჩნია ის განეთისათვის
და საზოგადოდ ჩვენი ახლანდელი ლიტერატურისა-
თვის“ („წერილები“, გვ. 189).

ასე დაახასიათა ს. მესხმა აკ. წერეთელი, მაგრამ აქვე გულისტკივილით აღნიშნა ზოგიერთი უარყოფითი
მხარეც, რაც დიდებულ პოეტს გააჩნდა. ამის შესახებ
სერგეი სწერდა ეკ. მელიქიშვილს: „რა რომ აკაკი აქ
არის და განეთისათვის შრომობს, ეს მგონი მეხუთეთ
არის, რომ რაღაც უბრალო მიზეზს მონახავს და გა-
მომიცხადებს, რომ ყველაფერს თავი უნდა დავანებო-
ვო, განეთშიაც არავითარ მონაწილეობას აღარ მივი-
ღებო და საზოგადოდ ყველა საზოგადო საქმეებს და
ლიტერატურასაც ვეთხოვებით. შენ ვერ წარმოიდგენ
რამდენ წვალებად მიღირს მე აჩის თანამშრომლობა!
ისე უნდა ვეფერო, ისე უნდა მოვეპყრო, როგორც ძუ-
ძუმწოვაზა ბავშვს, რომელსაც უფრთხილდები ანჩხლო-
ბა არ დაიწყოს. გუშინ წინ გამომიცხადა, რომ მშვი-
ლობით, გეთხოვებით: შენ ძალიან მიყვარხარ, რაც უნ-
და მთხოვო, აგისრულებო, შენს მეტი მეგობარი არ
შემხვედრია ჩემს სიცოცხლეში, მაგრამ განეთში თანამ-
შრომლობას და საზოგადოდ ლიტერატურულ შრომას
მაინც თავს ვანებებო და ამას ნუ მთხოვო. ძალიან გა-

ჭირვებულ მდგომარეობაშია, ახლა აკაკი და ამიტომ არის ძალზე გაანჩხელებული და რატგანაც იცის, რომ მე იმის შრომას განხეთში ძალიან ვაფასებ, ამის გამო ამ მხრით უნდა მაგრძნობინოს განხე განდგომა. ძალიან იმედი მაქვს, რომ თუ როგორმე ან მე უშოვნე ცოტა ფული ან თვითონ იშოვნა საღმე, ისევ თავის ძველებურ გუნებაზე დადგება“ („წერილები“, გვ. 189).

თავისთვად ცხადია, რომ აკაკისთანა ხასიათის და ტემპერამენტის ადამიანი XIX საუკუნის ეკონომიურ-პოლიტიკური ცხოვრების პირობებში ყოველდღიური გაზეთის რედაქტორობას ვერ შეძლებდა.

რაც არ გააჩნდა აკაკის რედაქტორის მძიმე და პასუხ-საგები მოვალეობის შესასრულებლად ის უხვად, ჭარბად მოეპოვებოდა ს. მესხს; ეს იყო მისი, როგორც რედაქტორის, ხასიათის ფოლადისებური სიმტკიცე.

ს. მესხი, როგორც რედაქტორი, სამართლიანდ ჩივის, რომ ერთი ნაწილი ახალგაზრდა ქართველი მწერლებისა სიტყვის პატრონები არ არიან, არ ერიდებიან მოტყუებასაც კი: „ეს ხალხი სრულებით უურნალისტიკისათვის არ არიან შექმნილი—გულის ტკივილით შენიშნავს იგი—დაწყნარებული, მშვიდი, შეუშფოთებელი შრომა ეჭირვებათ ამათ! ჩვენს დროში კი ასეთი შრომა თითქმის შეუძლებელია“ („წერილები“, გვ. 207). მისი ღრმა რწმენით ყოველ საქმეში, და განსაკუთრებით კი საგაზეთო საქმეში, მტკიცე ნებისყოფაა საჭირო და რაც გინდა დიდი უბედურება დაემართოს კაცს, სასო, იმედი, მაინც არ უნდა დაკარგოს, დასახულ მიზანს არ უნდა უღალატოს, თავის მოწოდებას უნდა ემსახუროს.

„ვისაც ბედნიერება სურს—წერდა იგი—იმან მწუხა-რების მოთმენაც უნდა იცოდეს. ეს ოხერი ქვეყანა იმ-

ნაირად არის გამართული, რომ მუდმივი, განუწყვეტელი ბეღნიერება და ნეტარება თითქმის არავის ლირსებია” („წერილები“, გვ. 122).

ს. მესხმა ჯერ ისევ პარიზში ყოფნის დროს გადასწყვიტა „დროების“ კვირაში სამჯერ გამოცემა. ეს აზრი მან ამხანაგებს და გაზეთის თანამგრძნობთ გაუზიარა. მოუწონეს და ერთმა მათგანმა (მღიდარმა ზარაფოვმა) დახმარებაც აღუჭვა. გამხნევებული და გამარჯვებაში დარწმუნებული სერგეი ამის გამო სწერდა ეკ. მელიქიშვილს:

„რაც შეეხება მატერიალურ მხარეს, ძალიან იმედი მაქვს ერთის მხრით ხელისმომწერლების რიცხვის მომატებისა და მეორეს მხრით განცხადებებისა. ვუშინ ზარაფოვს დეპეშა მივწერე პეტერბურგში და ვთხოვე გადაწყვეტით მომწეროს. რამდენი უნდა მაძლიოს თვეში, ან უკეთ ვთქვათ, რედაქციას... ჯერ პასუხი არ მომსვლია. მაგრამ როგორც უნდა მომწეროს, ამ საქმეში სულ ერთია უკან დაწევა მაინც აღარ შეიძლება. სულაც რომ აღარ მაძლიოს ზარაფოვმა არაფერი შემწეობა, მაინც სამჯერ უნდა გამოვცე გაზეთი“... („წერილები“, გვ. 163).

სერგეი მესხმა დაპირება პირნათლად შეასრულა. ს. მესხის მართებული გაგებით, ყოველ გაზეთს და მის ოედაქტორს ერთი მტკიცე მიმართულება და გარკვეული პროგრამა უნდა ჰქონდეს. რედაქტორიც ვალდებულია მტკიცედ იცავდეს მას, მაგრამ „რედაქცია თავის აზრსა და მიმართულებას ყველას ძალდატანებით ვერ მიაჩეჩებს, ვერ მოითხოვს, რომ ყველამ იმ გზაზე იაროს. თანახმა ვარ, რომ ჩვენში მაგალითად, სადაც თითქმის ერთად ერთი გაზეთია აზრების გამოსათქმელად, რედაქცია თითქმის ვალდებულიც არის, რომ თა-

ვისი აზრების წინააღმდეგი სტატია დაბეჭდოს, რომ
მით მკითხველებს სხვა და სხვა მხარეები უჩვენოს რომ-
ლისამე საგნისა და რა აზრიც უნდა ის მიღოს.
აზრების შეტაკებაში, ბრძოლაში აღმოჩნდებოდა კეშ-
მარიტება, მაგრამ საქმე ეს არის, რომ ეს შრომა,
ეს გამორჩევა საუკეთესო და უფრო კეშმარიტი აზრე-
ბისა შეეძლოს“ („შერილები“, გვ. 191).

ეს სტრიქონები 70-იან წლებში იწერებოდა, რო-
დესაც ფართო მკითხველი საზოგადოება ჯერ კიდევ არ
იყო დაუფლებული გაზეთის კითხვას. მას ჯერ კიდევ
არ შეეძლო თავისუფლად „გამორჩევა საუკეთესო და
უფრო კეშმარიტი აზრებისა“. ს. მესხი გრძნობდა, რომ
ფართო მკითხველ საზოგადოებას „მხამხარეული, გარკ-
ვეული გონიერი საზრდო“ ესაჭიროებოდა და ამიტომ
გაზეობი გარკვეული გზით მიჰყავდა. ამის შესახებ იგი
დაუფარავად აცხადებდა: „რაც უფრო ნაკლები იქნება
სხვა და სხვა აზრები გაზეთში ერთსა და იმავე საგანზე,
ჩვენი მკითხველისათვის ის სჯობია, უფრო ადვილად
შეითვისებს ერთს შეხედულებას, ბევრში ერთს საუკე-
თესოს ვერ ამოარჩევს. აი, ამით ვხელმძღვანელობ მე,
რომ გაზეთში დესპოტურად ვიქცევი, ერთს გზას ვად-
გივარ, ერთსა და იმავე აზრს ხშირად ვიმეორებ და
ამითი, იმედი მაქვს, პროპაგანდის საქმე უკეთ მიღის,
ვიდრე გაზეთის აქრელებით და სხვა და სხვა გვარი და
მიმართულების სტატიების ბეჭდვითა“ („შერილები“,
გვ. 191).

ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა ს. მესხი, რო-
გორც რედაქტორი და უურნალისტი. იგი სისტემატურ
პროპაგანდას ეწეოდა „დროების“ საშუალებით და ავ-
რცელებდა სალ, პროგრესულ აზრს მკითხველ საზოგა-
დოებაში.

მიუხედავად უმძიმესი სამუშაო პირობებისა, სერგეი მოქანცულობა და დალლილობა არასოდეს დასტყობია. იგი მხად იყო ყოველი ნომრისათვის ვრცელი, სერიოზული მოწინავე სტატია დაწერა, უფრო მეტიც, შეეძლო მთელი ნომერი გაზეთისა მარტოხელას შეედგინა და ამას ხშირად ჩადიოდა თავდადებული რედაქტორი.

ცენზურისაგან შევიწროებული ს. მესხი არა ერთხელ აცხადებდა გულისტკივილით: „ცენზურამ ისევ ძალიან მოგვიჭირა ხელი. ისეთს სტატიებს აფუჭებს, ისეთს რამებს შლის, რომ ნახო, ღმერთმანი, გული მოგიკვდება და ვერ გაიგებ—თუ რა უნდა იყოს ამაში ან სახელმწიფოსა და ან სხვა რისამე საწინააღმდეგო“ („წერილები“, გვ. 181).

ს. მესხი გაზეთის რედაქტორობას დიდ საზოგადოებრივ საქმედ და საპასუხისმგებლო მოღვაწეობად თვლიდა.

მას სწამდა, რომ კარგად დაყენებულ გაზეთს დიდი შემეცნებითი და ოღმზრდელობითი მნიშვნელობა იქვს. იგი მყითხველს აფხიზლებს, ოცოცხლებს და პროგრაფსულ აზრს უნერგავს. ეს კი მეტად საჭირო იყო იმ პერიოდის ქართველი საზოგადოებისათვის.

ს. მესხის რწმენით, გაზეთში უმთავრესი ყურადღება საქართველოს შინაურ საქმეს უნდა მიექცეს. გაზეთში და მისმა რედაქტორმა ყველა შესანიშნავ შინაურ მოვლენებზე თავის დროშე უნდა გაამახვილოს ყურადღება და დროულად უნდა გასცეს პასუხი.

როგორც მოწინავე, ისე სხვა ყოველგვარი სტატია და აგრეთვე ფელეტონიც უთუოდ ადვილად გასაგები; ცოცხალი და კარგი ქართული ენით უნდა იყოს დაწერილი. გაზეთში ხშირად უნდა დაიბეჭდოს „გამოჩენი-

ლი ადამიანების ცხოვრების აღწერა-ბიოგრაფია”, — გან-
საკუთრებით ისეთი პირებისა, რომელთაც თავის ქვეყნის
თავისუფლებისათვის უცხოვრიათ და თავიც შეუწირავთ
(მაგ., გარიბალდის, ვიქტორ პიუგოსი, მაძინის და
სხვ.).

ამ თვალსაზრისით საქართველოს ისტორია უხვ მა-
სალას იძლეოდა. მაგრამ მხოლოდ ეკროპელი და ქარ-
თველი გამოჩენილი ადამიანების ცხოვრების აღწერა არ
იქნებოდა საკმარისი. ს. მესხი საჭიროდ თვლიდა, რო-
გორც ორიგინალური, ასევე ნათარგმნი ბელეტრისტული
ნაწარმოებების პუბლიკაციას. ამ საქმეში მას ყველაზე
მეტი იმედი იღ. ჭავჭავაძისა და აკ. წერეთლისა ჰქონდა
და ბედნიერად სთვლიდა თავს, თუ თითოეული მათგა-
ნი წელიწადში ერთ მოთხოვნას ან რომანს მიაწო-
დებდა.

ს. მესხი ცდილობდა, რომ „დროების“ საკუთარი კო-
რესპონდენტები ჰყოლოდა პარიზში, გერმანიაში, ამე-
რიკაში, შვეიცარიაში. გაიჩინა კიდეც ერთი ნაწილი
საიმედო კორესპონდენტებისა, ესენი იყვნენ: იზმაილო-
ვი, ბეთანიშვილი, ივანე მესხი, ბესარიონ ლოლობერიძე,
პეტრე მელიქიშვილი და სხვ.

პარიზში მყოფი სერ. მესხი წერს წერილებს, აგრო-
ვებს მასალებს, ყველაფერი ეს მას „დროებისათვის“
ჭირდება. დაწერა პატარა, ლამაზი „წინასიტყვაობა“
„დიდი კაცების“ ბიოგრაფიისათვის“, დაამზადა „გაშინ-
გრონის ცხოვრება“, შეკრიბა მასალები ვარიბალდის
ცხოვრებისათვის. განხრახული ჰქონდა დაწერა სა-
მოცდათოთხმეტი „დიდი კაცის“ ბიოგრაფია. საამი-
სოდ მასალები თითქმის მზად ჰქონდა.

„ვეცდები, — წერს მესხი ჭეკეს, — რომ წასვლამდი
მომეტებული ნაწილი ამ შრომისა შევასრულო, ოორებ-

თბილისში მასალები არ მექნება ამათ დაშატულებდ და არც დრო“ („წერილები“, გვ. 100).

ს. მესხეს, როგორც რედაქტორს, კარგად ესმოდა, რომ გაზეთის „უსასყიდლო თანამშრომლები“ მასალების რეგულიარულად მოწოდებით თავს არ შეიიწუხებდნენ, თავის თავს მოვალედ არ ჩათვლიდნენ სისტემატურად ეთანამშრომლათ „დროებაში“ და მასალას მხოლოდ მაშინ მიიტანდნენ, „როცა მოეპრიანებოდათ“. ამიტომ შეუძლებელი იყო მხოლოდ მათზე დაყრდნობა. დასახულ გეგმებს, მკითხველებისათვის მიცემულ პირობას შესრულება უნდოდა და ს. მესხიც თავს არ იხოვდა, აუტანელ შრომას ეწეოდა, მთელ სარედაქციო სამუშაოს ძირითადად თვითონ კისრულობდა.

ისეთი მტკიცე ნებისყოფით აღჭურვილი შრომის-მოყვარე და მომზადებული რედაქტორის ხელში, როგორც — ს. მესხი იყო, გაზეთი „დროება“, მიუხედავად დიდი მატერიალურ გაჭირვებისა და ცენზურის სისასტიკისა, საერთო მოწონებას იმსახურებდა და დიდ კულტურულ ძალას წარმოადგენდა.

„როგორც მწყურვალს წყალი, ისე მომინდება ხანდისხან... გაზეთის ხელში ჩაგდება, მოწინავე სტატიების წერა, საზოგადოებაში ლაპარაკის აღძვრა, გაზეთის გაფრცელება და სხვა“, — წერდა უცხოეთში მყოფი ს. მესხი.

და სწორედ ამაში იყო საიდუმლოება ს. მესხის, როგორც რედაქტორის ძლიერებისა.

რედაქტორის სიყვარულმა აღღევრძელა „დროება“, „დროებამ“ — კი უკვდავყო მისი „აშიკი“ რედაქტორი!

ს. მესხის აზრით, გაზეთს, ან თუ გინდ უურნალსაც, სრულებით არ ევალება მეცნიერული საკითხების სა-

ფუძვლიანად, ამომწურავად გამოკვლევა; სამეცნიერო ტრაქტატების მოთავსება. იგი ეთანხმება კირ. ლორთ-ქიფანიძის აზრს და წერს: „განა გაზეთს ან უურნალს შეუძლია რომელიმე საგანზე საფუძვლიანად, როგორც რიგია, ისე ღრმად მოილაპარაკოს? თავის დღეში! ეს არც მისი მოვალეობაა. იმისი მოვალეობა, განსაკუთ-რებით ჩვენში, ის არის, რომ აღძრას რომელიმე საგ-ნის ინტერესი, თანაგრძნობა, კითხვის სურვილი და არა ის, რომ მაინც და მაინც ძირიანათ გამოიკვლიოს რომელიმე კითხვა („წერილები“, გვ. 26).

ს. მესხის პარიზში ყოფნის დროს „დროებას“ კ. ლორთქიფანიძე და ნ. ნიკოლაძე ხელმძღვანელობდნენ. მესხი გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს თავის საყვარელ გაზეთს და ღელავდა, წუხდა, თუ რაიმე ნაკლს შეამჩნევდა მას. „თუ შენ გულს გიხეოქს „დროების“ დანახვა, — წერს იგი კეკეს, — ჩემზე როგორი მოქმედება უნდა ჰქონდეს, რომ ვხედავ, გაზეთი, რომლის გასაცოცხლებლად და ფეხზე დასაყენებლად სამი წელიწადი ვშრომობდი, რომ ეს გაზეთი თანდათან ფუჭდება, სუსტდება, ფერი ეკარგება, ძალა აკლდება... მე ეს მაწუხებს, გულს მიკლავს“ („წერილები“, გვ. 147).

გასაგებიც არის, რომ ს. მესხს ასე აფიქრობს, ასე გულს უკლავს „დროების“ ბედი და ილბალი. „დროება“ ხომ მისი ღვიძლი შვილია, მისი გაზრდილია, მისი ნააშაგარი.

საზოგადო საქმისათვის თავგანშირული, თავისი საყვარელი გაზეთის ღირსებისა და სახელის დასაცავად ს. მესხი არ ერიდება მეგობარ-ამხანგების გაყრიტიკებას: „გ. წერეთლის ფელეტონის პირველი ნაწილი სწორად რომ უბრალო და უაზრო ყბედობაა... მაინც და მაინც არც მეორე ნაწილია ერთობ აზროვანი

და კარგი... „დროების“ თაობაზე ნიკოლაძეს და კირი-
ლეს დიდი საყვედური და ანშეფური წყრომა მიღწეო.
სწორედ რომ უშნო ნომრებია; განსაკუთრებით ეს
უკანასკნელი პოლიტიკური ფელეტონი ნიკოლაძისა რა-
სა პგავს, შენი კირიმე! ვისთვის, რისთვის და რა აზრით
არის დაწერილი? მაგისთანა ფელეტონების წერა
სრულებით სკანდელის (ე. ი. ნიკოლაძის ი. ვ.) საქმე
ამ არის და ძალიან კარგს იზამდა, რომ მახვილობას
და ოხუნჯობას თავს დაანებებდეს („შერილები“,
გვ. 53—54).

„Последний номер „Дрееба“ все так же слаб, как и
предыдущие номера. Это систематическое отсутствие пе-
редовых статей в газете меня положительно коробит;
я так привыкся видеть в каждом номере газеты пе-
реводную статью, что без нее газета мне кажется не-
полнотой. Корреспонденция Николадзе из Кутаиси слии-
ком водяниста, размазана на целые почти четыре ко-
лонны, то, что отлично можно было сказать на одной
колонне.

Действительно, и фельетон Акакия слаб и не так
остроумен, как обыкновенно бывают его фельетоны.
Но зато он убийственен для И. Гогоберидзе, и по-
тому я ему прощаю бесцветность“ („შერილები“,
გვ. 60).

„დროება“, მართალია, სულ ისევ სუსტად მიღის,
მაგრამ ახლა მიქელაძე მივა იქ და, იმედია, გააცოცე-
ლებს გაზეთს და თავს დაანებებს ამ ქუთაისის ბანკზე
დაუბოლოვებელ სტატიების ბეჭდვას... მიქელაძე, რო-
გორც ეტუმდა, კარგი, ცოცხალი უურნალისტი დაფე-
ნა („შერილები“, გვ. 71).

ასე ერთგულად ძიძაობდა თავის საყვარელ გაზეთს ს. მესხი. მისი არსებობისათვის, დღეგრძელობისათვის თავის ჯან-ლონებს არ ზოგავდა, დასვენება და თავის მოვლა არ ახსოვდა. „მე, რასაკვირველია, — წერს, იგი, — ბარე ორ ზაფხულს ვერ მოვიცვლი ქალაქიდან ფეხს, ძალაუნებურად მიკრული ვარ აქ ჩემ გაზეთთან“.

ასეთმა დაუცხრომელმა ზრუნვამ ის ნაყოფი გამოიღო, რომ ს. მესხი „დროების“ არსებობის ათი წლის თავის აღნიშვნას აპირებდა თავის ამხანაგებთან ერთად და, გაზეთის წარმატებით გამხნევებული. ოლტაცებით ამბობდა: „ჩემი გაზეთი პატარაა, მაგრამ კოხტა. ხელ-მომწერლები ახლა 200-ია (დეკემბერში, 1874 წ. ი. ვ.) ამდროს ამდენი არასოდეს არ ყოფილა. ჩვენში ყოველ-თვის იანვარში, თებერვალში და თოქმის მარტში იციან ხელის მოწერა. იმედი მაქვს 600-მდე მაინც მე-ყოლება“ („წერ“, გვ. 173).

როგორც ცნობილია, „დროების“ რედაქტორის ასეთი ოპტიმიზმი ხშირად იმედის გაცრუებას შეუცვლია. და ის იძულებული გამხდარა ახლობელი პირისათვის თავისი დაოდი გაეზიარებინა.

„ჩვენი საქმეები, — წერს — ს. მესხი, — ისევ ძველებურად მიდის: იგივე ცენზურა, იგივე განმარტოებული შრომა, იგივე უფულობა და მოუსვენარი შრომა. ახლა მაინც თანდათან ჭირს საქმე და, თუ სადმე ერთი ათასი მანეთი არ ვიშოვნე, ცუდი იქნება ჩემი და გაზეთის საქმე. არა უშავს რა: ღმერთი მოწყალეა. რამდენჯერ ვყოფილვარ ასეთ მიწურულ მდგომარეობაში, მაგრამ ბედს ყოველთვის გავხსენებივარ ბოლოს და გამოუხსნივარ გაჭირვებისაგან. ახლაც ამ ბედის იმედი მაქვს და დარწმუნებული ვარ, რომ არ მიმტყუნებს.

ერთადერთი ცოტათი ხეირიანი გაზეთი გადგანია (კვებნათ არ ჩამომართდებ, ამას იმედია) და იმას რომ რამე დაემართოს, რაღა გვეშვილება! ფიქრი არ არის“... („წერ“, გვ. 194).

როდესაც ილ. ჭავჭავაძემ თხოვნა შეიტანა ახალი ქართული გაზეთის („ივერია“) დაარსების შესახებ. ამ ფაქტს ს. მესხი, როგორც ნამდვილი მამულიშვილი, სიამოვნებით მიეგება. მისი აზრით, „ახალი გაზეთის გამოცემა პირდაპირ სარგებლობას მოუტანს „დროებას“ და თვით საზოგადოებას, რადგან მაშინ ორი გაზეთი იქნება, რომელიც ერთმანეთზე უკეთესობას ეცდებიან, რომ კარგად წაიყვანონ თავიანთი საქმე და საზოგადოებას მოაწონონ, შეაყვარონ თავი“.

კონკურენციის ს. მესხს არ ეშინია. მიუხედავად იმისა, რომ ის „მულამ მუშა მარტო არის“, დამხმარე არავინ ჰყავს, მაგრამ მას თავის ძალლონის, ენერგიის იმედი იქვეს და მხნედ ამბობს: სულ რომ მარტო დავრჩე, თავსლაფი დამესხმება (კვებნით არ ვამბობ), თუ მე მარტო არ აუვიდე ამ ლიტერატურულ და უურნალისტურ ძალას. რაც ძალა და ღონე მექნება, ვეცდები, რომ „დროება“ კარგად წაიყვანო („წერილები“, გვ. 222, 223).

რა ამხნევებდა, რა აძლევდა ასეთ უშრეტ ძალას ს. მესხს? — იმის შეგნება, რომ ის, როგორც კალმოსანი, როგორც მწერალი და ერთადერთი ქართული გაზეთის რედაქტორ-ხელმძღვანელი ვალდებული იყო სახალხო, საზოგადო საქმეს მომსახურებოდა და ამ საქმისათვის, თუ გარემოება მოსთხოვდა, თავიც გაეწირა.

ს. მესხის ღრმა რწმენით, ყველა შეგნებულმა ქართველმა, ქალი იქნება იგი თუ კაცი, ცხოვრების მიზნად.

სამშობლოს სამსახური უნდა დაისახოს. „ეხლანდელი დროის ქართველებს დიდი მოვალეობა გვაწევს, —წერს ს. მესხი, —ხალხი კრიზისულ მდგომარეობაშია ყოველ მხრივ. ერთი უმთავრესი საგანი, საუნჯე ჩვენი ხალხისა —ენა, ისეთ, დევნაშია, რომ დღეს თუ ხვალ შეიძლება სრულიად მოსპონ, თუ ვინმე დამცველი და პატრონი არ ყოფლა. განა მარტო ენა? აიღე სხვა ყველაფერი, რაც კი რომელსამე ხალხს ხალხათ ხდის! აიღე მაგალითად, ხასიათი, ჩვეულება, მიწა-წყალი და საზოგადოდ ჩვენი ზნეობითი და მატერიალური მხარები. ყველაფერს გარეშე და შინაური მტრები ემუქრებიან, ყველაფერს დარაჯი და დამცველი სჭირია. ასე რომ ჩვენი დანიშნულება, შედარებით რომ ვსოდეთ, სწორედ დარაჯის ან ყარაულის დანიშნულებასა ჰგავს: როგორც ყარაულმა უნდა დაიცვას რომელიმე სახლის ვსოდეთ ადამიანის სიმრთელე, ისე ჩვენ ვალდებული ვართ, რაც ლონე გვექნება და მოხერხება ნებას მოგვცემს დავცვათ ჩვენი საწყალი საქართველო. „ჩვენ“ რომ ვამბობთ ...მე ვამბობ ჩვენი მომხრის კაცებზე ყველა ახალგაზრდობაზე და საზოგადოდ იმ პირებზე, რომელთაც თავისი დანიშნულება ესმის და რომელთა რაზმი ჩვენც უნდა ჩავდგეთ. ამ რაზმში დგომა... ხშირად ფეხს წაამტვრევინებს კაცს, ხშირად თავის ბედს აწყევლინებს და ხან ულუქმაპუროდ დააგდებს. ერთი სიტყვით, ეს რაზმი სწორს გატკეპნილ გზაზე ვერ ივლის და ბევრ ხორცეულ სიამოვნებას ვერ ნახავს დედამიწაზე, მაგრამ მის ნაცვლად იმათ აკმაყოფილებს ის უმაღლესი აზრი, რომ ისინი ასრულებენ კაცური კაცის მოვალეობას, რომ ისინი მუქთად არ გაუზრდია თავის საყვარელ და მანუგაშებელს — მამულს და ამაზე მომეტებული ნეტარება კაცისათვის კიდევლა

იქნება, რომ ის გრძნობდეს, რომ სასარგებლო არის ქვეყნისათვის? ეს უნდა იყოს ყოველ კაცის იდეალი და ცხოვრების დანიშნულება და ვინც ამ იდეალის მიღწევას და ამ დანიშნულების შესრულებას არ ცდილობს, ის კაცი კი არა, ორთვეხი ცხოველია და დედაშიწის ტყუილი-უბრალოდ დამამძიმებელი“ („წერილები“, გვ. 2-3).

ასეთი მაღალი პატრიოტული გრძნობით გამსჭვალული ადამიანი კარგად გრძნობდა, თუ „დროების“ სახით რა უებარი იარაღი ეპურა ხელთ და რა ძალას წარმოადგენდა ეს იარაღი მტრებისაგან დაჩაგრული სამშობლოს თავისუფლებისა და საზოგადოების კეთილდღეობისათვის ბრძოლაში.

მიუხედავად იმისა, რომ გაზეთის გამოცემას დიდი წვალება და დავიდარობა ესაჭიროებოდა, მიუხედავად იმისა, რომ „დროებას“, გარდა ს. მესხისა, ყურისმგდებელი არავინა ჰყავდა, მაინც გაზეთის ნომრები ცუდად და აჩქარებით არ იყო შედგენილი. პირიქით, მკითხველები მადლობელნი იყვნენ „დროებისა“ და თანაგრძნობისა და თაყვანისცემის წიგნებს სწერდნენ რედაქტორს. „თუ ასე წავიდა საქმეო,— წერდა ს. მესხი,— ღმერთმანი, გავამაყდები და მართლაც დავიწყებთიქოს, რომ უურნალისტი ვყოფილვარ. ყველა თავის გულის დარდს, თავის აზრს ვისჩედმე და რაზედმე „დროებაში“ იწერებიან. ზოგიერთები საჩივრებს აგზავნიან თუ სასამართლოზე და თუ ადმინისტრაციაზე— თითქო „დროება“ უმაღლესი ინსტანცია იყოს“ („წერ“, გვ. 183).

გაზეთის ამგვარი წარმატებით ფრთებშესხმული რედაქტორი მხნეობს, უფრო მეტის გაკეთება სურს, ებრძვის საკუთარ ჯან-ლონეს, მაგრამ ამ ბრძოლაში უწყა-

ლოდ იცვითება მისი ენერგია, იგრძნობა მოღლილობა.

„არ იფიქრო ჩემო კეცე, — სწერს ს. მესხი, — რომ მე მუშაობამ დამღალოს, სულაც არა. ჯერ ლვთის მაღლით, იმდენი ძალა ზაფხულშიაც შემრჩენია და ზამთარშიაც, რომ ამგვარმა შეყვარებულმა მუშაობამ ვერ დამღალოს ან თავი მომაბეჭროს. სხეულია მხოლოდ დაღლილი, ისიც მხოლოდ ნასადილეობით. მაგიერად სული მხნეობს და მარჯვედ არის“ („წერ“, გვ. 184).

ასე ასალკლდევებს ადამიანს საყვარელი სამუშაო. ს. მესხი შრომის ენტუზიასტია, იგი არავითარ გაჭირვებას არ უშინდება. მას ყველაფერი მხნედ გადააქვს. შავ ფიქრებს, მელანქოლიას ახლოს არ იკარებს.

ს. მესხი შეუდრეველი ოპტიმისტია.

არსებითად მთელი თოთხმეტი წლის განმავლობაში „დროების“ რედაქტორი დიდ ეკონომიურ გაჭირვებას განიცდიდა. საფრანგეთში ყოფნის დროსაც კი ის ხშირად იძულებულია საათი დააგიროს. „ჩემი საათი დაგირავებას მიჩვეულია“, ხუმრობით ამბობს იგი. სახლის პატრონი; რომელიც საუბედუროდ „კარზე მიაღვა“, ამხანაგისაგან ნასესხები ფულით (50 ტრანკით) დროებით უნდა დააშოშმინოს, იძულებულია იმასაც შეურიგდეს, რომ თავისი სატრიუქო კეპესაგან (სტუდენტისაგან) დახმარება მიიღოს. „საიდლამაც ღმერთმა მომხედა და დღეს 100 ფრანკი გამიჩინა, — სწერს იგი კეკეს, — მგონი შენი გამოგზავნილია. კონვერტზე შენი ხელი ვიცანი. ძალიან მადლობელი ვარ, ჩემო კარგო, სწორედ სულზე მომასწარი“ („წერ“, გვ. 98) უფულობის გამო „დროების“ რედაქტორი ნისიად საღილობს უცხოეთში. „ნისიაობაც კარგი საქონელია ეხლანდელ დროშიო“, ოხუნჯობს. იგი.

უფულო, ჩახევრად მშიერი სერგეი, უკანასკნელ გრო-
შებს წიგნში აძლევს! ლუი ბლანის საფრანგეთის რევო-
ლუციის ისტორიას ყიდულობს, ფულის მიღების იმედი
ამ ჯერად კი არსაიდან არა აქვს.

ერთი წლის შემდეგ უფულო, უსახსრო „დროების“
რედაქტორი სამშობლოში ბრუნდება, პარიზიდან პე-
ტერბურგში მას 15 კაპიკი ჩამოჰყა, ისიც რაღაც პო-
ლონერი გროშები, რომელსაც არავინ არ იღებს.

ს. მესხს იმედი პეტერბურგში მყოფ
ქართველ ახალგაზრდობას ცოტაოდენ ფულს დაესეს-
ხებოდა. მაგრამ ამხანაგები კავკასიაში წასულიყვნენ.
ამ გარემოებამ მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა
იგი: „რკინის გზაზე შევხვდი გუშინ ცაგარელს, რომე-
ლიც ბერლინიდან მოვიდა და ახლა იმის იმედი მაქვს
დამისხნას როგორმე ამ საძაგელ მდგომარეობიდან, რო-
მელშიაც ამდენ უხეირო გარემოებებმა ჩამაგდეს აქ.
უნდა ვთხოვო, იქნებ როგორმე ასი მანეთი მიშოვნოს,
რომ შინ დავბრუნდე რაც შეიძლება მალე. თუ იმისა-
გან არა გამოღნარა, მაშინ მეორე იმედი მაქვს. ვ. მა-
ჩაბელია აქ ერთი და ის უნდა დავაფაცურო როგორმე.
თუ არც იმისაგან გამოვიდა რამე, მაშინ ჩუბინოვს მივ-
მართავ, მეტი გზა არ არის. ერთი სიტყვით როგორც
იქნება ამ სამ დღეში უთუოდ ვიშოვნი ფულს და პირ-
დაპირ შინისაკენ გავსწევ“ („წერ“, გვ. 153).

ნასესხები ფულით დაბრუნდა ს. მესხი თბილისში
და კვლავ ჩვეული ენერგიით შეუდგა საგაზეოო მუშა-
ობას, მაგრამ უფულობა და ვალები განუშორებლად
თან სდევდნენ მას.

პონორარის გაცემაზე ლაპარაკი ხომ წარმოუდგენე-
ლი იყო. დ. მესხი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „დრო-
ების“ რედაქცია ლარიბი იყო. თანამშრომლებს ხელფა-

სი არ ეძღვოდათ. სტრიქონებით პონორარის გაღება სულ უცხო ხილი იყო. იშვიათად აკაკი თუ მიიღებდა მცირე რასმე“ („მოგონებანი“, გვ. 85).

და ეს მცირე გასამრჯელო ზოგჯერ ერთ მანეთს თუ უდრიდა. ამ მხრივ უდავოდ საინტერესოა ერთი ეპიზოდი დ. მესხის მოგონებებიდან. ეს ეპიზოდი მშვენივრად ახასიათებს იმ ეპოქასა და გაზეთ „ლროების“ მატერიალურ მდგომარეობას.

აკაკის წვევა დღესასწაული იყო ჩვენთვის,—იგონებს დ. მესხი,—თუ რასმე დამზადებულს მოგვიტანდა, თუ არა და დავვეღრიჯებოდით, დავსვამდით რედაქტორის ოთახში და მალე ან ლექსი იყო მზად, ან სხვა რამ სხარტული მასალა, რაც გაზეთის ნომერს შეს აძლევდა.

ჩვეულებრივ მოგვინახულა მგოსანმა. შემოვიდა ლიმილით, ჩვენც გავმხიარულდით, ვიცოდით რომ ასეთ გუნებაზე როცაა, უთუოდ აქვს რამე ძვირფასი ძლვნად. დაჯდა, იგივე ღიმილი, მხიარული სახე.

— ჰო, კარგი ახლა, რაღას გვაწვალებ, მოიტა! — და ხელი გავუშვირე.

— ჯიბეს გაიკარ ხელია! — უხუმრა ხონელმა.

— არა, შვილო, იმ ჯიბეს ერთხელ თქვენც გაიკარით ხელი! — გვეუბნება, — ეტლი მიცდის, გაისტუმრეთ და... ლექსიც იქნება!

— ამ ერთი მანეთის მეტი არაა რედაქციაში, შე მოგვიცავ, აკაკი!

— და მანეთიანი გავუწოდე.

— დაჯერდება... მეც უნდა დაგვერდე, მეტი რა გზაა?! და ამოილო, წაგვიკითხა „არაბი ფაშა“, საუცხოო ლექსი აჯანყებული აბაშელების სარდალზე და-

წერილი. აღტაცებით მოვისმინეთ. პეტრე უმიკაშვილმა თქვა:

— ყმაწვილებო, ქართული ცწერლობის მომავალმა მემატიანემ, დე, გულის ტკივილით მოიხსენიოს ის ფაქტი, რომ საქართველოს უწარჩინებულეს მგოსანს — აკაკის ერთდერთი ქართული გაზეთის რედაქტორი ერთი მანეთი მისცა ისეთ ლექსში. როგორიც „არაბი ფაშაა“!

— დე, ისიც მოიხსენიოს იმ მემატიანემ, რომ ამ რედაქტიის ოთხი თანამშრომელი იმ ერთი მანეთის იმედით იყო და დღეს უსაღილოთ დარჩებიანო, — დასძინა ილია ხონელმა“ (დ. მესხი, „მოგონებანი“, გვ. 83 – 85).

დღევანდელი მემატიანე მართლაც გულისტკივილით აღნიშნავს ამ სამწუხარო ფაქტს.

ხანდისხან რედაქტიის და რედაქტორის მატერიალური უმწეობა ისეთ უკიდურესობამდე აღწევდა, რომ გამხადებული გაზეთის გამოშვება ვერ ხერხდებოდა ოთხიოდე მანეთის უქონლობის გამო. „უკანასკნელი შაბათის ნომერი მზად იყო, — წერს ს. მესხი, — მაგრამ ჯერაც არ დაბეჭდილა, რადგან იმდენი ფულები ვერ ვიშვენე, რომ ქალალდი მეყიდნა (თითო ნომერს 4 მანეთის ქალალდი უნდება). ბიჭები გავაჯერე ფოჩტაში სიარულით, რა არის — იქნება ფულების განცხადება არის — მეოქი; მაგრამ სადაა, ვინ გაგცა ხმა? ვალებით ყელთამდინა ვარ სავსე, ამხანავებში საზოგადო კოტრობაა და ვარ ასე, ამისთანა მდგომარეობაში. მაგრამ ამ საძაგელ მდგომარეობასაც მალე ბოლო მოედება: წელიწადი თავდება, ფულები დაიშეუებს დენას“ („წერ“, გვ. 201). ისევ უცვლელი ოპტიმიზმი, შეუნელებელი მხნეობა!

რედაქტორი მხნეობს, მაგრამ, სამწუხაოლო, გაზე-
თის საქმე მაინც (მატერიალურის მხრივ) არასახარი-
ელო მდგომარეობაშია. ს. მესხს მზა, დაბეჭდილი გაზე-
თის ხელისმომწერლებისათვის ფოსტით გაგზავნა ვერ
მოუხერხებია იმავე უფლობის გამო. მერე როდის?
იანგარში, როდესაც „ხელის მომწერლების ფულები უნ-
და შემოდიოდეს რედაქციას“. წვრილ-წვრილად შემო-
სული ფული გალების გასტუმრებას უნდებოდა; „დამე-
თანხმე,—წერს ს. მესხი თავის საცოლეს, —ფულები რომ
მქონდეს, თავდაპირველად ვალდებული ვარ ხელისმომ
წერლების წინაშე შევასრულო მოვალეობა — რიგია, მაგ-
რამ სად არის... მხოლოდ ეს მაწუხებს ახლა მე! ეს
უფლობა, თორემ სხვა საქმეები კარგად მიღის“!
(„წერ.“, გვ. 175).

მოვალეები ახჩობენ რედაქტორს, „სულს ართმევენ“; ერთს რომ დააკმაყოფილებს, მეორე ჩნდება, შემდეგ — მესამე და ასე დაუსრულებლად. გაზეთის ქალალის ყიდვა უჭირს... ბინის ქირა ვერ გადაუხდია, სახლის-პატრონი ბუზლუნებს, გამოსახლებით ემუქრება.

და ასეთ, თითქმის გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი ს. მესხი მაინც მხნედ გაიძახის: „თუმცა საქმეები მატერიალურის მხრივ კარგად ვერ მიღის, მაინც მხნედ ვარ, მიჩვეული ვარ“.

ყელთამდე ვალებში მყოფი „დროების“ რედაქტორი გაზეთისპოვის სტამბის დაარსებაზე ოცნებობს: „საკუთარი სტამბა გაზეთისათვის ძალიან საჭიროა, რადგანაც გამოვსცადე და, თუ ღმერთი გაუწყრა ეშმაკს და საიდანმე ერთი ან ორი ათასი მანეთი ჩამივარდა ხელში ოდესმე, იცოდე, დარწმუნებული იყავი, რომ უთუოდ „დროებისათვის“ და სახოგადოთ ქართული გამოცემისათვის ცალკე სტამბას გავმართავ, რა კარგი იქ-

წება... რომ ჩვენ ცალკე საკუთარი სტამდა გვექნება და მუდამ სხვებისაგან დამოკიდებელი არ ვიქნებით“ („წერილები“, გვ. 108).

„დროების“ რედაქტორს აკაუებს მაღალი შეგნება და მტკიცე რწმენა იმისა, რომ ის მოვალეა ემსახუროს ხალხს. „ქვეყნის სამსახური“, — აი, ის ძალა, რომელიც მას გზას უნათებს და იმედის შარავანდელით მოსავს.

თუ არა ასეთი ენტუზიაზმი, ასეთი ოპტიმიზმი, აბა, სხვა რა ძალას უნდა ესაზრდოებინა ს. მესხის გრძნობა და გონიერება, რომ 14 წლის განმავლობაში ენერგიის არააღარისმიანური დაძაბვით ეწარმოებინა თავისი სამაგალითო საზოგადოებრივი მუშაობა?

ეს ჩვენი პატარა ნარკვევი მიძღვნილი სერგეი მესხისაღმი, მინდა დავამთავრო მისივე სიტყვებით: „არ მითხრა, ჩემო ნუგვევო, რომ ერთობ ბევრ რამებს კიდებ ხელს, ცა და ქვეყანას ედებით! ისეთს არაფერს არ ვკიდებ ხელს, რომლის შესრულება ჩემთვის შეუძლებელი იყოს და, რასაც ვკიდებ, იცოდე, ადრე თუ გვიან, ჰქიდეც შევასრულებ. იმდენი ხასიათი კი მაქვს“ („წერ“, გვ. 112).

ს. მესხმა მართლაც პირნათლად შეასრულა მასზედ დაკისრებული მძიმე მოვალეობა, პატიოსნად მოიხადა ვალი სამშობლოს წინაშე, მაგრამ, სამაგიროდ, უდროოდ დაასრულა თავისი ლამაზი და მღელვარე სიცოცხლე.

ივანე (ვანო) მაჩაბლი

ივ. მაჩაბელი XIX საუკუნის დიდი მწერალია. მე ამას ვამბობ სრულის შეგნებითა და პასუხისმგებლობით. მართალია, მას არ დაუწერია არც ერთი ორიგინალური რომანი, მოთხოვობა, პოემა და პიესა, მაგრამ ისე შესანიშნავად და სრულყოფილად თარგმნა შექსპირის ტრაგედიები, რომ ინგლისელი გენიოსის ნაწარმოებები მშობლიურ, ქართულ ლიტერატურულ ნაწარმოებებს შეუსისხლხორცა და ამით მნიშვნელოვნად გაამდიდრა ჩვენი ლიტერატურა.

ივ. მაჩაბელმა, როგორც მთარგმნელმა, XIX საუკუნეში მკვდრეთით აღადგინა ძველი ქართველი მთარგმნელის შარავანდებით მოსილი სახე და მომავალ თაობას უანდერძა განგრძობა ძველი ქართველი მთარგმნელების დაუფასებელი ტრადიციისა.

აბა, დღეს რომელი შეგნებული ქართველი იტყვის, რომ ივ. მაჩაბელი ნამდვილი შემოქმედი მწერალი არ არის?

სხვა ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მისი ქართული ენა ხომ უალრესად მდიდარი, ზუსტი, დახვეწილი და მხატვრულია!

აქვე მინდა ერთი გარემოებაც ავლნიშნო: ხანდაზე
იბეჭდება ხოლმე სურათები, ან ფოტო ალბომები ქარ-
თველი კლასიკოსი მწერლებისა, რატომლაც მათში ივ.
მაჩაბელის სახეს ვერ ვხედავ. ალბათ, გამომცემლები
ვერ ერკვევიან იმაში, რომ დიდი მთარგმნელი, მშობ-
ლიური ენის დიდი ოსტატი, ნამდვილი მწერალია და
ის ლირისა კლასიკოს მწერალთა გალერეაში მოხვდეს.

ამ ჩემ მცირე ნაშრომში მე მიზნად არა მაქვს ივ.
მაჩაბელის, როგორც მწერალ-მთარგმნელის და, საერ-
თოდ, როგორც ქართველი მოწინავე მოღვაწის სახის და-
ხასიათება. ამ შემთხვევაში ივ. მაჩაბელი მე მანქტე-
რესებს, როგორც უურნალისტი და ერთ-ერთი ქართუ-
ლი გაზეთის რედაქტორი.

მართალია, ივ. მაჩაბელი დიდხანს არ ყოფილა
ქართული გაზეთის რედაქტორად, იგი მხოლოდ ორი
წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა „დროებას“,
მაგრამ, მიუხედავად ამისა, ივ. მაჩაბელის ეს ხანმოქლე
მოღვაწეობაც მოწმობს, რომ ის XIX საუკუნის საზო-
გადო მოღვაწეთა შორის ოვალსაჩინო ფიგურას წარმო-
ადგენდა.

1883 წლის 8 მაისს მძიმე ავადმყოფობისა გამო
ს. მესხმა სამუდამოდ დასტოვა „დროება“ და რედაქ-
ტორობა ივ. მაჩაბელს გადააბარა.

ივ. მაჩაბელი „დროებას“ 1885 წლამდე რედაქტო-
რობდა. 1885 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს
განკარგულებით „დროება“ სამუდამოდ დაიხურა.

დიდად საინტერესო და თანაც მრავლის მეტყველია
ის ფაქტი, რომ მძიმედ დაავადებულმა, განკურნავი
სენით შეპყრობილმა ს. მესხმა, როგორც მომაკვდავმა
მამამ, თავისი ღვიძლი შვილი—„დროება“, მოსავლელად

და საპატიონოდ ივ. მაჩაბელს, შედარებით უკეთაზე უფრო ახალგაზრდას, ჩააბარო.

ს. მესხი უდავოდ დარწმუნებული იყო ივ. მაჩაბელის ნიჭი, მხეობაში, თავგანწირულ, უანგარო მოღვაწეობაში და, რაც მთავარია, მამულიშვილობაში, მას სწამდა ახალგაზრდა ვანოს მტკიცე ნებისყოფა და ბრძოლის უნარი.

მაშინდელმა მოწინავე საზოგადოებამ უთუოდ მოწონა ღვაწლმოსილი ს. მესხის ასეთი არჩევანი და ივ. მაჩაბელი ს. მესხის საქმიანობის ღირსეულ განმგრძობად სცნო. საზოგადოების ეს აზრ-შეხედულება ნათლად გამოიხატა იმ თანაგრძნობაში, რომელიც „დროების“ სამუდამოდ დახურვის გამო მოწვეულ კრებაზე გამოვლინდა. ამის შესახებ ჩვენ უფრო დაწვრილებით ქვევით გვექნება საუბარი.

1885 წ. გაზ. „დროება“ მთავრობამ სამუდამოდ დახურა, ვითომც მისი პოლიტიკურად მავნე, ძირგამმოხსელი მიმართულების გამო. მთავრობას გაზეთის მავნე საქმიანობად სხვათა შორის, ის კეთილი საქმე მიაჩნდა, რომ გაზეთი მკითხველებს ათვითცნობიერებდა, ცოდნას აძლევდა, არკვევდა პოლიტიკურ-საზოგადოებრივ საკითხებში, იყვარებდა მშობლიურ მხარეს, მის წარსულს, სამშობლო ენას და ლიტერატურას; გაზეთი შეძლების ფარგლებში, ამხელდა მეფის მოხელეების ურიგო და უსამართლო საქმეებს. როგორც რედაქტორი, ასევე თანამშრომლებიც, რასაკვირველია, ცდილობდნენ ეპოქის ენით ელაპარაკათ, სტრიქონსა და სტრიქონს შუა ჩამალათ თავისი მრწამსი, აზრ-შეხედულება. მაგრამ ისე კი, რომ მკითხველს არ გასძნელებოდა ძირითადი აზრის გაგება. მიუხედავად უკველივე ამისა, ცენზურა მაინც ხშირად შიგნავდა გაზეთს,

ამახინჯებდა მის სახეს. ბევრი სიმწარე განაცდევინა რედაქტორებს მაშინდელმა სასტიკმა ცენზურამ.

მიუხედავად ამისა, რედაქტორები მაინც ახერხებდნენ მოწინავე წერილების და კორესპონდენციების გადარჩენას ცენზორის საოპერაციო დანისგან; მაინც ახერხებდნენ მკითხველისათვის გამომატხიზებელი მასალის მოწოდებას. მე მიჩვეული ვარ ცენზურას,— წერს ს. მესხი, — და ვცდილობ არცერთ კორესპონდენციას არ მოხვდეს, მისი ბრჭყალები... ენახო!

ეტყობა, რომ „დროების“ ახალგაზრდა რედაქტორი—ივ. მაჩაბელი ს. მესხზე უფრო ნაკლებად დახელოვნებული აღმოჩნდა ცენზურასთან ბრძოლაში. ორი წლის შემდეგ „დროება“ აკრძალეს. აკრძალეს იმისათვის კი არა, რომ გაზეთმა რაიმე, ხალხის, საზოგადოების, ცარიზმის წინააღმდეგ ამამხედრებელი მოწოდება დაბეჭდა, ან მკრეხელობა ჩაიდინა სარწმუნოების წინააღმდეგ, ან ამორალური, უზნეო გამრუყნელი აზრების ქადაგება გააჩალა. არა, აკრძალეს იმისათვის, რომ ხალხის ინტერესებს იცავდა, ისტორიულ სამართლიანობის აღდგენისას მოითხოვდა, პოლიტიკურ და ეროვნულ ჩაგვრას, თუ სრულის ხმით არა, შერბილებულად მაინც ამხელდა.

„დროება“ იმისათვის დახურა ცარიზმა, რომ ქართველ საზოგადოებაში წიგნისა და გაზეთის კითხვა მოითხოვნილებად გადაიქცა, გაზეთმა საზოგადო და სამოქალაქო აღორძინებას დასაწყისი დაუდო.

მთავრობამ „დროება“ იმისათვის დახურა, რომ ის მშობლიურ ენას, რომელსაც პოეტმა „ტაძარი წმინდა უწოდა“, გამოექმავა, რაღანაც მას, რუსიფიკატორული უსტმართლო პოლიტიკის ზეგავლენით. არც სასწავლებლებში ასწავლიდნენ, არც სასამართლოში ლაპა-

რაკობდნენ, არც სამმართველოში, და—ასე გაინჯეთ ჩვენი ბედის სიმუხოლე. თითქმის არც ოჯახებში. ერთადერთი ადგილი, საცა ქართულ ენას გაიგონებდა კაცი, იყო ქართული გაზეთი. „დროების“ დახურვით მთავრობას სურდა დაეშრო ის ერთადერთი წყაროც, საიდანც გამომდინარებდა ცოცხალი ქართული ენა.

„დროება“ დახურეს აგრეთვე იმისათვის, რომ ააშკარავებდა ადგილობრივი „წვრილფეხა მოხელეების ბორბტებას“. ამ წვრილფეხობამ იჩივლა—არ შეგვიძლია ქვეყნის მართვა, „დროება“ ხელს გვიშლისო, იჩივლეს ერთხელ, ოჯვერ, სამჯერ, საჩივარს მთავარმართებელთან მიაღწევინეს და საქმე იმით გათავდა, რომ „დროება“ მოსპეს ვითომდა მავნებლური მიმართულების გამო“ (იხ. „ლიტერატურის მატიანე“, № 1—2, 1940 წ., წერილი, „დროებიდან“ „ივერიამდე“).

ერთადერთი ქართული ყოველდღიური განეთის „მოსპობამ“ დიდი მწუხარება გამოიწვია მთელ ქართველს საზოგადოებაში.

ყველა გრძნობდა, რომ „დროებისათვის“ თავვანწირულმა ს. მესხმა თავისი სულიერ-გონებრივი სატრაფო ღირსეულ კაცს ჩააბარა მოსავლელად და საპატრონოდ. „სერგეისათვის,—წერდა დ. მესხი,—სიკვდილი იყო „დროების“ თავის დანებება. ყველაფერს გაუძლებდა: შრომასაც, ცენზურასაც, ვალებიაც, მაგრამ მოტყდა, დასწეულდა, მუშაობა აუკრძალეს და გულდაწყვეტილმა განეთი ცრემლით დასტოვა. გამოეთხოვა გაზეთს, მაგრამ მის სევდიან გულს ნუგეში ეძლეოდა იმის გამო, რომ გაზეთი მარჯვე, განათლებული ახალგაზრდის ხელში რჩებოდა“ (დ. მესხი, „მოგონებანი“, გვ. 87). „დროება“ ვალებით ივ. მაჩაბელმა აიღო და ორას თუმნამდე კიდევ ს. მესხს თავისი ჯიბიდან მისცა.

ცხადია, რომ ასეთ დიდად საპასუხისმგებლო, დაძაბულად საშრომო და მატერიალურად საზარალო საქმეს ივ. მაჩაბელმა სრულის შეგნებით მოჰკიდა ხელი. მას სურდა, მსგავსად ს. მესხისა, პირადი კეთილდღეობა, პირადი ინტერესები საზოგადო, საეროვნო საქმისათვის შეეწირა, და შესწირა კიდეც.

ორი წლის დაძაბული მუშაობის შემდეგ ივ. მაჩაბელიც იძულებული შეიქნა „დროებას“ სევდიანი გულით სამუდამოდ გამოსალმებოდა. ამავე დროს მას დაედო მაშინდელი დროისათვის დიდი ვალიც.

დავით მესხი ასე იგონებს ამ სამწუხარო ფაქტს: „დროება“ რომ აკრძალეს, ვანო იმ ხანად კახეთში იყო. მოიჭრა გულგახეთქილი. გოდია-მ (ასე ეძახდა ცენტრულ ისარლოვს), გაიტანა მაინც თავისი!!

რას გავხდებოდით. ძალა აღმართსა...

„დროების“ აბრას სამგლოვიარო შავი ბლონდი გადავფინე.

შემოიჭრა ბოქაული:

ამ წამში მოხსენით აბრა თავის ბლონდით! ეს რა ამბავია!?

რა ამბავი უნდა იყოს. გაზეთი მოკვდა და ვგლოვობთ.

აასრულეთ მთავრობის ბრძანება! მოკვდა! მოკვდა კი არა, მოვკალით, ჩვენ ჩავკალით! ამ წამში მოხსენით! ვროტესტები!!

ჩამოვხსენით... მთავრობის ქეშივი თავისებურად მართალი იყო. იმათვან სასიკვდილოდ განწირულების გლოვის უფლება აკრძალული იყო...

ცოტად, ვითომ გულის მოსაფხანად ლუკა ისარლოვს ვუკბინეთ: იმ ღამითვე აკავის აკრძალული ლექსი „ხანჯალი“ დავსტამბეთ და კარგა ბლომა ფარატინები

მთელს ქალაქში შოვფინეთ. ლექსს მივწეროთ: ლუკა
ისარლოვი... დაფაცურდა პოლიცია და უანდარმები,
კვალს ვერ მიაგნეს. მაგრამ მთავრობის ისეთ ერთგულ
ქოფაკს რა დიდი ფიცი და მტკიცება დასჭირდებოდა,
რომ ასეთი ლექსი იმის კალამს არ ეკუთვნოდა...“
(დ. მესხი, „მოგონებანი“, გვ. 95—96).

თუ როგორ გახდა ივ. მაჩაბელი ს. მესხის შემდეგ
„დროების“ რედაქტორად და რა პირობებში და რა
მატერიალურ მდგომარეობაში ჩაიბარა მან რედაქცია,
ამის შესახებ დაწვრილებით თითონ ივ. მაჩაბელი
მოვითხოობს წერილში: „წერილი რედაქციას“, რო-
მელიც მას მოუთავსებია სასულიერო უურნალ
„მწყემსში“, რომელსაც რედაქტორობდა ცნობილი დე-
კანოზი დავით ლამბაშიძე (იხ. „მწყემსი“, 1893, № 18).

ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ ივ. მაჩაბელმა
ეს წერილი მოათავსა არა ყოველდღიურ გაზეთ
„ივერიაში“, არამედ სასულიერო უურნალ „მწყემსში“.

ვინც ჩემსავით მოწამე იყო იღ. ჭავჭავაძის და
ივ. მაჩაბელის ურთიერთდამოკიდებულებისა XIX სა-
უკუნის ოთხმოცდაათიან წლებში ან. ვინც მაშინდელი
პრესის საშუალებით გაცნობია იღიას და მაჩაბელის
ბრძოლას სათავდა-აზნაურო ბანკის საქმეების გარშემო,
იმისათვის ცხადი და გასაგებია ივ. მაჩაბელის საქცი-
ელი. ცხადია, გაუმართლებელი იქნებოდა, რომ თავისი
წერილი ივ. მაჩაბელს სასტიკი მოწინააღმდევის ორგა-
ნოში მოეთავსებინა იმ დროს, როდესაც საქართვე-
ლოში სხვა პერიოდული ორგანოც არსებოდდა.

„1883 წელს,—წერს ივ. მაჩაბელი ქართველი საზო-
გადოების საყურადღებოდ,—განსვენებულ ს. მესხმა
თოთხმეტი წლის უმადური შრომის შემდეგ გამოა-
ხადა: მე ვერ წაუძღვები გაზეთს, სხვამ იქისროს

ვინმემ და მოლაპარაკების შემდეგ მე გაღმომცუ „დაკო-
ება“ 1 მაისს, 1883 წელს, რომელთან ერთად ექვსასი
თუმანი ძველი ვალი გაზეთისა კისრად დამედო. ამ
ვალში სტამბისა, ქალალდისა, ასოთამწყობისა და სხვა
ვალებს გარდა, იყო 532 მანეთი ისტორიკოსი ბროსეს
პრემიისათვის მოგროვილი.

მოვკიდე გაზეთს ხელი და წლის დასასრულამდე
სამას ოთხასი თუმანი კიდევ სხვა ვალი მოემატა, რად-
გან წლის ხელის მოწერის ფული, უმთავრესი შემოსა-
ვალი გაზეთისა, უწინ გაზეთსავე მონდომოდა და მე
დამხვდა მხოლოდ ყოველდღიური წვრილმანი შემოსა-
ვალი, რაც რასაკვირველია, გაზეთის ხარჯს ვერ აუვი-
დოდა.

მე კი იმედი მქონდა, რა კი გაზეთის მოთხოვნილება
ხალხში თანდათან ვრცელდებოდა და უწინდელი ძნელი
მდგომარეობა შეიცვალა, შეძლება მომეცემოდა ოთხ-
ხუთ წელიწადში გამესტუმრებინა ეს ვალი და შემდეგ
შემოსავალი გაზეთის გასაუმჯობესებლად მომეხმარა.
მე მწამდა ამითი გაჭირვების დროს ნაკისრი ვალდე-
ბულება გახარების დროს გადამეხადა და მოკლე ხანში
პირნათლად გამომეუვანა საზოგადოების წინაშე დამწ-
ყები და გამგრძობინი ამ საქვეყნო საქმისა, მაგრამ
მიმუხლთა ბედმა. ორი წელიწადი ძლივს დასკალდა
ჩემ ხელში გაზეთს და 12 სექტემბერს 1885 წელს გა-
ზეთი დაიხურა. გარდა ზნეობრივი ტანჯვისა, რომელიც
მე მაშინ განვიცადე, კისრად 9000 მანეთი დამედო“.

როგორც წერილიდან ჩანს, ეს ვალები ივ. მაჩაბელს
თანდათან გადაუხდია. პირველ რიგში გაისტუმრა ისე-
თი ვალები, რომელსაც ვადა პქნდა და ვალის გადა-
დება არასგზით არ შეიძლებოდა, ეს იყო ვალი ასოთამ-
წყობისა, სტამბისა, ქალალდისა და კერძო პირებისა.

ამის შემდეგ გადასახდელი დარჩა გ. ქართველიშვილის, დავით სარაჯიშვილის და ბროსეს პრემიის თანხა.

„გაზეთის დახურვის შემდეგ,—წერს ივ. მაჩაბელი,— 50-მდე პირი შეიყარა ბ. მელიქიშვილის სადგურში, თბილისში, სოლოლაკზედ ამ საქმეზედ მოსალაპარაკებლად. აქ დაესწრენ თითქმის ყველანი თბილისში მყოფნი, ვინც ჩვენ ლიტერატურასთან დაახლოვებულია და გადაწყვიტეს ყოველთვიური უურნალი „ივერიის“ ყოველდღიურ გაზეთად გარდაქმნა. აქვე ჩამოვარდა ლაპარაკი „დროების“ ვალზე ჩემდა დაუკითხავად, ყველამ ერთხმად სთქვა; ეს საზოგადო ვალია და საზოგადო ებაზე უნდა გადაიხადოსო, რადგანაც გაზეთისათვის არის აღებული...

მაშინვე კომიტეტი შეადგინეს. მოთავეობა იკისრა იღ. ჭავჭავაძემ, სიებიც დასწერეს, ფულიც გაანაწილეს, ბევრს კიდეც გამოუცხადეს, შენ ამდენი და ამდენი უნდა მოგვცეო და სხ. მაგრამ ეს ყველა ამაოდ დარჩა, წინაგრძნობაში არ მიღალატა და მოელი ვალი, ბევრი მითქმამოთქმის შემდეგ, მე დამატყდა“ (უურ. „მწყე-მსი“, 1893, № 18).

როგორც ვიცით, „დროება“ დაიხურა 1885 წელს, 12 სექტემბერს. ივ. მაჩაბელის ხემოაღნიშნული წერილი დაბეჭდილია 1893 წელს, ე. ი. გაზეთის დახურვიდან რვა წლის შემდეგ, ამ ხნის განმავლობაში 9000 მანეთის ოდენობის „საზოგადო ვალიდან“ ივ. მაჩაბელს, სხვების დაუხმარებლად, გადაუხდია 6000 მანეთი.

ადამიანმა ორი წლის განმავლობაში შეუსვენებლივ, დაძაბულად იმუშაოს გონებრივად ან ფიზიკურად, ებრძოლოს უსახსრობას, უფულობას, ცენტრის სიმტკიცეს, შრომისათვის თითქმის არაფერი აიღოს და აშავე დროს „საზოგადო ვალითაც“ ყელამდე აიცხოს.— ეს ნამდვილი

თავგანწირვაა, სანიმუშო გმირობაა. მაგრამ სამწუხარო
ის არის, რომ ასეთ ადამიანს თავის გამართლებაც კი
დასჭირდა საზოგადოების წინაშე.

უურ. „მწყემსში“ დაიბეჭდა ერთი წერილი, სადაც
ნათქვამი იყო: „1880—1883 წლებში „დროებაში“ ხე-
ლის მოწერით მოიკრიფა €00 მ. განსვენებულის ისტო-
რიკოსის ბროსეს პრემიისათვის დაროცა სერგეი მესხმა
გადასცა „დროება“ ივ. მაჩაბელს, მაშინ ამ ფულის
დანიშნულებისამებრ მოხმარება დაევალა ამ უკანას-
კნელსო“. ამ წერილის მიზანია, ჩრდილი მიაყენოს ივ.
მაჩაბელის პიროვნებას, გაამტკუნოს ის მესხისაღმი
მიცემული პირობის შეუსრულებლობაში. ნამდვილად
კი, როგორც ვიცით, ს. მესხს ივ. მაჩაბელისათვის
„დროების“ რედაქტიასთან ერთად ერთი მანეთიც არ
გადაუცია, გადასცა მხოლოდ ვალი, ივ. მაჩაბელმა კი,
პირიქით, ავადმყოფ ს. მესხს საკუთარი 2000 მანეთი
მისცა. ამის შემდეგ გაზეთი მალე დაიხურა და ახალმა
რედაქტორმა ვალების გადახდა ვერ მოასწრო. „მწყემ-
სში“ დაბეჭდილი ცილისმწამებლური ხასიათის წერილის
პასუხს წარმოადგენდა ივ. მაჩაბელის წერილი დაბეჭ-
დილი იმავე ჟურნალში.

„თუმცა თქვენ,—წერს ივ. მაჩაბელი „მწყემსის“
რედაქტორს,—ეჭვს აცხადებთ თქვენს გაზეთში, იქნება-
ეს ამბავიც ისე შემცდარი გამოდგეს, როგორც შემც-
დარი გამოდგა ბ. კუნიასაგანვე თქვენდამი მოწოდე-
ბული ცნობა—რუსთაველის ძეგლისათვის ორასის თუმ-
ნის მოგროვება, რომელიც ვითომ მე, ივ. მაჩაბელს,
მქონდეს გადმოცემული, მაგრამ ამ შემთხვევაში კი
ბ. ი. კუნია სრულიად მართალია. მართალია, რომ
განსვენებულ სარგეი მესხის რედაქტორობის დროს
მოგროვდა 523 მ. ბროსეს პრემიისათვის და ამ ფულის-

გადახდის მოვალეობა მე ვიკისრე და დღესაც მე მაქვს. ნაკისრები, თუმცა ეს ფული არსად მიმიბარებია... გთხოვთ აღგილი მიბოძოთ და ცოტა ვრცლად მაამბობინოთ ამ ფულის და „დროების“ აკრძალვის გარემოება, რომ თქვენმა მკითხველებმა შეიტყონ მიზეზი ასეთის, პირველ შემთხვევით, უცნაური ამბისა, უცნაურის პასუხისა; რასაც აქ ვიტუვი, ყველაფერი მართალია, შემიძლია სრულიად საწდო და ყველასაგან ცნობილ პირთა მოშობით დავასაბუთო“.

ამ საინტერესო და გულწრფელად დაწერილ წერილში, რომელსაც დიდი საზოგადოებრივ-ისტორიული მნიშვნელობა აქვს ივ. მაჩაბელი ასეთ „შენიშვნას“ აკეთებს:

„აქ საჭიროა ერთი გარემოებაც გავიხსენოთ: არამცუ არავის „დროების“ ვალი ჩემს გარდა ერთი მანეთიც არ გადაუხდია. ამ გაზეთს ბრმა შემთხვევის გამო მოაკლდა 1500 მანეთამდე შემოსავალი, რომელიც იმის კასაში შევიდოდა, რომ თვე ან თვენახევარი კიდევ დასკულოდა. მე მოგახსენებთ ბანკის განცხადების ფულზე. რაკი ქართული გაზეთი აღარ იყო, ბანკებმა თავისი განცხადებები ყოველთვიურ უურნალ—„ივერიაში“ და აბეჭვდინეს და ფულიც „ივერიის“ რედაქტორს თ. ი. ჭავჭავაძეს მიართვეს,—იმ უურნალის რედაქტორს, რომელშიაც ორ წელიწადზე მეტი გაზეთის აღებამდე უსასყიდლოდ მარტო ვმუშაობდი; თუმცა სასყიდელს დაპირებულნი იყვნენ და ასე გასინჯეთ, ერთხელ იძულებული ვიყავი კიდევ, პირიქით, ჩემი მოადგილისათვის სასყიდელი ჩემი გაჭირვებულ ჯიბიდან მიმეცა“.

ეს საინტერესო და დროის დამახასიათებელი ავტობიოგრაფიული ცნობაა! უურნალის უსასყიდლო თანამ-

შრომელი თავის მოადგილეს სასყიდელს საკუთარი გაქირვებული ჯიბიდან აძლევს!

ივ. მაჩაბელის წერილში გამოთქმულია სრულებით სამართლიანი საყვედური და მხილებაც კი მაშინდელ მოწინავე საზოგადოებისა; ამ საზოგადოებამ გაუმართლებელი გულგრილობა და უძლურება გამოიჩინა „დროებისა“ და მისი უკანასკნელი რედაქტორებისადმი. მან მშვენივრად იცოდა, თუ რა ნიადაგზე წარმოიშვა ვაჭ. „დროების“ რედაქციის დავალიანება, იცნობდა რედაქტორების უანგარო, თავგანწირულ მუშაობას, მაგრამ მაინც უაღრესად გაქირვებულ მომენტშიაც დახმარების ხელი ვერ გაუწოდა, მძიმე მატერიალური ტვირთი ვერ შეუმსუბუქა და „დროების“ დიდი ვალი ერთ აღამიანს—ივ. მაჩაბელს დაატყდა. მის სიმძიმეს ეს პატიოსანი და უანგარო მუშაკი მთელი წლების განმავლობაში განიცდიდა.

ივ. მაჩაბელის პოლტრეტი მშვენივრად აქვს დახა-ტული „დროების“ თანამშრომელს დავით მესხს: „ივ. მაჩაბელს იდრეც ვიცნობდი. სერგეისობას ხშირად მე-მოდიოდა ხოლმე რედაქციაში. მე გაგონილი მქონდა, რომ ჩვენს დიდ მწერალს ილიას უყვარდა, მოსწონდა ვანო მაჩაბელი და ამ ახალგაზრდა, ევროპიულად განათლებოლ ყმაწვილზე იმედსაც დიდს ამყარებდა. ეს გარემოება, რაკი იდრითვე გულს იღებეჭილიც მქონდა, ვანოსთან მუშაობას ხალისით მივეგებე, დაახლოებით გავიცანი მაჩაბელი. ერთი წამითაც არ მიგვრძნია, რომ მე ისევ ჩემს ძმა სერგისთან არ ვმუშაობდი. სამწუხაროდ ეს მუშაობა ერთობ ხანმოკლე იყო.

ახალგაზრდას, საგაზეთო მუშაობაში პირველად ჩაბ-ჭულს ივ. მაჩაბელს ბევრი ნიშანი ჰქონდა იმისა, რომ

ის დიდი უურნალისტი დადგებოდა. ძალიან მარჯვე, სწრაფი, საგაზეთოთ ზედგამოყრილი მუშაკი იყო. კარგი დახვეწილი ქართული, ცოცხალი საგაზეთო სტილი, მახვილი კალამი... სამწუხაროა, რომ ამ სარბიელზე მას მუშაობა დიდხანს არ დასცალდა“ (დ. მესხი, „მოგონებანი“, გვ. 89—91).

„... პირველ შეხვედრისას ივ. მაჩაბელს ღირსეულად ვერ ასწონიდით. ეს აჩქარებული, თითქოს გაფანტული ადამიანი, თქვენზე სათანადო შთაბეჭდილებას ვერ ახდენდა, მაგრამ დაუახლოვდებოდით თუ არა და კარგად გაიცნობდით, ნახავდით, რა ერუდიცის კაცი იყო და რა შრომის უნარის პატრონი“ (იქვე, გვ. 90).

სერგეი მესხმა „ხანგრძლივი დაკვირვების“ შემდეგ თავის მექვიდრედ, თავისი სათაყვანებელი „დროების“ ხელმძღვანელად ეს „პირველ შეხედვით აჩქარებული“ და „დაფანტული“ ახალგაზრდა აირჩია და ილიას მიერ წამოყენებულ კანდიდატზე კატეგორიულად უარი სთქვა, მიუხედავად იმისა, რომ ილიას რჩევას და სიტყვას ის ყოველთვის, სხვა შემთხვევაში, პატივსა სცემდა და ყურადღებით ეპურობოდა.

„ილ. ჭავჭავაძეს და მის მომხრეებს,—მოგვითხრობს მაშინდელი ამბების კარგად მცნობი და მონაწილე დ. მესხი,—არ უნდოდათ, რომ გაზეთს ივ. მაჩაბელი დაპატრონებოდა. ილიასა და ივ. მაჩაბელს შორის უთანხმობის ნიშნები მაშინაც იყო, ილიას სარედაქტოროდ 6. ქანანაშვილი ყავდა გამზადებული. მაგრამ ეს აღარ მოხერხდა. სერგეიმ ივ. მაჩაბელს „უმხრო“ და, მართლაც, ისტორიაშ გამართლა ს. მესხის არჩევანი.

ივ. მაჩაბელი, „დროების“ ახალი რედაქტორი, სერგეი ტესხის საქმისა და ტრადიციის ღირსეული გამგრძობი აღმოჩნდა.

პირველ ყოვლისა ივ. მაჩაბელმა გარს შემოიკრიბა, „დროების“ ძველი თანამშრომლები და მუშაკები, ისინიც კი, ვინც თბილისიდანაც იყვნენ წასული.

„ივ. მაჩაბლიდან წერილი წერილზე მომდიოდა, „დროებაში“ სამუშაოდ მიწვევდაო“, წერს დ. მესხი („მოგ“, გვ. 89).

ივ. მაჩაბელმა პირველ დღიდანვე დაიწყო „დროების“ ავტორიტეტის და მისი გავლენის განმტკიცება. იგი უაღრესად საჭირობოროტო, საზოგადო ხასიათის სერიოზულ წერილებს ათავსებდა „დროებაში“. უცხო ერების წარმომადგენლებს (თუ დრო და შემთხვევა მოითხოვდა) აცნობდა ქართველი ხალხის წარსულს და თანამედროვე კულტურულ მდგომარეობას.

ივ. მაჩაბელმა თავის რედაქტორობის დროს „დროების“ რედაქტორის სახელით ორი ბანკეტი გამართა. „დროების“ ინიციატივით, ცნობილმა ქართველმა ქველმოქმედმა გიორგი ქართველიშვილმა თავის ოჯახში გაუმართა ბანკეტი ინგლისიდან ჩამოსულ და-ძმა უორდროპებს. უცხო სტუმრებს გულუხვამა ქართველმა სანიმუშო ქართული ლხინი აჩვენა. თავისთავად ცხადია, რომ ამ ლხინზე ბევრი საგულისხმიერო სიტყვაც წარმოითქმდა.

მეორე ბანკეტი ივ. მაჩაბელმა თვით „დროების“ რედაქტორიაში გაუმართა საფრანგეთის კონსულს. ეს კონსული პატივსაცემი აღამიანი იყო. მოსწონდა ქართველობა და საერთოდ ქართველ მოღვაწეთადმი გულთბილი გრძნობით იყო გამსკვალული.

ბანკეტზე ბევრი ლამაზი და შინაარსიანი სადლეგრძელო ითქვა... ამის შესახებ სიტყვას ვაძლევ დ. მესხს, რომელიც ბანკეტს დაესწრო:

„ყველას გადააჭარბა ილიაშ. სანამ სიტყვას დაიწყებდა, ნ. ნიკოლაძეს მიმართა: ნიკო მე ფრანგულში ორივე ფეხებით ვკოჭლობ, გთხოვთ ყურადღებას, მე ჩემებურად ვიტყვი, შენ კი გადაუფრანგულე ჩვენს სტუმარს.— „ბატონი ხარო“, უთხრა ნიკოლაძემ. ილიამ დიდი მჭერმეტყველური პოლიტიკური სიტყვა წარმოსთქვა. დამსწრე ქართველობა, რომელნიც ბლომად იყო შეგროვილი ბანკეტზე, აღტაცებით მიეგება ილიას სიტყვას და რამდენჯერ „ვაშას“ ძახილით შეაწყვეტინეს. დიდი აღფრთოვანებული იყო ილიას სიტყვით ივ. მაჩაბელი, სკამზე ვეღარ მაგრდებოდა. ნიკომ შენიშნა ეს და მიმართა ვანოს: „ხომ არ გინდა განაგრძო სიტყვის გადათარგმნა?“ ვანომ შესძახა: „თუ ილია ნებაც იქნება, მე დიდის აღტაცებით ვიკისრებ!“ ილია დათანხმდა და დაიწყო ვანომ. ერთი ბორბიკიც არ მოსვლია, და თარგმანი რომ დედანს არ ჩამოუვარდებოდა, ფრანგულის უცოდინარებმა იქიდან ვრანგარიშეთ, რომ კონსული დიდის აღტაცებით ხშირად ვაშას ძახილით აწყვეტინებდა ვანოს სიტყვას. კონსულის საპასუხო სიტყვაც რომ ძალიან საგულისხმო იყო, ეს მოფრანგულე პირების ვაშით და ტაშით მივხვდით. დიდი ზეიმით ჩაიარა ბანკეტმა“ (დ. მესხი, „მოვნებანი“, გვ. 95).

ამ ამონაწერიდან ირკვევა, რომ ივ. მაჩაბელს და ილიას შორის ამ პერიოდში მაინცდამაინც არ ყოფილა ლრმა და შესამჩნევი უსიამოვნება, ვანხეთქილება. ვანო თურმე დიდად აღტაცებული იყო ილიას სიტყვით: „ის სკამზე ვეღარ მაგრდებოდა“. ილიაც დათანხმდა ნიკოლაძის წინადადებას, რომ ვანოს განეგრძო მისი სიტუაციის თარგმნა. საკურადღებოა ისიც, რომ ჩვენ, კერძოდ, პირადად მე: ღვაწლის ის ვიცოდი,

რომ ივ. მაჩაბელი ინგლისური ენის შესანიშნავი მცოდნე იყო. დ. მესხის სიტყვებიდან კი ჩანს, რომ ივ. მაჩაბელს ზედმიწევნით ცოლნია, ფრანგული ენაც, მე კი ისე მქონდა წარმოდგენილი, რომ ძველ მოლვაწეებში ნ. ნიკოლაძეს ფრანგული ენის ცოდნაში ბადალი არ ჰყავდა.

თავის თავად ცხადია, მეფის უანდარმერიას და პოლიციას არ გამოეპარებოდა ამბავი „დროების“ რედაქტორის მიერ ბანკეტების მოწყობისა. მთავრობის უფროსს მიწვდა ამ ბანკეტების ამბავი. „დროების“ დახურვის განკარულება უეჭველად ზემოთ აღწერილმა ბანკეტებმაც დააჩქარეს.

უეჭველია, რომ მანამდის „დროების“ მოსასპობად ნიადაგს ამზადებდა „კრეტინი“ და „გადინა“ — ცენზორი ისარლოვი.

ბევრი ქოფაკი ჰყავდა მთავრობას ცენზორის როლში, მაგრამ ყველა ქოფაკზე უფრო ერთგული ლუკა ისარლოვი იყო.

ცარიზმა და მისმა ერთგულმა მოხელეებმა ჩააქრეს ქართველი ხალხის კულტურისა და ლიტერატურის ერთ-ერთი მასაზრდოებელი კერა; შეიწირეს „დროების“ ორი გულდაწყვეტილი რედაქტორი — შრომის მოყვარული, საიმედო მამულიშვილი — სერგეი მესხი და ივ. მაჩაბელი. ორივე ახალგაზრდა მოსწყვიტეს ქართულ მწერლობას და საზოგადოებრივ სარბიელს. ორმოც წელს არც ერთი არ იყო მიღწეული, როცა სიკვდილმა ისინი გააუჩინარა.

მართალია, ივ. მაჩაბელმა „დროების“ დახურვის შემდეგ კიდევ რამდენიმე წელს იცოცხლა და იმოლვაწა, მაგრამ შემდეგში მისმა ნიჭმა ფრთხები ვერ გაშალა, როგორც საზოგადო მოლვაწე, ჯეროვანად

ვერ მომწიფდა. თავისდა საბედისწეროდ ის იმ დაჯ-
გუფების ლიდერი გახდა, რომელიც ილია ჭავჭავა-
ძეს ებრძოდა, საბანკო საკითხების გარშემო. ილიას
პოზიცია სწორი იყო და სამართლიანი. თითონ
ილია პირადად უძლეველი მებრძოლი აღმოჩნდა. მისმა
ულმობელმა ლოლიკამ დაამსხვრია მოწინააღმდეგეთა
სიმაგრეები. ამ ბრძოლაში სასტიკად დამარცხდა დაჯ-
გუფების ლიდერი—ივ. მაჩაბელი. ილიამ არ დაზოგა
თავისი საშიში მოწინააღმდეგე და როგორც იტყვიან,
ანდერძი აუგო მას.

როგორც ცნობილია, ილია და ვანო თავიდან დიდი
მეგობრები იყვნენ, მათ ერთად თარგმნეს შექსპირიდან
„მეფე ლირი“. დიდ ილიას, ვიტყვით დ. მესხის სიტყ-
ვებით, „მოსწონდა, უყვარდა ვანო მაჩაბელი და ამ
ახალგაზრდა, ევროპულად განათლებულ ყმაწვილზე
იმედსაც დიდ ამყარებდა“.

ვასილ მაჩაბელისადმი მიწერილ ილიას ერთ-ერთი
შერილიდან ნათლად ჩანს ილიას ღრმა პატივისცემა
ვანოსადმი და ის დიდი იმედი, რომელსაც იგი ახალ-
გაზრდა მაჩაბელზე ამყარებდა, როგორც მომავალ ურ-
ნალისტზე: „ვანოს წიგნების ქებას იწერები. ვიდრე
ამას შენ მოიწერებოდი, ჩვენმა ავალოვმა დიდი ქება
მითხრა მაგ წიგნებისა. რა კარგი იქნება, რომ ეგ
წიგნები დამაბეჭვდინო, თუ შესაძლებელია და თუ ვანო
ნებას მოგცემს. მიჰსწერე შენად და ჩემად მოგვეშველოს
როგორმე. ჭკვიანი ბიჭია და ამასთანაც კარგი კალმის
პატრონი. ჩვენთვის ვანო დიდი ნუგეში იქნება. პსთხოვე
და არამც თუ პსთხოვე, შეეხვეწე ჩემ მაგიერ, რომ სტა-
ტიები რამ გამოგვიგზავნოს“ (იხ. ილ. ჭავჭავაძის
„შერილები“, ი. ბოკვაძის რედაქციით, წინასიტყვაობით
და შენიშვნებით, სოხუმი, 1949 წ., გვ. 47).

როგორც თვით ივ. მაჩაბელის სიტყვებზე ჩანს (იხ. მისი წერილი „მწყემსში“), ილიას იგი მუდმივ თანამშრომლადაც მოუწვევია უურნალ „ივერიაში“. თუ ეს ასე იყო, საინტერესოა გამოირკვეს, რა დროიდან და რა ნიადაგზე ჩაისახა ილიასა და ვანოს შორის უკმაყოფილება, რომელიც შემდეგში მეტად მწვავე ფორმებში გამოვლინდა.

ვფიქრობთ, ამ უთანხმოებამ თავი იჩინა „ივერიის“ რედაქტირაში პრაქტიკული მუშაობის დროს, როდესაც „ცოტათი აჩქარებული“, თითქოს „გაფანტული“, სანგვინიკოს ტემპერამენტის პატრონ ივ. მაჩაბელის და აულელვებელ, თითქოს ფლეგმატური ტემპერამენტის მქონე ილიას შორის ზოგიერთი ეროვნულ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ საკითხზე დავამ და შეუთანხმებლობამ იჩინა თავი. ასე იყო, თუ ისე, ჩეენ უდავო ფაქტთან გვაქვს საქმე: ილიასა და ვანოს შორის გულწრფელი თანხმობა და სიყვარული შეირყა.

ილიას შესამჩნევი გულგრილობა ივ. მაჩაბელისადმი აშკარად გამოვლინდა სერგეი მესხის შემცვლელი კანდიდატის წამოყენებაშიც.

მე ყოველთვის ვიყავი, ვარ და ვიქნები დიდი ქართველის—ილიას თაყვანისძიებელი. მან პირველად მიკურთხა ჩემი პატარა კალამი და ფეხი შემაღმევინა ქართულ უურნალისტიკაში. მაგრამ გული მტკიცა, რომ ილია სასტიკად, დაუზოგველად მოექცა ახალგაზრდა, აჩქარებულ, მაგრამ სათუთი ბუნების მქონე ნიჭიერ ახალგაზრდას, დაამარცხა და შეიძლება ითქვას, გაანადგურა, მოსპო იგი, თუმცა, ბანკის საკითხებში ილია სავსებით სწორი იყო, ოპოზიცია უსაბუთოდ ებრძოდა მას; ივ. მაჩაბელმაც ობიექტურობა დაკარგა და ამ დიდი აღამიანის ავტორიტეტის შერყევა განიზ.

რახა. ნიჭიერთა „ორთა ჭიდილში“, ივ. მაჩაბელმა „დიდი ორატორული ნიჭი გამოიჩინა“ მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც სასტიკად დამარცხდა. ივ. მაჩაბელი „ათფუთიანს“ იტყოდა, ილია „ოცდაათფუთიანით უპასუხებდა“ და ვერას გახდა, ვერ გაუმჯობესდა, ამ უკვე გამობრძმედილ დიდი კუუის და გამოცდილების სახელმოხვეჭილ მოღვაწეს“ (დ. მესხი, „მოგონებანი“, გვ. 91).

მე, სემინარიის მოწაფე, ერთხელ მოწამე გავხდი ილიას და ვანო მაჩაბელის სასტიკი ბრძოლისა.

ჩემი სემინარიაში შესვლის პირველ — 1888 წელს ილია მე არ მენახა, თუმცა კი ვნატრობდი მის ნახვას. შემდეგ წელს (არ მახსოვს რომელ თვეში) მოწაფეებში ხმა გავრცელდა, რომ თბილისში მაღე მოხდება თბილისის თავად-აზნაურთა ბანკის რწმუნებულთა ყრილობა და ამ ყრილობაზე ოპოზიცია მაჩაბელების (ივანეს და მიშას) მეთაურობით ილიას ბრძოლას გაუმართავსო.

მახსოვს, თუ რა მოუთმენლობით ველოდით სემინარიის ზოგიერთი მოსწავლე ამ მომენტს. თავისთავად გასაგებია, რომ ჩვენ წინდაწინ ილიასადმი ვიყავით თანაგრძნობით და სიმპათიით განწყობილნი. ივანე მაჩაბელი მაშინ ჩვენთვის სრულებით უცნობი იყო (შექსპირის თარგმანები ჩვენ არ გვქონდა წაკითხული და რომც გვქონდა დაფასებას მაინც ვერ შევძლებდით).

დაიწყო ბანკის რწმუნებულთა კრება ქართულ თეატრში. გაკვეთილების შემდეგ ჩვენ ვახერხებდით სხდომებზე დასწრებას. აი, ამ სხდომაზე მე პირველად ვნახე ილია, ისიც შორიდან, ქანდარიდან.

ილიას წინააღმდეგ გამოვიდნენ ოპოზიციის წარმომადგენლები: პირველად გამოვიდა ერთი მოსული,

კარგი თვალ-ტანიდი კაცი. ვიკითხე, ვინ არის მეტეი. მითხვეს მიშა მაჩაბელიაო. კარგად, რიხიანად ლაპა-რაკობდა. ილიას რაღაც უებში ბრალს სდებდა, ამტყუ-ნებდა. ისე დარწმუნებით ლაპარაკობდა, რომ მაფიქ-რებდა, ვაი თუ ილია მართლაც მტყუანი იყოს-მეტეი. ეს - ჩემთვის, მის უაღრესად პატივისმცემელისათვის, დიდად სამწუხარო იქნებოდა. გამოვიდნენ კიდევ სხვე-ბი, ისინიც ილიას მოურიდებლად აკრიტიკებდნენ.

ბოლოს გამოვიდა ივანე (ვანო) მაჩაბელი. ვანო მწვენივრად ლაპარაკობდა, მაგრამ ეტყობოდა, რომ ძალზე ნერვიულობდა და ჩქარობდა. ილიას დაუზოგა-ვად ამხელდა და რაღაც-რაღაც უებში ბრალს დებდა. უნდა გამოვტყდე, რომ ვუსიამოვნოდ უსმენდი. ვატ-ყობდი, რომ ის აჭარბებდა და გარეგნული ეფექტით სურდა შთაბეჭდილება მოხდინა. ბევრი ილაპარაკა და, როცა სიტყვა დაამთავრა, დამსწრეებმა აქა-იქ ტაშიც დაუკრეს.

მე გულის ფანცქალით ველოდი ილიას გამოსვლას. ძლიერ მაინტერესებდა, თუ როგორ იმართლებდა იგი თავს იმ ბრალდებისაგან, რომლებსაც მას უყენებდნენ და თანაც ვშიშობდი, ვაი თუ ილია ამ ბრძოლაში დაამარცხონმეტეი.

გამოვიდა ილია, დინჯად, აუჩქარებლად და დაიწყო ლაპარაკი. დაიწყო წყნარად; მერე თანდათან მოუმატა ხმას; მარჯვენა ხელის ცერი სერთუკის ღილებს შორის ჰქონდა გაყრილი. მარცხენა ხელით იშვიათად და ისიც ძუნწის რხევით უესტიკულიაციას აკეთებდა. ჩემი პატარა და ჯერ კიდევ განუვითარებელი გონებითაც ვატყობდი, რომ ილია დიდის დამაჯერებლობით ლაპარაკობდა და მსმენილებზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა...

რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, როგორც საუ-
ბარი ჩამოვარდებოდა ილიას ამ ისტორიული გამოს-
ვლის შესახებ, დამსწრენი ერთხმად ამბობდნენ, რომ
ილიამ სასტიკად გაანადგურა თავისი განსაცვიფრე-
ბელის ლოლიკით ოპოზიციის ყველა ბრალდებაო.

დამამახსოვრდა გიგა ყიფშიძის ერთი შედარება:
„ილიას,—სთქვა მან,—ულმობელი ლოლიკა ისე ეცე-
მოდა ოპოზიციის ფაქტებზე და საბუთებზე, როგორც
ვებერთელა ურო გრდემლზე, შეუბრალებლად ანადგუ-
რებდა და ნამცეცებად აქცევდა მათო“.

ილიას გამოსვლა მქუხარე ტაშით დააჯილდოვა
დამსწრე საზოგადოებამ. მეც, პატარა სემინარიელი,
აღტაცებული დავბრუნდი „ბურსაში“ და ამხანაგებს
ვახარე ილიას უდიდესი გამარჯვება. არსებითად,
პრინციპულად ვინ იყო მართალი, მე ეს მაშინ არ
მაინტერესებდა. ბედნიერი ვიყავი იმით, რომ ჩემია
ფალავანმა—დიდმა ილიამ მოწინააღმდეგებზე გაი-
მარჯვა...

თავმოყვარე ნიჭიერ ახალგაზრდა ივ. მაჩაბელზე
ასეთმა დიდმა დამარცხებამ, ალბათ ძლიერ იმოქმედა.
მაშინაც ამბობდნენ, რომ ის სახლში ჩაიკეტა, საზო-
გადო საქმიანობას, უურნალისტობას თავი დაანებაო;
ასეც რომ არ მოქცეულიყო, მოღვაწეობის განგრძობაც
რომ გადაეწყვიტა, ივ. მაჩაბელს მაინც საშუალება
და ასპარეზი არ ჰქონდა ამ პერიოდში აქტიურად
ემუშავა; დადუმდა მგზნებარე უურნალისტი, დიდი პატ-
რიოტი და სახალხო საქმის უანგარო მოამაგე. გაჰქრა
და წაიშალა, სერგეი მესხის იმედებიც, რომელთა გან-
ხორციელებასაც ივ. მაჩაბელისაგან მოელოდა. ერთად-
ერთ გაზეთ „ივერიაში“ ივ. მაჩაბელის ხმა მთელი
წლების განმავლობაში არავის სმენია. დამარცხების

შემდეგ მხოლოდ ერთხელ და ისტც სასულიშებრი უკანალ „მწყემსში“, ქართველმა მკითხველმა მოისმინა განიარაღებული და საზოგადო საქმიანობას მოწყვეტილი ივ. მაჩაბლის სამართლიანი, გულწრფელი აღ-სარება.

ივ. მაჩაბლის მოწყვეტა და მოშორება საზოგადო, საერთო, სახალხო ასპარეზიდან რასაკვირველია, შეც-დომა იყო. ამ შეცდომაზე ღალადებს ნიჭიერი ქართ-ველის სიცოცხლის ტრალიკული დასასრული, მისი უკვალოდ გაქრობა. ივ. მაჩაბლის ბედი დღემდისაც აღელვებს ქართველ საზოგადოებას. ის ცდილობს ამ ამბის ახსნას. სხვადასხვა ჰიპოტეზების საშუალებით ეძებს მიზეზს, მაგრამ დღემდისაც ვერ მიუგნია.

ყველაზე უფრო გავრცელებულია ქართველ საზო-გადოებაში ჰიპოტეზა იმის. შესახებ, რომ ვითომც ივ. მაჩაბლის ტრაგედიას, მის უგზოუკლოდ დაკარგვას ოჯახური, ინტიმური ამბავი უდევს საფუძვლად.

ამ ჰიპოტეზის წარმოშობას თავიდანვე თან სდევს იკავის სახელიც, ვითომც მას რაიმე წილი ედოს ივ. მა-ჩაბლის გაქრობაში. სამწუხაროდ, დღემდის ეს ჰიპო-ტეზა ცოცხლობს, არ ქრება, დაინტერესებას იწვევს.

თავდაპირველად საზოგადოება მოელოდა საიდუმ-ლოების გაგებას იმ წერილის გახსნის შემდეგ, რომე-ლიც აკაკიმ წერაკითხვის საზოგადოებას გადასცა წი-ნადადებით: „ჩემი სიკვდილის შემდეგ გახსენითო“. მე, როგორც ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრ-ცელებელი საზოგადოების გამგეობის ყოფილი წევრი პირადი მოწევე ვიყავი ამ წერილის გაღმოცემისა და აკაკის სიკვდილის შემდევ მისი გახსნისაც. წერილი სულ სხვა საკითხებს ეხებოდა, რომელსაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა ივ. მაჩაბლის ბედთან...

საზოგადოება მოელოდა, რომ ცნობილი ბუკინისტი, აკაკისთან დაახლოებული, და მისი წიგნების გამომცემელი სოსიკი მერკვილაძე სიკვდილის წინ ახსნიდა ფარდას ჰიპოტეზით ნავარაუდევ საიდუმლოებას. ელვის სისწრაფით გავრცელდა ხმა, რომ მომაკვდავი სოსიკო მერკვილაძე სასწრაფოდ თედო სახოკიას იბარებს — უნდა მოასწროს რაღაც საიდუმლოების გადაცემაო... ამ შემთხვევამაც ვერაფერი გამოარკვია, ივ. მაჩაბლის გაქრობა დღემდის საიდუმლოებად რჩება.

ზოგიერთი უტყუარი და ცხადი ფაქტების და საერთოდ ივ. მაჩაბლის ცხოვრების გათვალისწინების ნიადაგზე ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ არავითარი ფაქტი არ არსებობს იმის დასამტკიცებლად, თითქოს აკაკის რაიმე კავშირი ჰქონდეს თავის დიდიხნის მეგობრის ივ. მაჩაბლის ტრაგედიაში.

როგორც ცნობილია, აკაკი და ივ. მაჩაბელი მეგობრები იყვნენ. აკაკი ხშირად დადიოდა ივანეს ოჯახში. გაგვიგონია, რომ ძალიან უყვარდათ ერთმანეთთან ნარლის თამაში.

ახალგაზრდობაში ისიც გამიგონია, რომ აკაკისა და ივ. მაჩაბლის მეგობრობა განსაკუთრებით გამტკიცდა იმ ჰერიოდში, როდესაც ილია და ვანო ბანკის საკითხებში ერთმანეთს ებრძოდნენ და ილიამ სასტიკად დაამარცხა თავისი მოწინააღმდეგე. რამაც ივ. მაჩაბელი ჩამოაშორა უურნალისტიკას და საზოგადოებრივ საქმიანობას.

როგორც გამიგონია, აკაკი სასტიკად დამარცხებულ და ამ ნიადაგზე ნერვებაფორიაქებულ ივ. მაჩაბელს, ამხნევებდა, მარტო არ ტოვებდა, მოქმედებისა და ბრძოლისათვის აქეზებდა.

მაგრამ ივ. მაჩაბლის ზნეობრივი, სულიერი, საზოგადოებრივი და ეკონომიკური მდგრადი ამ პერიოდში ისეთი დაძაბული, დაჭიმული და უპერსპექტივო იყო, რომ დიდი მეგობრის თანაგრძნობამ და მხარის დაჭერამაც, ალბათ, ვერ უშველა, ვერ გასჭრა, ნერვები ვერ დაუმშვიდა. უმუშევრობა, უსახსრობა, დიდი ვალი სიცოცხლეს უმწარებდა მას, სოფლის მამული და ამ მამულის შემოსავალი ანგარიშში ჩასაგდებიც არ იყო.

ამ პირობების ზეგავლენით, როგორც ეს ჩანს თანამედროვეთა სიტყვებიდან და მოწმობიდან, ახალგაზრდა, ჯანსაღი ივ. მაჩაბლი მალე გატყდა ფიზიკურადაც. ივ. მაჩაბლის თანამედროვენი მოწმობენ, რომ იგი, რომელსაც ჯერ კიდევ ორმოცი წელი არ შესრულებოდა, ლასლასით, წაბორძიკებით და ისიც ძლიერი შვიათად გაივლიდა გოლოვნის პროსპექტზე თავჩაღუნული და დალვრემილი. ასეთ სულიერ და ფიზიკურ მდგრადი ადამიანისათვის სრულებით საკმარისია სულ უბრალო, შემთხვევით უსიამოვნებაც-კი, რომ მოთმინების ფიალა აევსოს და თავი მოიკლას. მე მგონია, რომ ივ. მაჩაბლის ტრაგედიის მიზე-ზები იყო: „დროების“ მოულოდნელი დახურვა, ის ზნეობრივი ტანჯვა, რაც მან ამის გამო განიცადა; ილიასთან საბედისწერო ბრძოლა და ამ ბრძოლაში სასტიკად დამარცხება, ის დიდი ვალი, რომელიც მას კისერზე დააწვა; ფსიქიურმა თავისებურებამაც და ავალმყოფობამ დააჩქარა კვანძის გახსნა, სამწუხარო ფინალით¹.

¹ აქ გვინდა ვისარგებლოთ შემთხვევით და მკითხველს ერთი პატარა ცნობა მიგაწოდოთ, ივ. მაჩაბლის მოულოდნელი გაუჩინარების შესახებ: ჩვენს ოჯახთან საქმაოდ დააზლოებული იყო ილ. ჭავჭავაძისა და ივ. მაჩაბლის თანამედროვე, „ივერიის“ თანამშრო-

ივ. მაჩაბლის ცხოვრების ზოგიერთი ფაქტის მოკლე ანალიზმაც მე იმ დასკვნამდის მიმიყვანა, რომ არ შევცდები, თუ კატეგორიულად ვიტყვი; არა! აკავის მაჩაბლის ტრაგედიაში ბრალი არ მიუძღვის. ისტორიული და ზეობრივი სამართლიანობა მოითხოვს, რომ ამ ჰიპოტეზას, ან უფრო სწორი იქნება ითქვას, ამ უხამს ჭორს ბოლო მოელოს.

მელი, ძველი ქართველი სახოგადო მოღვაწე ივანე ბუქურაშვილი, რომელსაც ხშირად ვაამბობინებდი გასული საუკუნის ამბებს. მრავალ საინტერესო ამბავთა შორის მან მომითხოვ: ივ. მაჩაბლის გაუჩინარების შემდევ ათასნაირი ხმები გავრცელდა, თუ სად შეიძლებოდა გამჭრალიყო ცოცხალი ადამიანი. ზოგი ფიქრობდა, რომ მაჩაბელი სახლვარგარეთ წავიდაო,—ზოგი ამბობდა მტკვარში დაიბრჩო, ზოგი კი ფიქრობდა, რომ თვითმკვლელობის მიზნით ივ, მაჩაბელი შუალამისას ბინიდან გამოვიდა და მის სახლთან ახლოს მყოფ საკირეში ჩავარდა. დაიწვა და დაითერფლა უკვალდ „მოუსვენარი ვანო“.

ეს ვერსია საკულისხმოა. ვ. მაჩაბელი ცხოვრობდა ახლანდელი ლენინის ქუჩისა და წილკანის ქუჩის კუთხეში მდებარე სახლში. სახლის პირდაპირ ჩადიოდა გზა „პორომისაკენ“—(ეს გზა ახლაც ჩადის და მას გავყავართ სანაპიროზე, საბანაო ბასეინთან). დაღმართხე, მარცხნივ აღმართული კლდის თავზე, სადაც ახლა უხარმაზარი სახლებია წამოჭიმული, იყო გამართული საკირები. ადგილი შესაძლებელია თვითმკვლელობის მიზნით ვ. მაჩაბელმა მართლაც გაწურებულ საკირებს მიაშურა.

ილია ჭავჭავაძე

ილია ჭავჭავაძემ, როგორც ქართული ეურნალ-გა-ზეთების რედაქტორმა, დაუვიწყარი ღვაწლი დასდო-ჩვენს მხატვრულ ლიტერატურას, საქართველოს ის-ტორიას, ქართულ ენას, პუბლიცისტიკას, კრიტიკას და საერთოდ მთელ ქართულ კულტურას.

ილია ჭავჭავაძეს ათეული წლების განმავლობაში ხელთ ეპყრა საჭე ეროვნული ცხოვრებისა; ის იყო მამაცი მებრძოლი, საყვარელი გმირი საქართველოს სახელოვანი და შინაარსიანი ისტორიისა, მისი სახელის და ღირ-სების დამცველი. თავისი მრავალრიცხოვანი პუბლიცის-ტურ-კრიტიკულ-პოლემიკური წერილებით, განსაკუთ-რებით თავის შედევრებით: „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ლალადი“ და „აი, ისტორია“ მან მტრებსაც დაუმტკიცა გონიეროვი სიძლიერე, ღრმა განვითარება და ლოგიკის განსაკუთრებული ძალა. მარადიული და ფასდაუდებელია ილიას მხატვრული შემოქმედების მნიშ-ვნელობა ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი და მდი-დარი მწერლობის მქონე ისტორიაში. სამწუხაროდ, ილიამ შედარებით ადრე შეწყვიტა მუშაობა მხატვრულ-შემოქმედებით დარგში.

პრაქტიკული, მხატვრული თუ თეორიული მოღვაწე-ობით ილიამ მოუმზადა „მომავალი ხალხს“, გამოაფხიზლა-

და გაათვითცნობიერა იგი. პრესის — ურნალ - გაზეთების საშუალებით მან აგრძნობინა ხალხს, რომ აწმყო თუ არა სწავლობს, მომავალი მაინც მისია.

ილიამ დანერგა იმედი სამშობლოს აუცილებელი აღორძინებისა, უძველესი კულტუროსანი ქართველი ხალხის ეროვნული სულის უკვდავებისა.

რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ილიას ხელმძღვანელობით გამომავალი ურნალ - გაზეთები შეუწყვეტლივ, სისტემატურად, შესაძლებლობის ფარგლებში, გამედულად იცავდნენ ხალხის საუნჯეს — ენას, ისტორიას, კულტურას, ქართველი ხალხის სახელსა და დიდებას.

ილიამ, როგორც რედაქტორია, გარს შემოიკრიბა ეროვნული განმათავისუთავებელი იდეებით გაუღენთილი ნიჭიერი ახალგაზრდობა და საკუთარი მაგალითით უჩვენა, თუ როგორ უნდა ბრძოლა ხალხის სკეთილდღეოდ, ერის წმინდათა წმინდა ლირსებების დასაცავად.

ილიას მოღვაწეობის ეს მხარე, მისი შემოქმედების (დიახ, შემოქმედების) ეს პერიოდი, — ილიას რედაქტორობა, — ჩემის რწმენით, არანაკლებ დასაფასებელი და მნიშვნელოვანია, ვინემ მისი მხატვრული შემოქმედება.

არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ილია მხოლოდ თავისი ლირიკით და მხატვრული ნაწარმოებებით ვერ დააჩრდილავდა ისეთ უაღრესად ნიჭიერ მხატვრებს, როგორიც იყვნენ: აკაკი, ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა და სხვ., რომ მას უდიდესი ნიჭი პუბლიცისტისა არ მოემარჯვებინა და იმის გამოყენებით მეცხრამეტე საუკუნის ქართული აზროვნების ბელადი არ გამხდარიყო. ილიამ XIX საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრება აღავსო, როგორც რეალის-

ტურად შექმნილი მხატვრული სახეებით, ისე მოწინავე იდეებით, აზრებით და პრაქტიკული საქმიანი მოღვაწეობით.

ქართული პრესა „უივერიოდ“ უაღრესად გაღარიბდებოდა; ჩვენ არ გვექნებოდა ანტიკრიტიკის ისეთი, შეიძლება პირდაპირ ითქვას, მსოფლიო შედევრი როგორცაა: „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღალადი“, „აი, ისტორია“, ან, თუ გნებავთ „ცხოვრება და კანონი“ და სხვა.

ჩვენ, პირადად, ბევრი საბუთი გვაქვს იმის დასამტკიცებლად, რომ ილია მართლაც დიდი მოაზროვნე იყო, მაგრამ აქ პირველ რიგში სიტყვას მივცემთ ისეთ ადამიანს, რომელიც ილიასთან დიდხანს მუშაობდა და კარგად იცნობდა მას. ეს ადამიანი (ი. მანსვეტაშვილი) ილიას არ აიდეალებდა; პირიქით, კარგად ამჩნევდა მისი ხასიათის ზოგიერთ ნაკლს, რაც მან მოურიდებლად აღნიშნა კიდეც თავის „მოგონებებში“.

აი, რას წერს მანსვეტაშვილი ილიას არაჩვეულებრივი გონებრივი სიძლიერის შესახებ: „დაუვიწყარ და განუმეორებელ სანახაობას წარმოადგენდა ილია. უნდა გენახათ მისი აღფრთვანებული სახე, ანთებული, ცეცხლის მფრქვეველი თვალები, რომ დარწმუნებულიყავთ, თუ რა სულიერ და ჭკუის ძალას შეიცავს ეს დიდბუნებოვანი ადამიანი. მისი ნათქვამი არ იყო უბრალო, უაზრო სიტყვების რახა-რუხი, ყურაის მოსატყუებელი უღერანი ეჯვნებისა, თვალის ასაბმელი შუშხუნა. ყოველ მის სიტყვაში ჩაქალვილი იყო აზრი და ასე აზრი მის-დედა უსოს და არა სიტყვა სიტყვას. შენ თვალწინ იბადებოდა რაღაც სასწაულებრივი მოქმედება: ხედავ-დი, რაღაც დაუშრეტელი წყაროდან მომდინარეობს აზრების ნაკალული და არ გინდა თვალი და ყური მო-

შორო ამ გულწარმტაც მოვლენას. სულგანაბული ელი, აბა ამ აზრს რა აზრი მოყვება, და ასე დაუბოლოებლად. გიხარიან, რომ აზრი ცვლის აზრს და არა სიტყვა სიტყვას. გიხარიან იმიტომ, რომ სიტყვას შენც მოსძებნი შესიტყვების საგანძურში, სიტყვების მძივებად ასხმას შენც მოახერხებ, სხვაც შესძლებს; და ის აზრების დაუშრეტელი აუზი კი ბევრს არ მოეპოვება. ამისთანა სიმდიდრის მქონე ორი შემხვედრია ჩემს ხანგრძლივ სიცოცხლეში; ილია ჭავჭავაძე და შენდელევით. დიდ ბეღნიერებად უნდა ჩაეთვალოს ადამიანს ნახვა და მოსმენა ასეთ დიდბუნებოვან ადამიანების“ (ი. მანსვეტაშვილი „მოგონებანი“, გვ. 83).

და ასეთი აზრების დაუშრეტელი ნაკადულის პატრონი რედაქტორის გულწარმტაც და ბრძნულ სიტყვებს უსმენდა და კითხულობდა ქართველი საზოგადოება რამდენიმე თეული წლის განმავლობაში.

ილიას აზრების „დაუშრეტელი აუზი“ შეუტრცელს უკლავდა ყველა გათვითცნობიერებულ ქართველს.

დაულალავი მუშაკი იყო ილია. ასეთსავე მუშაობას მოითხოვდა ის გაზეთის თანამშრომლებისაგანაც.

როდესაც ილიამ თავისი უურნალი „ივერია“ ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთა, ყველას ეგონა, რომ იგი, როგორც განსაკუთრებით დინჯი, აუღელვებელი, ცოტა არ იყოს მოზარმაცო. უკვე ხანში შესული ადამიანი, ვერ შესძლებდა ყოველდღიურ დაძაბულ სარედაქციო მუშაობას. ივ. მაჩაბელმა პირდაპირ და მოურიდებლად უთხრა ილიას: „საგაზეთო მუშაობა სრულებით შენი საქმე არ არისო“, მაგრამ წინაგრძნობა არ გამართლდა.

„ივერიაში“ ილია ისე მუშაობდა, „გეგონებოდათ ოცი წლის ჭაბუკიაო, ორი-სამი საათიც რომ ყოფილი ყო ლამისა, ძილი და მოსვენება ფიქრადაც არ მოუვი-

დოდა, ვიდრე ახლად დაბეჭდილს, სველ-სცელ-გაზეთს არ მოუტანდნენ. რა სიამოვნებით, რა სიხარულით გადაიკითხავდა ხოლმე ნომერს.

მუშაობდა ილია გატაცებით, თუმცა თანამშრომლებს აფრთხილებდა „ყმაწვილებო, არ მიღალატოთ, თორემ ხომ იცით, თუ პაჭიშ ერთი წვერი მოერლვა, გათავდა; პაჭიში ბოლომდე ჩაირღვევა, მისი შველა შეუძლებელია. მეც ასეთი თვისება მაქს; მე შუა გზაზე დადგომა არ ვიცი. ამასაც გეტყვით: კამეჩის ჯიშისა ვარ, რაც გინდა მძიმედ დატვირთული ურემი იყოს, უკან არ დავიხევ, ხრამიდგანაც ამოვიტან, თუ უღელში შესაფერი ტოლები მეყოლებიან, მხარს დამიჭერენ. მაგრამ ოჩანი ცხენის ზნეცა მჭირს: თუ ერთი შევდექი, დავოჩნდი, — გათავდა; მერე კეტებით რომ მცემოთ, წინ ფეხს ველარ გადამადგმევინებთ“ (ი. მანსვეტაშვილი, „მოგონებანი“, გვ. 85).

ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმის შესახებ, თუ რა დიდი გაჭირვება ელობებოდა წინ ქართულ გაზეთს და მის რედაქტორს სამოცდაათიან წლებში.

ქართული გაზეთის გამოცემა ილიას რედაქტორბის დროსაც ადვილი საქმე არ იყო. რედაქტორს უნდა გაევლო მეტად ეკლიანი გზა. ჩვეულებრივი სილარიბე სულს უხუთავდა რედაქტორის. რედაქტორის ორიოდე მუდმივი თანამშრომელი შიმშილსა და წყურვილს განიცდიდა. გაზეთის თანამშრომლები ჰონორარს არ იღებდნენ. რუსის მოხელეები ქართველ პატრიოტებს მტრულად უყურებდნენ. გადაგვარების გზაზე დამდგარი ქართველი თავად-აზნაურობა გაზეთის მიმართ უბრალო გულგრილობას როდი ჯერდებოდა, პირიქით, კილავ-დნენ და ლანძლავდნენ ქართულ გაზეთს, მის მუშაკებს. საშინელი და სახიფათო იყო მაშინდელი ცენზურა,

რომელიც ყოველ დღე მაჯლაჯუნასავით გულშე აწვაშე გაზეთს.

„ცენზორად, ანუ უკეთ რომ ვსოდვათ, ქართული მწერლობის ჯალათად დანიშნული იყო მაშინ ლუკა სტეპანიჩ ისარლოვი. ეს კაცი იყო ქონდრის ტანისა, ბაჯაჯლანა, მახინჯი სულითაც და ხორცითაც, წვერულვაშ მოპარსული, ფლიდი ენის პატრონი... რომელ არხივში გამონახეს და გამოამზევეს ეს არაკაცი არ ვიცი. ის კი ყველამ ვიცოდით, რომ ეს წყალობა მიიღო და ამით ქართული მწერლობა გააძელნიერა ლევან მელიქიშვილმა....“

ლუკა ნამდვილი ძველი დროის პოლიციელი იყო: გულით გაქვავებული, ჭკუით გამოფიტული. ვერც შენი წრფელი სიტყვა, ვერც შენი საღი სჯა, ვერც ხვეწნა და მუდარა ვერ მიაღწევდა იმის გულსა და ტვინსა. მას სწამდა და სჯეროდა მხოლოდ ნება და ბრძანება თავისი წარმომავლენისა, დანარჩენს კი იმისთვის ერთი ბისტის ფასიც არ ჰქონდა“ (ი. მანსვეტაშვილი, „მოგონებანი“, გვ. 87 — 88). აი, ამისთანა კაცთან უნდა ჰქონოდა საქმე ილია ჭავჭავაძეს, როგორც რედაქტორს.

ილია და მისი ერთგული თანამშრომლები საქმის დიდი სიყარულით, შრომით, წვით და დაგვით მომზადებულ გაზეთს უგზავნიდნენ „არა კაცს“ — ცენზორს. დიდი ილია — ეს აზროვნების გოლიათი და უდიდესი მამულიშვილი და მისი თანამებრძოლები „გულის ცახცახით“ ელოდნენ, თუ რა სახით დაუბრუნებდა მათ ცენზორი გაზეთს. „აგერ მოგვიტანეს გაზეთიც — დავხედავდით და გულს ელდა ეცემოდა. გაზეთი გაზეთს აღარ ჰვანდა. სულ წითელი მელნით იყო შეთუთხნული, ჯვარედინად გადახაზულ-გადმოხაზული. ეს იმას ნიშნავდა, რომ წითელი ხაზებით გადაჯვარედინებული აღგილები უნდა

ამოგველო და სხვა რითიმე შეგვევსო. ეს ჰარტიული აღ-ქანი ვილი იყო. დავლონდებოდით, დავძმარდებოდით, — გა-ზეთის ამგვარად გამოშვება შეუძლებელი იყო: მოც-დენილ ყანას მოგაგონებდათ ალაგ ალაგ, რომ მოტიტვ-ლებული ადგილები ჩანს, ილია თავს მოიკლავდა, ისე დამახინჯებული გაზეთი საქვეყნოდ გამოტანილი, რომ ენახა. დაგვეტოვებინა ცარიელი ადგილები და შენიშვ-ნა მიგვეცა, რომ „საცენზურო“ პირობების გამო გა-ზეთი ამ სახით გამოდის, — ნება არ გვქონდა კანონის ძალით... შეიძლებოდა კიდევ სხვა გზით შველა. ამგვარ შემთხვევისათვის დამზადებული და აწყობილი გვქონდა სათადარიგო მასალა, რომელსაც ჩავაკვეტებდით ხოლმე წაშლილების ალაგას. იყო კიდევ მესამე გზაც: წავსუ-ლიყავით ცენზორთან და ხელში, ან მუდარით დაგვერ-წმუნებია, რომ წაშლილ ადგილებში არავითარი საშიშო და საწინააღმდეგო ვისიმე არ მოიპოვებოდა“.

ცენზორის კლანჭებში მომწყვდეულ „ივერიას“ და მის რედაქტორს ხშირად უხდებოდა შეშილები ხასიათის განცხადების გაკეთება: „ყველამ კარგათ ვიცით, რომ ჩვენში ძლიერ ძნელი მოსახერხებელია თავისუფლად ლაპარაკი ზოგიერთ საინტერესო საგანზედო“.

უდავოდ კეთილშობილური თავგანწირვა იყო ილიას მხრივ ცენზურის გააფთროებული წინააღმდეგობის პერი-ოდში მწვავე პამფლეტური ტონით იმის თქმა, რომ „ადამიანს სიტყვა აზრისათვის არა აქვს მინიჭებული, არამედ იმისათვის, რომ დიდმა თქვას: — „მე შენ გიბრ-ძანებ და ხმა უნდა გაიკმინდოო“ და პატარამ მიუ-გოს: — „მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ ენა მუცელში ჩამივარდა ბრძანებისამებრ თქვენისაო.“

მაგრამ, რა თქმა უნდა, არც ისე ადვილი იყო „ბრძანებისამებრ“ ილიას და მისი „ივერიის“ დადუ-

მება. ნაცვლად ქედის მოხრისა და მოკრძალებისა, „ივერიის“ რედაქტორი დაცინვით პასუხობდა ცენზურის შემოტევას: „ლმერთი, რჯული, ტყუილად ვემდურებით ცენზურას. აი, ბატონებო, ყირიმში რაღაცა ფილმებსერა გაჩენილა. ერთი თვალად უჩინარი მწერი. გარწმუნებო, რომ ცენზურა ყოველთვის ნებას მოგცემთ იმაზე თამამათ სწეროთ. იმათში თურმე არც ჩინებია, არც მუნდირები, მაშასადამე იმათში არავის უფლება არა აქვს იწყინოს რაპე“. ილია დიდ ყურადღებას იჩენდა სარედაქციო მუშაობაში. დიდად აფასებდა გაზეთის თანამშრომლებს: გიგა ყიფშიძეს, სტეფანე ჭრელაშვილს („სანოს“) ალექსანდრე ნანეიშვილს, ილია ხონელს, იაკობ მანსვეტაშვილს, ნ. ხიზანიშვილს (ურბნელს) არტემ ახნაზაროვს და სხვებს. ყველა ესენი ერთგულად და გატაცებით ეკიდებოდნენ საერთო საგაზეთო საქმეს. ასეთი გატაცებული მუშაობის მაგალითს იძლეოდა თვით რედაქტორი. ილია საქმის სულის ჩამდგმელი, გზის მაჩვენებელი, ენის მასწავლებელი იყო. უკვე ხანში შესული პოეტი ახალგაზრდული ხალისით, გატაცებით მუშაობდა თანამშრომლებთან ერთად. სულ იმას ცდილობდა, რომ ყველასთან შეთანხმებით ემუშავნა: გაზეთს ერთი სული ჩადგმოდა, ერთი მიმართულება ჰქონოდა, ილია მეტადრე მტკიცედ იცავდა ენის სიწმინდეს, სიფაქიზეს, ქართულობას „რა ენა წახდეს, ერიც დაეცესო“. უყვარდა ამ სიტყვების განმეორება (ი. მანსვეტაშვილი, „მოგონებანი“, გვ. 88).

„ამიტომაც იყოო, — იგონებს მანსვეტაშვილი, — რომ არც ერთი წერილი, დიდი თუ პატარა, არც ერთი ფელეტონი. არც ერთი კორესპონდენცია ისე არ გაიგზავნებოდა სტამბაში ასაწყობად, ვიდრე მთელი სიგრძე-სიგანით, ძირიან-ფესვიანად არ გადავათვალიერებ-

დით, არ გავრანდავდით. ვისხედით ღამის ორ საათამ-
დის და გულდასმით ვასწორებდით, ვამზადებდით მასა-
ლას დასაბეჭდად“ („მოგონებანი“; გვ. 77).

პირადად ილია ნიჭიერი პუბლიცისტის ილია ხონე-
ლის ფელეტონებს დიდ ყურადღებას აქცევდა და გაუს-
წორებლად, გაუსინჯავად არ გაუშვებდა სტამბაში.
ილიას ხონელის მიერ უცხო სიტყვების—ბარბარიზმის
ხშირი ხმარება ეუცხოებოდა, არ მოწონდა. „აბა, ჩემო
სეხნიავ, — მიმართავდა ილია ხონელს, — რა მოგიტა-
ნიაო“. აიღებდა მის წერილს ხელში და დაუწყებდა
ქართულად მონათვლას.

დამსწრე თანამშრომლებს უკვირდათ, რა დაუშრე-
ტელი წყაროდან მომდინარეობდა ის საოცარი ცოდნა
ქართული ენისა, რომელსაც ილია აქ გამოიჩენდა ხოლ-
მე. შევიდოდა სიტყვების სივრცე-სილრმეში, დაიწყებ-
და მეტყველების სალაროში კვლევა-ძიებას, ძებნას
მალული ძალებისას და ქართული ენის სიმდიდრიდან
ისეთს მარგალიტებს გამოალაგებდა, რომ მსმენელი გან-
ცვიფრებაში მოჰყავდა... და ასე გამართული, ქართულ
ნათელმირონ ცხებული, სმენის დამტკბობი, ჯადოს-
ნურად შეცვლილი ხონელის ფელეტონი სტამბაში მიემ-
გზავრებოდა.

ილია, როგორც რედაქტორი, დიდ სიმკაცრეს იჩენ-
და წერილების განხილვისა და დაბეჭდვის დროს.

„გაზეთის უმეტესი დანიშნულება,—ამბობდა ილია,—
ის კი არ არის, რომ ზოგადი სიტყვებით აუწყოს მკითხველს
რომელიმე ამბავი, არამედ იმაში, რომ ეგ ამბავი ყოვე-
ლი მხრით აწერილი იყოს, რათა მკითხველს სრული
სურათი წარმოუდგეს საგნისა. ამით მკითხველს საშუა-
ლება ეძლევა თვით შევიდეს განსჯასა და მოქმედებაში“.

ვისაც ძველი „ივერიისათვის“ თვალი უდევნებია, ან მისი კომპლექტები შემდეგში მაინც გადაუთვალი-ერებია, უსათუოდ შენიშნავდა, რომ „ივერიაში“ ლექ-სები ძლიერ იშვიათად იბეჭდებოდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ ილია ძალიან მკაცრად და სასტიკად ეკიდი-ბოდა ლექსებს და ბევრს სთხოვდა მოლექსეს. გაზეთ „ივერიას“ არც აკაკის და არც ილიას ლექსების ნახვა არ ღირსებია. რაც შეეხება ქართულ ხალხურ და ვაკა-ფშაველას ლექსებს, ამათ ყოველთვის დიდი ადგილი ეთმობოდა გაზეთში. იბეჭდებოდა „ივერიაში“ დრო-გამოშვებით დავითაშვილის ლექსებიც.

ილია ხშირად მოაკონებდა რედაქციის თანამშრომ-ლებს შოთას სიტყვებს.

„თავი ყველას ნუ გონია
 მელექსეთა კარგთა სწორი,
 განაღა სთქვას ერთი — ორი,
 უმზგავსო და შორი შორი“.

და ურჩევდა მათ: „თუ ლექსში შეგხვდეთ სიტყვე-ბი: „ფიგურა, ვარდი, ბულბული, მთვარე და სხვა ამი-სთანები, ბოლომდე ნულარ წაიკითხავთ, გვერდზე გადა-აგდეთ, დროს ნუ დაკარგავთ. ეს ლექსი კი არ იქნება, არამედ უსაქმო კაცის ნაცოდვილარი, ლექსად ნაჯ-ლაბნი“-ო.

იყო ქართველი საზოგადოების ზოგიერთი წევრი, რომელსაც „ივერიის“ ენა არ მოსწონდა: „გაზეთს ენა არ უვარგა, ეკლესიურიაო, ამბობდნენ. ზოგ შეუგნებელს „მგზავრის წერილების“, „გლახის ნაამბობის“ და ბო-ლოს „ოთარაანთ ქვრივის“ ენა, მისი ბრწყინვალება, სიუხვე და სიმდიდრეც არ მოსწონდა.

„ეს კიდევ რა განყოფილებები შემოიღეს გაზეთში: „დამაკვირდი“, „ნარკვევები“, „ნაკვესი“. ეს სადაური ქართულიაო?“ სისინებდნენ უნიჭო ლიბერალები.

ილია ასეთ „პრუწია-წუნია მკითხველისათვის“ კი არ ზრუნავდა, როდესაც უძილო ლამეებს ანდომებდა „ივერიის“ გამოშვებას. „ილია უფრო მდაბალ ქართველ მკითხველისათვის ზრუნავდა. ილიამ კარგად იცოდა ქართველი კაცის ფსიქიური ბუნება, მისი სულიერი მოთხოვნილება; იცოდა, რომ ქართველ კაცს დიდად მოსწონს მოკლედ, ლამაზად, მოჭრით გამოთქმული ჰკვიანი აზრი. ამიტომ თითონ ილიაც ბევრს წერდა ამ „დამაკვირდისათვის“ (ი. მანსვეტაშვილი, „მოგონებანი“, გვ. 113).

ილია განსაკუთრებულ ყურადღებას შინაურ მიმოხილვაზე ამახვილებდა. „შინაური მიმოხილვა იმისთანა საგანია გაზეთისათვის,—ამბობდა იგი,—როგორც სარკე ადამიანის სახისათვის. ჩვენი ფიქრით არცერთი ნაწილი გაზეთისა ისე ნათლად და ცხოვლად არ დაიმჩნევს ხოლმე გაზეთის სულსა და გულს, გაზეთის გულითადს რწმენას, ფერსა, მიმართულებასა, როგორც ის ნაწილი, რომელსაც წილად ხდომილი აქვს „შინაურთა საქმეთა“ გამოკვლევა და გამოძიება. ამ გამოძიებაზედ ხელის აღება თავზედ ხელის აღებაა გაზეთის მხრით“.

ილია ჭავჭავაძის, როგორც მწერლის, მოაზროვნის, საზოგადო მოღვაწის, განსაკუთრებით რედაქტორის როლი დიდი იყო მთელს საქართველოში. არც ერთი თვალსაჩინო, კულტურული, ეროვნული საქმე ისე არ დაიწყებოდა, რომ ილიას არ დაკითხოდნენ, მისი აზრი, შეხედულება არ გაეგოთ, ან სათავეში არ ჩაეყენებინათ. კულტურულ-ლიტერატურულ-ისტორიულ საკითხებში ილია ერთგვარი არაოფიციალური კანონმდე-

ბელი იყო. ქართველობა ბევრჯერ დარწმუნდა ილიას დამჯდარი ჭიუის და დიდი ცოდნის ძალაში.

ილია, როგორც რედაქტორი, მტკიცე და შეუპოვარი დამცველი იყო ერის კულტურული საუნჯისა, იგი ამ საუნჯის არამც თუ ძაგებას, უპატივცემულოდ ხსენებასაც არავის, უახლოეს მეგობარსაც კი არ აპატიებდა. გავახსენებთ მყითხველს ერთ ცნობილ ფაქტს.

ციმბირილან დაბრუნებულმა ჯაბადარმა, ილიას კარგმა მეგობარმა, რედაქტორის ერთ-ერთ კრებაზე განაცხადა, რომ მას აქვს დაწერილი რუსულად წერილი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ და უურნალ „Северный Вестник“-ში აპირებს დაბეჭდვას, მაგრამ წინდაწინ უნდა „ივერიის“ რედაქტორის წევრებს წაუკითხოს.

მართლაც, ავტორს მოუტანია და წაუკითხავს თავისი წერილი „ივერიის“ რედაქტორიაში. სხვათა შორის, ჯაბადარი უკიუინებდა ნესტან-დარეჯანს და ტარიელს პასივობას, უძრავად, გულხელდაკრეფით ჯდომას, განუწყვეტელ ჩივილს, წუწუნს და ცრემლის ღვრას, ცხადად ემჩნეოდა, რომ ავტორს სურდა რუსთაველის გმირები ისე პოეტულიყვნენ როგორც, მაგალითად გმირები ჩერნიშევსკის რომანის: „Что делать?“

„ილია თავისებურად გაცხარდა, — მოგვითხრობს ამ საქმის მოწმე იაკობ მანსვეტაშვილი, — და გაცეცხლებულმა უთხრა: არა, ბატონო ივანე, ჩვენ ეგრე აღვილად ვერ დაგითმობთ რუსთაველს. დლევანდელი რუსული კრიტიკის თვალთა ხედვის ისრით ვერ გაიზომება „ვეფხის-ტყაოსანი“. ამას მეტი დაფიქრება, მეტი მოსაზრება უნდა. რუსული კრიტიკის ზენაქვერული ნავარდობა აქ არ გამოდგება. აქ უფრო ღრმად უნდა საქმეს ჩახედვა. ვისაც რუსთაველზე წერა უნდა, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეითვისოს იგი არა ჭიუით

მხოლოდ, არამედ, გულითაც, უნდა იგრძნოს მისი გმირების სულისკვეთება, ჩასწვდეს გულის სილრმეს, იგრძნოს მისი მაჯის ცემა. ეს იქნება ქართველი კაცის ნამდვილი სულისთქმა, მისი რწმენა, მისი სამართლიანი განსჯა და არა სკაბიჩევსკის კრიტიკა“... (ი. მანსვეტაშვილი, „მოგონებანი“, გვ. 93).

მიუხედავად ასეთი სამართლიანი მხილება-დარიგებისა, ჯაბადარმა მაინც დაბეჭდა რუსულ უურნალში თავისი წერილი. ილიამ „ივერიაში“ არა ერთხელ ამხილა გულისწყრომით ივ. ჯაბადარის ამ წერილის უსუსურობა.

საერთოდ, ილია უოველთვის ერიდებოდა „ივერიის“ ფურცლებზე უპრინციპო პოლემიკის გამართვას. „ილია,—აღნიშნავს ს. მგალობლიშვილი,—ძალიან მორიდებული იყო გასაკიცხი წერილების ბეჭდვისას, იმ წერილებისა, რომელიც გამოიწვევდა „უკბილო“ პოლემიკას და რედაქციას რამე ჩრდილს მიაყენებდა. „რედაქცია,—იტყოდა ხოლმე ილია,—იგივე წმინდა ტაძარია, ის უჩირქო უნდა იყოს და პირნათლად უნდა ემსახურებოდეს ქვეყანასაო“.

როგორც ცნობილია, ილია ახალგაზრდობიდანვე გულწრფელად, მოურიდებლად ამხელდა და კიცხავდა შინაური მტრების, გადაგვარებული ან გადაგვარების გზაზე დამდგარი ქართველების ულირს და ერისათვის მავნე საქმეს და საქციელს. ეს ულირსი მამულიშვილი ილიას წინააღმდეგ აშკარად გამოსვლას ვერ ბედავდნენ, ჩუმად კი სისინებდნენ: „ილია ქართველებს ცილს წამებს, გვამცირებს, ძირს გვითხრის, ჩვენ ნაკლულევანებას არ მალავს, მასხარად გვიგდებს და ამით მტერს ახარებს“-ო.

ვიცით ისიც, თუ როგორ უპასუხა ილიამ ამ „მოსისინე“ „მამულის შეილებს“:

„ჩემზე ამბობენ: „ის სიავეს ქართლისას ამბობს, ჩვენ ცუდს არ მალავს, — ეგ ხომ ცხადი სიძულვილია“ ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე გრძნობს ამ სიძულვილში რაოდენი სიყვარულია“.

არა, ილიას როდი ძულდა „დაცემული“, „ცოდვილიანი“, „დამნაშავე“ თავისი მოძმე. ის ლმობიერად, გულისტკივილით ეპყრობა ცხოვრების უკუღმართობით ზნეობრივად დაავადებულებს. მის „სიძულვილში“ დიდი „სიყვარულია“ ჩაქსოვილი.

სულ სხვანაირად ებრძვის ილია გარეშე მტრებს, რომლებსაც მიზნად დაუსახავთ მისი „წმინდათაწმინდის“ — „ქართლის ბედის“ შეურაცხყოფა და გამასხარავება. აქ ილიამ შებრალება არ იცის; ის სასტიკი და ულმობელია; მისი სიტყვა მტერს ხვთის რისხვად ევლინება.

როგორც ცნობილია, შავრაზმელმა რედაქტორმა კატკოვმა „Моск. Ведомость“-ში (იმის გამო, რომ „სამშობლოს“ დადგმის დროს სცენაზე ქართული დროშა გაშალეს და ამან გამოუთქმელი აღტაცება გამოიწვია თეატრში) უშვერი და უტიფარი სიტყვებით შეურაცხყო ქართველი ერის თავმოყვარეობა და ცინიკურად განაცხადა: „ქართველებმა თავი უნდა დაანებონ სიზმრებს, ბოდვას და როტვას ქართველთა რაღაც წარსულზე; ურჩევ მათ ეხლა ეს ქართული დროშა გოდურუას ცირკს ჩააბარონ, იქ ჯამბაზები და ტაკიმასხარები უკეთ გამოიყენებენო“.

ილია არ შეუშინდა არც მთავრობას, არც ცენზურას და მისთვის ჩვეული ლოგიკის სიძლიერით და სიმძაფრით გასცა პასუხი თავის გაზეთში კატკოვს — რუსეთის მოწინავე აზროვნების ჯალათს, პროგრესული იდეების სულთამხუთავს. და თუ სინდისისა და პატიო-

სნებისაგან დაცლილი კატკოვი ილიას მძღავრმა წერილ-
მა ვერ გადაარჯულა, „ქართველს მაინც გული მოფ-
ხანა, აგრძნობინა, რომ ის გაჭირვებაში მარტო არ-
არის, რომ მას მოეპოვება ძლიერი მოთავე და ნამ-
დვილი ბელადი, დამცველი“ (მახსვეტაშვილი, „მოგო-
ნებანი“, გვ. 132) კიდევ ერთი მაგალითი.

კავკასიაში ყოვლად ძლიერმა და ქართველების დაუ-
ძინებელმა მტერმა, განათლების მჩრუნველმა იანოვ-
სკიმ, ერთი კალმის მოსმით განიზრახა სკოლებში ქარ-
თული ენის მოსპობა. ამ ამბავმა დიდ საგონებელში
ჩააგდო ქართველი საზოგადოება. ქართველებს მაშინ
ყავდათ ცნობილი და ნიჭიერი პედაგოგები, მწერლები,
ისტორიკოსები, პუბლიცისტები; მათ შორის განსაკუთ-
რებით გამოირჩეოდა იაკობ გოგებაშვილი, ქართული
ენის სახელმძღვანელოების შემდგენელი, მას ცოდნაც
დიდი ჰქონდა და კალამიც ძლიერ უჭრიდა, მაგრამ
ვერც ერთმა მათგანმა ვერ იკისრა საბრძოლველად გა-
მოსვლა. თვალი კი მათ და საერთოდ მთელ ქართველ
საზოგადოებას ილიასაკენ ეჭირა, თუმცა-კი კარგად
იცოდნენ, რომ ილია სპეციალობით იურისტი იყო და
პედაგოგიკა მისთვის შედარებით უცხო იყო.

„გაგვიძეხ, ბერო მინდიავ! კარს საფრთხე მოგვდგო-
მიაო“, გასძახეს, გათელვას გვიპირებენ, ენას პირიდან
გვაგლეჯენ, შენ უნდა გვიხსნაო“.

ილია დინჯად ჩაუჯდა წიგნებს, საკითხი ღრმად
შეისწავლა, თავისი გამჭრიანი გონების ცხრილში გა-
ატარა და დაწერა ისეთი წმინდა პედაგოგიური ხასია-
თის წერილი, რომელმაც პედაგოგებიც კი გააკვირვა.

ამ შესანიშნავმა წერილმა („ბ-ნ. იანოვსკის წერილის
გამო“) ხელ-ფეხი შეუკრა იანოვსკის და თავის განზრა-
ხვა გადაადებინა. აღნიშნავს რა ამ ფაქტს, მანსვეტა-

შვილი შემდეგ დასკვნას აკეთებს: „ასეთია დიდ ბუნებოვანი ადამიანის თვისება: რაღაც შთაგონებით ჩაწვდებიან ისეთ სილრმეს და იქიდან ისეთს ძვირფას მარგალიტებს ამოკრეფენ, რომელიც სხვებისათვის, თვით სპეციალისტებისათვისაც კი, სრულიად მიუწდომელია“.

ილია, დიდ ყურადღებას აქცევდა პოლემიკას და თანამშრომლებს ასწავლიდა პოლემიკის წარმოების წესებს. ა. ახნაზაროვის გადმოცემით ილიას არა ერთხელ უთქვამს: „გაზეთის ფურცლებზე საპოლემიკო წერილით გამოსვლა იგივე ოშია და ვიდრე ამ ომს დაიწყებდეთ საკამათო საგანი კარგად უნდა შეისწავლოთ, გაითვალისწინოთ თქვენს მოკამათეს რა პასუხის მოცემა შეუძლიან და ამ იმის პასუხსაც ამ თავითვე პასუხი მოუმზადოთ. ერთი სიტყვით გარშემო ზარბაზნები უნდა შემოიწყოთ“ -ო.

ბევრჯერ გვითქვამს და აქაც უნდა გავიმეოროთ, რომ პოლემიკურ წერილებში ილიამ გამოიჩინა პირდაპირ განსაკუთრებული ცოდნა ქართული და მსოფლიო ისტორიისა და დაუძლეველი ლოგიკა.

ილიასთან დიდხანს ნამუშევარი, მისი ხასიათის, ზნე-ჩეეულების, შრომის და წერის სტილის კარგად მცნობი იაკობ მანსვეტაშვილი, სხვათა შორის, ასე ახასიათებს ილიას შემოქმედს, ილიას მებრძოლს:

„სხვანაირად წარმოგიდგებოდათ ილია შემოქმედების დროს: თვალები ცოტა მიბნედილათ, ლმობიერად, ზეალმაცქერით გამოიყურებოდნენ, ტუჩებზე რაღაც ნეტარების ლიმილი უთამაშებდა, სახე ნაზად განათებული ჰქონდა, იფიქრებდით, სახე შარავანდედით აქვს დაგვირგვინებულიო.

სულ სხვა იყო ილია, როდესაც საბრძოლველად გამოვიდოდა მტრის წინააღმდეგ. მაშინ ის მოგაგონებდათ გააფთრებულ, განრისხებულ ლომს: სახეზე აღმუ-

რი ასდიოდა, თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდა, და ვაი იმას, ვისაც მისი ტორები, ბასრიანი ბრჭყალებით მოხვდებოდა დიღხანს დაახსოვდებოდა და მეორედ მასთან ბრძოლას ადვილად ვეღარ გაბედავდა“ (ი. მანსვეტაშვილი „მოგონებანი“, გვ. 84).

„ივერიის“ სარედაქციო კოლეგიის კრებებზე, რომელიც ილიას თავმჯდომარეობით იმართებოდა, გარდა ლიტერატურული საკითხებისა, საქართველოსათვის ბევრი სხვა საჭირობოროტო საკითხი ირჩეოდა. ილიას დიდად აწუხებდა ქართველი ხალხის, მისი მშრომელი ნაწილის, განსაკუთრებით გლეხობის ეკონომიური უმწეობა, სიღარიბე. მაგრამ როგორ უნდა გაეუმჯობესებინა მდგომარეობა მოწინავე ქართველ ინტელიგენციას, ეს ნათლად და საფუძვლიანად არ იყო გამორკვეული. ერთ რამეში კი „ივერიის“ სარედაქციო კოლეგიის წევრები შეთანხმებულად მსჯელობდნენ და აზროვნებდნენ: ზრუნვა და, საქმიანობა იქითკენ უნდა მიმართულიყო, რომ ჩვენი სიმდიდრე ჩვენსავე ხალხს შერჩენოდა; ჩვენი ავლადიდება ჩვენივე ხელით მიგვეწვდინა მომხმარებლისათვის და, რაც ჩვენ გვჭირდებოდა (ფართლეულობა, რკინიულობა, თუ სხვა რამ), ყველა ეს ჩვენ შეგვეძინავირველ ხელიდანვე, უშუაშავლოდ.

და როდესაც ჩვენში გამოჩნდა მოსაქმე ხალხიც, (მაგალითად, მაჩხანელი თავის ეკონომიური პროექტით,) ილიამ გზა გაუხსნა მას; „ივერიამ“ წლების განმავლობაში თავის ფურცლებზე ცოცხალი პროპაგანდა გააჩარება.

ძველებს დღესაც გვახსოვს მაჩხანელის (ნადირაძის) სახელი და პოპულარობა. მაჩხანელს სახელი და პოპულარობა „ივერიამ“ და მისმა რედაქტორმა შეუქმნეს.

მაჩხანის დეპოსა და კონპერატივის სახელი ერთ დროს სჭექდა და ქუხდა. საქართველოში.

სამწუხაროდ, ჩარჩ-გაჭრებმა და მათ მიერ მოსყილულმა მოხელეებმა შეერთებულის ძალით გამოილა შექრეს ჯერ ნორჩი, შეუიარაღებელი დაწესებულების წინააღმდეგ და ჩაკლეს იგი.

„ივერიამ“ და მისმა ორდაქტორმა აღზარდეს მთელი პლეადა ქართველი მწერლებისა. და საზოგადო მოლვაწეებისა. „ივერია“ ნამდვილი სკოლა იყო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, „ივერიამ“ და ილიამ აღზარდეს და დაავაუკაცეს დიდი ვაჟა. სხვებზე აქ მე სიტყვას არ გავაგრძელებ. ეს დიდი თემაა („ილიას მიერ აღზრდილი ქართველი მწერლები და მოღვაწეები“) ამ თემას მე სიამოვნებით შევთავაზებ ქართველ ახალგაზრდა მკვლევარს.

თუ მე დღეს ფეხი მიდგია (რასაკვირველია, სუსტად) ქართულ მწერლობაში, ეს პირველ ყოვლისა „ივერიისა“ და მისი ორდაქტორის ყურადღების და წაქეზების წყალბით. რა დამავიწყებს იმ სასიხარულო ფაქტს ჩემი ცხოვრებიდან, რომ ჩემი პირველი სუსტი სიტყვა დაბეჭდილი პირველად — „ივერიაში“ ვიხილე. ჯერ კიდევ საშუალო სკოლის მოწაფეს „ივერიამ“ და მიბეჭდა რამდენიმე კორესპონდენცია ზუგდიდიდან „იპოხეთელის“ ფსევდონიმით. მოწაფეობის დროსვე „ივერიამ“ ჩემი გვარის მოწერით დაბეჭდა დიდი ფელეტონი: „ფიშე და მისი სკოლის ამხანაგი“ — თარგმანი.

1895 წელს ყაზანის აკადემიაში შევედი. დრო ბევრი მქონდა, ბევრს ვკითხულობდი. მაგრამ პირველი წლის განმავლობაში აზრადაც არ მომსვლია რამე დამეწერა და. საქართველოში დასაბეჭდად გამეკზავნა.

მხოლოდ მეორე წელს, დავწერე წერილი სათაურით „პროფ. ისაევის რეფერატი სოციოლოგ კიდის ევოლუციურ თეორიის შესახებ“ და გავგზავნე „ივერიაში“. წერილი დაუყოვნებლივ დაიბეჭდა.

ამით გამხნევებულმა მალე დავწერე მოზრდილი წერილი: „ერის განმანათლებელნი (მასწავლებლები) და მათი მდგომარეობა“. ეს წერილიც მალე დაიბეჭდა „ივერიის“ 34 და 35 №№-ში.

ამას მოყვა წერილი: „ოქროს მთები და ბირჟის მეფენი“ („ივერია“, №№ 101 — 102), „თვითმკვლელობა და მისი გამომწვევი მიზეზები“ („ივერია“, № № 150 — 151).

ახლა რომ ვაკეირდები ამ ჩემი თემების ხასიათს, ვხედავ, რომ აკადემიის მეორე კურსზე მე სოციალურ-საზოგადოებრივი საკითხებით ვყოფილვარ დაინტერესებული. და ამ საკითხებს აღბათ, ისე ვაშუქებდი, როგორც ეს ილიას მსოფლმხედველობისათვის იქნებოდა მისალები და მოსაწონი. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ჩემი წერილები შეუმოკლებლად და შეუსწორებლად იბეჭდებოდა.

1898 წელს მე განვაგრძე „ივერიაში“ თანამშრომლობა. გაზეთის მეთორმეტე ნომერში დაიბეჭდა ჩემი წერილი „ძალა სიყვარულისა“ და დიდი წერილი: „რა აზრი აქვს ადამიანის ცხოვრებას“ (№ №-209 — 210).

უფრო დაწვრილებით შევჩერდები ჩემ წერილზე: „ძალა სიყვარულისა“. ჯერ ერთი იმისათვის, რომ მან ყველაზე მეტი პოპულარობა მოიპოვა მკითხველებში, მერე კი იმისათვის, რომ მან ჩემ პირად, ინტიმიურ ცხოვრებაში შესამჩნევი როლი ითამაშა.

ამ წერილს ეპიგრაფად პქონდა წამძლვარებული სიტყვები:

„Все обновляется, все созидается, все возрождается силой любви“**ლერმონტოვის „Демон“-იდან.**

ილიას თურმე ძლიერ მოეწონა ეს წერილი; თანა-მშრომლებისათვის უთქვამს: „რა ლრმად წვდება ეს ახალგაზრდა ამ დიდს საკითხს“. მერე გიგა ყიფში-ძისთვის მიუმართავს და უთქვამს: „გიგა, გეთაყვა, ვართაგავას წერილი გაუსწორებლად გაუშვიო“. რო-გორც ცნობილია, გიგა ქართული ენის ოსტატად ითვ-ლებოდა „ივერიის“ რედაქტიაში და ძლიერ უყვარდა სხვისი წერილების გაშალაშინება. წერილი მაღე დაი-ბეჭდა „ივერიაში“.

ამ წერილის გამო რამდენიმე ქებით აღსავსე წერილი მივიღე ქუთაისელი უცნობი ახალგაზრდებისაგან. მაგ-რამ ყველაზე უფრო სასიამოვნო იყო ჩემთვის ჩემი ამ-ხანაგის, ნიკო კურდლელაშვილის (მწერლობაში, „ნარ-კანის“ ფსევდონიმით ცნობილის) წერილი. მე და ნიკოს სემინარიაში სერიოზული უთანხმოება მოგვიყიდა. ისე დავამთავრეთ სემინარია და დავშორდით, რომ ერთ-მანეთისათვის ხმა არ გაგვიცია. და ეს ჩემზე გულნატ-კენი და სერიოზულად მომდურავი ნიკო ვრცელს, ალ-ტაცებულ წერილს მწერს და დიდის ქებით იხსენიებს ჩემს წერილს „ძალა სიყვარულისა“. სხვათაშორის, ის გულახლილად მწერდა: „თუმცა გემდუროდი, მაგრამ ყველა შენს წერილებს ვკითხულობდი „ივერიაში“, კარგი წერილებია, მაგრამ უკანასკნელმა წერილმა ალ-ტაცებაში მომიყვანა და შენთან შემარიგა. სიამოვ-ნებით ხელს გართმევ და ძმურად გადაგვოცნიო“.

ადვილად წარმოსადგენია, თუ რა სიამოვნება მაგრ-ძნობინა მომდურებული ამხანაგის ასეთმა გულთბილმა აღსარებამ შორეულ რუსეთში.

მართვული კურსის ინტერიერი

გვიაზონის
სახელმწიფო
უნივერსიტეტი



მეოთხე კურსის სტუდენტები 1899 წელს „ივერიაში“ (№ № 94 — 98) დავბეჭდე წერილი: „უტილიტარისტები და მათი მოძღვრება“. ამ თემიდანაც ჩანს, რომ ჩემი დაინტერესება სოციალურ-საზოგადოებრივი საკითხებით მეოთხე კურსზედაც გრძელდებოდა.

ამავე წელს გაზ. „ივერიაში“ დავბეჭდე მთელი ციკლი პოლემიკური ხასიათის წერილებისა უურნალ „კვალის“ და მისი მთავარი თანამშრომლების — ნ. უორდანიას და ფ. მახარაძის წინააღმდეგ: „ბაზრობა“ „კვალისტების“ რიხიანობა-ამპარტავნობა-ფანატიკოსობისა“ (№ № 53 — 54) „დაულლელთა“ შაბლონური ქადაგება და ფრაზიორობა „ (№ № 79, 80); „ბ. ნ. უორდანია და ძმათა მისთა რეალური მამულისშვილობა“ (№ № 252, 253 და 254). ამ წერილებს მე ვწერდი „ვარ“-ის ფსევდონიმით. ასე ჩავები „ივერიისა“ და ილ. ჭავჭავაძის ირგვლივ გამართულ პოლემიკაში, რასაც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა. ამ ჩემ ახალგაზრდულ გამოხმაურებას ილია გარკვეულ მნიშვნელობას აძლევდა.

აკადემიის დამთავრების შემდეგ (1899 წ.) სიმფეროპოლიში დამნიშნეს მასწავლებლად. გადაწყვეტილი მქონდა, როგორც ეს ილიამ უკანასკნელი შეხვედრის დროს მითხრა, კავშირი არ გამეწყვიტა „ივერიისთან“ და ხანგამოშვებით წერილები მიმეწოდებინა. მასსოვს, რომ ერთი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი თვალსაზრისით საინტერესო თემა ავირჩიე, მოზრდილი წერილი დავწერე და „ივერიაში“ გავგზავნე. ეს წერილი გაზეთში არ დაბეჭდილა და თავის „ფოსტაშიაც“ არ გამოუცხადებიათ თუ რა მიზეზით არ დაიბეჭდა. ცოტა არ იყოს მიკვირდა, რადგან „ივერიისა“ და მისი რედაქტორი-საგან მე განებივრებული ვიყავი, ყველა ჩემ წერილს

დაუყოვნებლივ ბეჭდავდნენ. საკმაო ხანმა განვლო, სხვა წერილები „ივერიაში“ ოღარ გამიგზავნია. სწორედ ამ დროს დავიწყე რუსულად წერა და თანამშრომლობა რუსულ გაზეთ „Салгиръ“-ში „Нездешний“-ს ფსევდონიმით. მკითხველებს ვაცნობდი ქართულ ლიტერატურას, კულტურას და ისტორიას. გამოვეცი რუსულად რამდენიმე წიგნი, სხვათა შორის „Грузинская духовная переводная и оригинальная литература с VI по XVIII веке“ და კიდევ ორი სხვა.

მუშაობაში გართულს სრულებით დამავიწყდა რუსეთიდან „ივერიაში“ გამოგზავნილი ჩემი წერილის შინაარსიც და სათაურიც.

როცა რუსეთიდან საქართველოში დავბრუნდი „ივერია“ უკვე აღარ არსებობდა. მისი თანამშრომლები დაფანტულიყვნენ სხვადასხვა უურნალ გაზეთებში. ხშირად ვხვდებოდი „ივერიის“ ძველ თანამშრომლებს: გრ. ყიფშიძეს, ილო აგლაძეს, იაკობ ცინცაძეს (ია ეკალაძეს) და სხვებს. მე არც მახსოვდა, აზრადაც არ მომსვლია იმათვის მეკითხა, თუ რა მიზეზით არ დაიბეჭდა ათეული წლის წინათ გამოგზავნილი ჩემი წერილი.

განვლო კიდევ დიდმა დრომ; მე უკვე მოვხუცდი. და, აი, თითქმის ორმოცი წლის შემდეგ, გთრის პედაგოგიური ინსტიტუტის მასწავლებელთა საერთო საცხოვრებელში, ერთმა ჩემმა ამხანაგმა ლექტორმა მაჩვენა პროფ. პაატა გუგუშვილის ნარკვევი: „ივერია“ ცენზურის რკალში“, სადაც აღნიშნული იყო, რომ „ივერიას“ 1900 წელს გადაუწყვეტია დაებეჭდა ჩემი წერილი სამ ფელეტონად, პირველი ფელეტონი აუწყვიათ კიდეც, მაგრამ ცენზორს წაუშლია, აუკრძალავს. ამ ცნობამ დიდად მასიამოვნა. გამოირკვა, რომ ილიას ეს ჩემი

წერილიც უცნია დაბეჭდვის ლირსად. მე კი ვფიქრობ-დი, ვაი, თუ არ მოეწონა-მეთქი.

თბილისში ეს ამბავი ილია აგლაძეს ვუამბე. ილიამ გაიხსენა ამ ჩემი წერილის ისტორია და შემდეგი გად-მომცა: ილიას გაუხარდა თურმე, მე რომ დაპირებისა-მებრ რუსეთიდან წერილების გამოგზავნა დავიწყე, დაუგვიანებლად გაეცნო წერილის შინაარსს და გიგას უთხრა, რომ სამ ფელეტონად გაეშვა. პირველი ფელე-ტონი (დასაწყისი) ცენზორმა მთლიანად წაშალა. ილიას თურმე ეს ძლიერ ეწყინა და დაახლოებით ასე უთ-ქვამს: უცხოეთში გადახვეწილი ახალგაზრდა ითიქ-რებს პოლემიკური ხასიათის წერილებს მიბეჭდავდნენ, რადგანაც ეს ესაჭიროებოდათ ახლა კი ყურადღებას არ მაქცევენო. გიგასთვის უთხოვნია წასულიყო ცენ-ზორთან და ეთხოვნა მისთვის ჩემი წერილი ცოტაო-დენი შეცვლით ან შემოკლებით გაეშვა. გიგას შეუსრუ-ლებია ილიას თხოვნა, მაგრამ მიზნისათვის ვერ მიუღ-წევია. იმ მომენტში, როდესაც მე ეს მოთხრობა მოვი-სმინე, უდიდესი სიყვარული განვიცადე იმ ადამია-ნისადმი, რომელიც პატარა, დამწყებ კალმოსნების მომზადებისა და წაქეზებისათვის ასე ზრუნავდა. მე ცხა-დად წარმოვიდგინე ილიას ლვთაებრივი შუბლის მო-ღუშვა, წყრომა და სიძულვილი აზროვნების ჯალათის— ცენზორის მიმართ.

აქვე მინდა გავიხსენო ერთი უდავოდ საინტერესო ამბავი, რომელიც მე გადმომცა ცნობილმა იურისტმა, აწ განსვენებულმა ზაქარია მაჭავარიანმა. ოდესის უნი-ვერსიტეტის თავისუფალი მსმენელი, სტუდენტი—რომა-ნოზ ფანცხავა (შემდეგში კრიტიკოსი ხომლელი) მისულა ზაქარია მაჭავარიანთან და უთხოვნია, რომ მას, რო-გორც ილიას კარგ ნაცნობს, ეშუამდგომლა პოეტთან,

რომ ერთ საღამოს ილიას იგი მიეღო და მოესმინა მისი კრიტიკული წერილი გრ. ორბელიანის შესახებ. ილიას დრო დაუნიშნავს. მისულან ფანცხავა და მაჭავარიანი. ილიას გულდასმით მოუსმენია გრძელი კრიტიკული წერილი. მოწონებია ავტორის მსჯელობა, ანალიზი; უთ-ქვამს, რომ ავტორს აქვს კრიტიკოსისათვის საჭირო თვისებები და დარიგება მიუცია, თუ როგორ უნდა იმუშაოს. მერე თვითონ დაწვრილებით შეჩერებულა გრ. ორბელიანის შემოქმედებაზე. ორი სამი საათი ლაპარაკობდა თურმე გატაცებით და დიდის პატივისცემით იმპოტზე, რომელთანაც მას, როგორც ცნობილია, შეხლა-შემოხლა და ბრძოლაც ჰქონდა.

მერე გადასულა ზოგიერთ რუს და საზღვარგარეთელ მწერალთა შემოქმედების გაშუქება-შეფასებაზე. ილიას მომჯადოებელ მსჯელობას და ცეცხლოვან სიტყვებს თურმე სულგანაბული და განცვითრებული უსმენდა ორი ახალგაზრდა.

ილიას არც დალლილობა, არც მოწყენა არ დასტურდია. მან თურმე თავისი ხუთ-ექვს საათიანი ლექცია მაშინ დაამთავრა, როდესაც უკვე თენდებოდა, მხიარულად ჩამოართვა ხელი მსმენელებს და საწოლ ოთხისაკენ წავიდა.

გაკვირვებული, გაოცებული ვბრუნდებოდით მე და რომანზი, ბევრი პროფესორის ლექციები მოგვისმენია უნივერსიტეტში, მაგრამ ილიასთანას მაინც ვერ ვიგონებდითო.

ვინ იცის, იქნება ამ ერთმა საღამომ, ილიას ლექციამ ლიტერატურულ თემაზე გადასწყვიტა ბედი ხომლელისა და ხასიათი მისი ლიტერატურული მოღვაწეობისა.

ილიას ბუდიდან ბევრი კალმოსანი აშოთორენილა; მისი იდეებით ბევრნი გაუღენთილან და სამშობლოს ერთგული მოამაგენი გამხდარან.

ილიას „ივერიის“ რედაქცია პოეტების, პროზაიკოსების, უურნალისტების და მთარგმნელების აღმზრდელი, დამავაუკაცებელი და გზაზე დამყენებელი ნამდვილი სკოლა იყო. ამ სკოლაში, ასე ვთქვათ, „სტუდიაში“ აღიზარდნენ და დახელოვნდნენ ისეთი ქართველი მწერლები, როგორიც იყვნენ: ს. მგალობლიშვილი, იონა მეუნარგია, საძაგელოვ-ივერიელი (შემდეგში კათალიკოსი კირიონი), ურბნელი (ხიზანაშვილი), სანო (სტეფანე ჭრელაშვილი), ივანე მაჩაბელი, გრ. ყიფშიძე, დ. კეზელი, ილია ხონელი, ჩიორა და სხვები. ამ თაობის კალმოსანთა ზოგიერთ წარმომადგენელს მე პირადად ვიცნობდი, მაგალითად, ს. მგალობლიშვილს, იონა მეუნარგიას, გრ. ყიფშიძეს, ჩიორას (არტემ ახნაზაროვი) და სხვა.

მათგან მე არა ერთხელ გამიგონია, რომ ილია იშვიათი თვისებების რედაქტორი ყოფილა. მას აზარებდა თანამშრომლების წარმატება, ამხნევებდა მათ და ხანდახან მთელ ლექციებს უკითხავდა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ეწერათ სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოები.

მე დღესაც მახსოვს აღტაცებული მოთხრობა ჩიორასი იმის შესახებ, თუ როგორ გახადა ილიამ ის—სკოლა გაუვლელი, თითქმის უსწავლელი, საწყალი ბიჭი — „ივერიის“ მუდმივ თანამშრომლად და მწერალთა რიგში ჩააყენა. ღრმა მოხუცებულობამდის ჩიორა მოწიწებით იხსენიებდა ილიას სახელს, მის ამაგს.

როდესაც ა. ახნაზაროვი ილიას მზრუნველობით წამოჩიტდა, მან სერიოზულ თემაზე მაღალი „შტილით“



დაწერილი რამდენიმე სტატია აჩვენა ილიას გულდასმით წაუკითხავს წერილები და შემდეგ სერიოზულად დაურიგებია: „ჩემო არტემ, ქართული შენ ქარგად შეგისწავლია; წერა შეგიძლია... ოღონდ ასეთ თემებზე წერას არ გირჩევ. შენ მკვირცხლი, ცოცხალი, ოხუნჯი ახალგაზრდა ხარ. უბრალო საუბარშიც შენ ირონიას, დაცინვას ურევ... აი, ისეთ რამეზე სცადე დაწერო, სადაც შენი ნიჭის თავისებურობა გამოვლინდება“.

ასეთ რჩევას ძლიერ დაუფიქრებია ახალგაზრდა ახნაზაროვი და გადაუწყვეტია „ყბად ასაღებ, წყალწალებ“ ამბებზე ეწერა თავისი ფელეტონები. ფსევდონიმიც „ჩიორა“ (პატარა) ამ ნიადაგზე აურჩევია.

ქართულ უურნალისტიკაში „ჩიორას“ თავისი საკუთარი ადგილი უჭირავს და მომავალში უურნალისტიკის ისტორიკოსი მის სახელს აუცილებლად მოიხსენიებს.

მე კიდევ უფრო დაწვრილებით ვიცი იმის შესახებაც, თუ როგორ ზრდიდა და ავაუკაცებდა ილია ცალკეულ ლიტერატურულ განრში ყოფილ ჩემს ამხანაგებს, 1893 წელს სემინარიიდან გამორიცხულებს, შემდეგ ცნობილ უურნალისტებს, მთარგმნელებს და მწერლებს: ილია (ილო) აგლაძეს, იაკობ ცინცაძეს (თომაანთ კობა, ია ეკალაძე), ინ-ანს (ივ. ახალშენიშვილს) და ნარ-კანს (ნიკო კურდლელაშვილს).

როგორც ვიცით, ილია ჭავჭავაძემ 1893 წელს „ივრიის“ მუდმივ თანამშრომლებად მიიღო სემინარიის უკანასკნელი კლასიდან „ბუნტისათვის“ გამორიცხული მოწაფეები: ილო აგლაძე და იაკობ ცინცაძე. ილიამ მათი ხელმძღვანელობა მიანდო გიგა ყიფშიძეს და თვითონაც თვალყურს ადევნებდა მათს არა მხოლოდ ჩეეჭლებ-



რივ, სავალდებულო მუშაობას, არამედ დამოუკიდებელ ლიტერატურულ შემოქმედებასაც.

მე ამ დროს ვსწავლობდი ალდგენილი სემინარიის უკანასკნელ კლასში. ჩემს ყოფილ ამხანაგებს და ახლო-ბელ მეგობრებს ხშირად ვხვდებოდი და თუმცა „ივე-რიის“ ოდაქციაში არ დავდოიდი, მაგრამ მაინც დაწვ-რილებით ვიცოდი, თუ რა ხდებოდა იქ, ოოგორ ეპ-ყრობოდა ილია, საერთოდ, სარედაქციო კოლეგიის წევ-რებს და, კერძოდ, ახალგაზრდა თანამშრომლებს. დაწვ-რილებით შევიტყვე ამხანაგებისაგან, რომ ილია დი-დად დაინტერესებული ყოფილა სემინარიის ცხოვრე-ბით, სემინარიელთა ყოფა-ქცევით და საქმიანობით. ილია თურმე დიდად აფასებდა სემინარიელების ეროვ-ნულ პატრიოტულ განწყობილებას, მათ ბრძოლას სა-ქართველოს ისტორიის კულტურის და ლიტერატურის დაცვისათვის, აფასებდა სემინარიელების შრომისმო-ყვარეობას, სერიოზულობას.

ილია განსაკუთრებით მფარველობდა სემინარიიდან დაოხოვნილ მოწაფეებს. ერთხელ ილიას გიგა ყიფში-ძისათვის უთქვაშს, რომ გარდა სარედაქციო შრომაში დახმარებისა, აგლაძისა და ცინცაძისათვის მას ბიძგი მიეცა საკუთარი ინიციატივის გამოსაჩენად, დახმარე-ბოდა მათ საკუთარი ძალის გამომჟღავნებაში ლიტერა-ტურის რომელიმე დარღვში. ამ ნიადაგზე აგლაძემ და ცინცაძემ პირველსავე წელს სცადეს ძალა ბელეტრის-ტიკაში, პირველსავე წელს მათ სადებიუტოდ გამოიტა-ნეს თავიანთი მოთხრობები.

ილია აგლაძემ, ილიას რჩევით თავისი ძალა ლიტე-რატურის სხვა დარგშიაც სცადა, მაგალითად, მან რამ-დენიმე მოთხრობა გადათარგმნა რუსულიდან და „ივე-რიაში“ დაბეჭდა. ერთ-ერთი შეხვედრის დროს მან მით-

ხრა: „ილიამ მომიწონა თარგმანი და მირჩია ამ დარგს მივაჭციო ყურადღება“.

საფიქრებელია, რომ ი. აგლაძემ ილიას ზეგავლენით (შეიძლება რჩევითაც) მოთხოვნების წერას თავი დაანება და თარგმანი და მიმოხილვა გაიხადა თავის სპეციალობად.

როგორც ცნობილია, შემდეგში ილ. აგლაძე საუკეთესო მთარგმნელი გახდა. ის საბჭოთა პერიოდშიც ქართული ენის საუკეთესო მცოდნელ, საუკეთესო მთარგმნელად ითვლებოდა.

მას აქვს ბევრი კარგი თარგმანი. სხვათა შორის, მან ბრწყინვალედ გადათარგმნა ლ. ტოლსტოის ეპოპეა „ომი და მშვიდობა“. მეოცე საუკუნის მთარგმნელთა შორის ილ. აგლაძეს ერთ-ერთი პირები ადგილთაგანი უჭირავს. ი. აგლაძე ი. ჭავჭავაძის და გ. ყიფშიძის სტილის მთარგმნელი იყო.

იაკობ ცინცაძეს ჩემთვის არა ერთხელ უთქვამს, რომ სანამ ლენქორანში გადასახლებაში წავიდოდა, მისულა ილიასთან გამოსამშვიდებლად. ილიას გულთბილად მიუღია, გაუმხნევებია და უთქვამს: „ახალგაზრდა ხარ, იოლად გადაიტან სასჯელს; სულით ნუ დაეცემი, გადასახლებაშიც წერე, გამოგზავნე წერილები სხვა ფსევდონიმით და ყოველთვის დაგიბეჭდავთ“.

იაკობმა პირნათლად შეასრულა დიდი ილიას რჩევა-დარიგება. შემდეგში, როგორც რედაქტორი სხვადასხვა გაზიერებისა (გორში, ქუთაისში, თბილისში) და როგორც ბელეტრისტი, ის მუდამ გმობდა ბოროტებას, გამცემლობას, მოღალატეობას, სიმხდალეს და თანამოძმეუბს მოუწოდებდა თავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ.

ხშირად ყოფილა შემთხვევა, როცა ისტორიული უკეთესების მიზანის კარგ და საყვარელ ნაცნობა მხანაგებს მოურიდებლად ეტყოდა: „შენ მწერლობის, შემოქმედების ნიშანი არ გეტყობა, ტყუილად დროს ნუ დაკარგავ, ნუ გაცდები, სხვა რამ პროფესიას მოკიდე ხელი, იქ გახდები გამოსადეგი მუშაკი“ ო.

მე მაქვს ამის დამამტკიცებელი უტყუარი, ნამდვილი ფაქტი. ექვსი შვიდი წლის წინათ თბილისში, 85 წლის ასაკში, გარდაიცვალა, ჯერ ქუთაისში, შემდეგ კი თბილისში კარგად ცნობილი იურისტი, ამიერკავკასიის რკინიგზების ვექილი, ზაქარია კონსტანტინეს ძე მაკავარიანი. ოდესის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ის დაუნიშნავთ თბილისის საოლქო სასამართლოში, ვგრეთწოდებულ-„კანდიდათ на судебные должности“. ვინაიდან სტუდენტობიდან ის ილია ჭავჭავაძის მიღწევებით და შემოქმედებით პირდაპირ მოჯადოვებული იყო, გადაუწყვეტია ყოველივე ლონის მიღებით პირადად გაცნობოდა და დაახლოებოდა მას. ზაქარიას მიუღწევია კიდეც თავის მიზნისათვის. თურმე ისე დაუახლოვდა და ისე შეაყვარა თავი ილიას, რომ ყოველ კვირაში ერთხელ (პარასკეობით) ილიას „ურფიქსებს“ ესწრებოდა და ბედნიერად გრძნობდა თავს. ილიას და ზაქარიას ახლო ნაცნობობა რამდენიმე წელიწადი გრძელდებოდა.

ერთხელ თურმე ზაქარიასაც აუყარდა მწერლობის ქავილი, განიზრახა „ივერიის“ ფურცლებზე განავარდება... და, აი დაწერა ერთი დიდი იურიდიული ხასიათის წერილი. თვითონ ავტორს მოსწონდა თავისი ნაშრომი და დარწმუნებული იყო ილიასაც მოეწონებოდა და წერილს დაუბეჭდავდა.



თამამად მიუტანია ზაქარიას ილიასათვის წერილი. მას დაკვირვებით წაუკითხავს ახალგაზრდა ავტორის ნაშრომი, შემდეგ დაუბრუნებით და დაახლოებით შემდეგი უთქვამს: „ჩემო კარგო, ზაქრო, შენი წერილი არ მომეწონა; სამწუხაროდ, შევამჩნიე, რომ მწერლობა შენი ამპლუა არ არის, შენ ნაკითხი, მცოდნე იურისტი ხარ, მაგრამ მწერლობისათვის განსაკუთრებული ნიჭია საჭირო. აი, ხომ ხედავ და პირადადაც იცნობ არტემს. მას მომზადება, განვითარება საქმარისი არა აქვს, მაგრამ ხალასი ნიჭია... შენ ცოცხალი, ტემპერამენტიანი, ენამეტყველი ახალგაზრდა ხარ. შენთვის ზედგამოჭრილია ვექილობა, საქმეების დაცვა, სადაც მჭევრმეტყველობაა საჭირო. შენგან დიდი მოხელეც ვერ გამოვა. ამისათვის გირჩევ, ჩემო კარგო სასამართლოსაც თავი დაანებო და იურისტთა კოლეგიაში ჩაეწერო. შენ უსათუოდ ცნობილი ვექილი გახდები“. ამ მოხსრობას ზაქარია ყოველთვის დასძენდა: „მე დავუჯერე ილიას რჩევას და ვექილობა ჩემ პროფესიად გავიხადეო“.

ზაქარიას, მართლაც, ღრმა მოხუცებულობამდის არაფერი დაუწერია, მხოლოდ ოთხმოცი წლის შემდეგ აიღო ხელში კალამი და რამდენიმე პატარა მოგონება მოათავსა „მნათობში“.

ილიასათვის უცხო იყო პირფერობა; ავტორებთან მას უოველთვის პირდაპირი, პრინციპული დამოკიდებულება ჰქონდა.

ილია ხშირად ეუბნებოდა „ივერიის“ დედა-ბოძს—გიგა ყიფშიძეს: „გეთაყვა, გიგა, თუ ახალგაზრდამ ლექსი მოგიტანოს, მისი თანდასწრებით წაიკითხე, თუ მოგეწონა, დაატოვებინე და მალე დაუბეჭდე. თუ არ მოგეწონოს, ლექსი არ ვარგოდეს, პირდაპირ უარი უთხარი, უკანვე დაუბრუნე. ცუდი, უაზრო ლექსის გას-

წორება-შეკეთება შეუძლებელია. მოლექსეებს სასტიკად მოეპყარი. მაგრამ, თუ ვინმემ სოფლიდან ან შემთხვევით თანამშრომელმა საინტერესო საკითხზე კორესპონდენცია გამოგზავნა, ასეთი მასალა უსათუოდ (თუ საჭირო შეიქნა) შენებურად გააშალაშინე, შეამოკლე, დაუშატე კიდევაც რამე და უსათუოდ დაბეჭდე. ეს გაამხნევებს ავტორს, ესიამოვნება, გაზეთში თანამშრომლობის სურვილი გაუძლიერდება და შეიძლება მისგან შემდეგში ნიჭიერი და სასარგებლო კალმოსანი დადგეს“.

ს. მგალობლიშვილი იგონებს, რომ „ილია მეტად აფასებდა პროვინციებიდან შემოსულ მასალებს:“ პროვინციაში ცოტა მუშაკები გვყავს, ყველა ქალაქში გამორჩის. არ გამოუქცეთ პროვინციას... იმუშავეთ ხალხში, ცნობიერება შეიტანეთ. ჩვენი ხალხი ნიჭიერი და „ჭკუის კოლოფია“, ყოველივე კარგს მაღე მიიღებს, მისი გული თესლისათვის კარგ ნიადაგს წარმოადგენსო“.

ვინ იცის მზრუნველი რედაქტორის ამგვარმა მოქმედებამ რამდენი ჭეშმარიტი კალმოსანი შესძინა ქართულ უურნალისტიკას? რამდენ დამწყებ მწერალს იმედის ნაპერწერალი აუნთო გულში და ფართო შემოქმედებით სარბიელზე გამოიყვანა.

ფასდაუდებელია ილია ჭავჭავაძის ლვაშლი ქართული კულტურის და, კერძოდ, ქართული უურნალისტიკის წინაშე მიუხედავად ურთულესი პირობებისა, ამ დიდ-ბუნებოვანმა აღამიანმა პირწმინდად მოიხადა ვალი სამშობლოს წინაშე.

ერთ თავის შინაურ მიმოხილვაში ილია წერდა: „იქნება არ დაიჯეროთ და ერთი საოცარი, უცნაური სენი დამჩერდა, ამბობენ ეს სენი მარტო მე არ მჭირს. თურ-

მე ნუ იტყვით, ყველას, ვისაც ჭკუასთან რამე საქმე
აქვს, იმათაც ის ემართებათ რაც მე. დავფიქრდები
რაზედმე თუ არა, ან ჩაუკვირდები რასმე და ტვინის
ძაფები მოძრაობაში შევლენ, ერთი რაღაც სულთამ-
ხუთავსავით ამეტუზება თვალშინ და არა მშორდება.
ეხლაც ამ ყოფაში ვარ, თუმცა თქვენცა ხედავთ, რომ
ჭკუასა და ამ ნაჯღაბნს ერთმანეთში არათერი კავშირი
აქვთ. ეხლა თვალშინ მიდგა და საშინელს ჯადოს მი-
კეთებს. მე ერთის თქმა მინდა — ის (იგულისხმება ცენ-
ტორი ი. ვ.) სულ სხვას მალაპარაკებს. ენა ჩემი იძვ-
რის — სიტყვა იმისია, კალამი ჩემი სწერს — აზრი იმისი
გამოდის. რა მემართება არც მე ვიცი. ქვეყანა ჩემ თვალ-
შინ როგორლაც უხეიროდ, წალმა-უკულმა ტრიალებს,
თითქო ღერძი გატყდა და საცა არის ტალახის „გუნ-
დასავით დაეცემა და დაიმსხვრევაო“ (ი. ჭავჭავაძე,
თხზულებათა ტ. V, გვ. 383).

აი, რაში მდგომარეობდა ტრაგიზმი დიდი მოაზ-
როვნისა.

ශාක්‍රීඩා

1. රුදාස්ථූප මාලින්සාගාන	3
2. ගිණු ප්‍රේරණාලි	5
3. මුද්‍රා මෝසේ	37
4. තුළු මාන්‍ය දෙශීලි	68
5. මැලිය ප්‍රාග්ධාරී	93



ବ୍ୟେନିକୁରି ର୍ୟାଲ୍‌ଫ୍ରେଂଚ୍‌ଗ୍ରେନ୍‌ଜିମ୍‌ସିଟି
କୋର୍‌ପ୍ଲେଟ୍‌ଫଲ୍‌ମ୍‌ରୀ ଲ୍ଲ. ଏରିଓଏସ୍‌
ଗାମିନମିଶ୍ରେଧି ଥ. ଡେଲିମ୍

* * *



უ 00646. შეკვეთის № 645. ტირაჟი 3.000.

გადაეცა წარმოებას 2/IV—57 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად
19/VIII—57 წ. ანაწყობის ზომა 5×8 . ქაღალდის ზომა 84×108 .
სასტამბო ფორმათა რაოდენობა 8. სააღრიცხვო-საგამოშეცვლო
ფორმათა რაოდენობა 4,6.

ფასი 3 მან. 80 პაპ.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამოცემლობის სტამბა, უნივერსიტეტის ქ., 1.

Типография издательства ТГУ им. Сталина,
Университетская, 1.



ბეჭედი

Иполите Петрович Вартагава
Выдающиеся редакторы
грузинских журналов
и газет XIX века
(на грузинском языке)
Издательство ТГУ им. Сталина
Тбилиси — 1957 г.



სი